186
992

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN—0132—4241

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4

ივლისი—აგვისტო

1992 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4 ივლისი—აგვისტო 1992 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

149. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროსათვის მიზნობრივი დანიშნულების არასაბიუჯეტო სახსრების სპეციალური ფონდის შესაქმნელად ახალი ნორმატივის დაწესების შესახებ.

150. ბუნებრივი გაზის ფასების მოწესრიგების შესახებ.

151. შავი ზღვის გაჭუჭყიანებისაგან დაცვის კონვენციის რეალიზაციის საკოორდინაციო სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ.

152. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 24 აპრილის № 473 დადგენილების ცვლილების შესახებ.

153. საქართველოს რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სახელმწიფო გაერთიანების შექმნის შესახებ.

154. დროებითი შრომისუუნარობის ფურცლის გაცემის, გაფორმების და აღრიცხვის წესის შესახებ.

155. სახელმწიფო გაერთიანება „საქქალაქმშენის“ შესახებ.

156. რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის დაფინანსების ზოგიერთი საკითხის შესახებ.

157. საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებით ღონისძიებათა შესახებ.

158. კერძო საწარმოებისათვის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა საზღვარგარეთ დროებით სამუშაოდ გასაგზავნად ლიცენზიების გაცემის დროებითი წესის შესახებ.

№ 4
ეროვნული
ბიბლიოთეკა

159. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყოფილი საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროს სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების სტატუსის შესახებ.
160. საქართველოს რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში საიდუმლოებათა დაცვის სახელმწიფო ინსპექციის შესახებ.
161. საქართველოს რესპუბლიკის ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს სტრუქტურისა და დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ.
162. ა. მ. ბალანჩივაძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.
163. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის დაწესებულებებში ანაბრების საპროცენტო განაკვეთების გაზრდის შესახებ.
164. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ მეურნეობაში უნაღდო ანგარიშსწორების მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ.
165. კოოპერაციული ბინათმშენებლობის ღირებულების გაძვირებით გამოწვეული ფასთა სხვაობის კომპენსაციის შესახებ.
166. სახალხო მეურნეობის ობიექტების დაცვის შემდგომი მოწესრიგებისა და ტექნიკური საშუალებებით მათი აღჭურვის ღონისძიებათა შესახებ.
167. საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის დანაზოგების გაუფასურებასთან დაკავშირებით ანაბრების ინდექსაციის შესახებ.
168. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში სასჯელთა აღმასრულებელი მთავარი სამმართველოს შექმნის შესახებ.
169. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებათა და მათი ნომრიანი აგრეგატების საკომისიო ვაჭრობისა და რეგისტრაციის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ.
170. საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური რანგის მქონე და უცხო ენის მცოდნე მუშაკების შრომის ანაზღაურების დამატებითი პირობების შესახებ.
171. საქართველოს რესპუბლიკაში სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოების შესახებ.
172. ბათუმის უმაღლესი საზღვაო სასწავლებლის შექმნის შესახებ.
173. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საწარმოს (ქვესაწარმოს, ფილიალის, წარმომადგენლობის) სახელმწიფო რეგისტრაციის წესის შესახებ.
174. საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ.
175. საქართველოს რესპუბლიკაში სამეურნეო ამხანაგობათა შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.
176. სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით საზღვარგარეთ გამგზავრებისათვის საბუთების მიღებისა და გაფორმების წესის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ.
177. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის № 107 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.
178. საქართველოს რესპუბლიკაში პრივატიზებული საბინაო ფონდის ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ჩატარების ორგანიზაციისა და დანახარჯების დაფარვის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ.
179. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

180. საქართველოს რკინიგზის მატერიალური პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესახებ.
181. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის სისტემაში ახალი საბაჟო ორგანოების შექმნის შესახებ.
182. საქართველოს რესპუბლიკაში ლატარიებისა და სხვა მომგებიანი საპრიზო თამაშობების მოწყობის სრულყოფის შესახებ.
183. ავღანეთისა და სხვა ლოკალურ ომებში მონაწილეთა და მათი ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ.
184. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 28 აპრილის № 474 დადგენილების № 2 დანართის დამატების შესახებ.
185. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 4 მაისის № 525 დადგენილების დამატების შესახებ.
186. საქართველოს რესპუბლიკის მაგისტრალური მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ.
187. საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს ზღვის თევზის მეურნეობისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ამავე სამინისტროს შავი ზღვის ეკოლოგიისა და თევზის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად გარდაქმნის შესახებ.
188. სახელმწიფო სავაჭრო ქსელში ვაჭრობის თავისუფლების მიმართულებით ექსპერიმენტის ჩატარების შესახებ.
189. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1993 წლის პროგნოზის პროექტის დამუშავების ორგანიზაციის შესახებ.
190. საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო კინოკორპორაციის რეორგანიზაციის შესახებ.
191. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 17 მარტის № 323 დადგენილების გამოყენების წესის შესახებ.
192. საქართველოს ბიოლოგიური კომბინატის შესახებ.
193. სახელმწიფო სასინჯი ზედამხედველობის შესახებ დებულების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.
194. ფასიანი ქაღალდების შესახებ დროებითი დებულების დამტკიცების თაობაზე.
195. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქონლის (სამუშაოთა, მომსახურების) ექსპორტისა და იმპორტის კვოტირებისა და ლიცენზირების დროებითი წესის შესახებ.
196. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტის დროებით შეჩერების შესახებ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

149 საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროსათვის მიზნობრივი დანიშნულების არასაბიუჯეტო სახსრების სპეციალური ფონდის შესაქმნელად ახალი ნორმატივის დაწესების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს შუამდგომლობა და ნება დაერთოს საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს გაითვალისწინოს 1992 წლის 1 ივლისიდან მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მიერ გამოშვებული პროდუქციის (სამუშაოები, მომსახურება) თვითღირებულებაში დანახარჯები ამ თვითღირებულების პროცენტულად ანარიცხების სახით მართვის ამ ორგანოს მიზნობრივი დანიშნულების არასაბიუჯეტო სახსრების სპეციალურ ფონდში მათი შემდგომი გადარიცხვისათვის 0,98 პროცენტის ოდენობით.

2. შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილება მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 5 სექტემბრის № 716 დადგენილების 1-ლ პუნქტში.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 6 ივლისი, № 70ა

150 ბუნებრივი გაზის ფასების მოწესრიგების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული მეურნეობისა და მოსახლეობის ბუნებრივი გაზით შეუფერხებელი მომარაგების, აგრეთვე რესპუბლიკისათვის მოსაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასების ცვლილების გათვალისწინებით სახელმწიფო კონცერნ „საქგაზის“ და საწარმოო გაერთიანება „საქტრანსგაზის“ ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1992 წლის 1 ივლისიდან:

— საწარმოო გაერთიანება „საქტრანსგაზის“ მიერ სახელმწიფო კონცერნ „საქგაზისათვის“ მისაწოდებელი ყოველი 1000 კუბური მეტრი ბუნებრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზის საბითუმო ფასი 1710 მანეთის ოდენობით (დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის ჩათვლით);

— ბუნებრივი გაზის გასაცემი ფასი ყველა კატეგორიის მომხმარებელთათვის (კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათების გათვალისწინებით), დანართის თანახმდ.

2. რესპუბლიკისათვის მოსაწოდებელი ბუნებრივი გაზის რაოდენობის შეზღუდვის ან შეწყვეტის თავიდან აცილების მიზნით საწარმოებმა და ორგანიზაციებმა (მომწოდებლის მოთხოვნების შესაბამისად) უზრუნველყონ მისაღები ბუნებრივი გაზის ღირებულების ყოველკვირეული წინასწარი გადახდა.

3. ბუნებრივი გაზის ახალი გასაცემი ფასებიდან გამომდინარე, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა უზრუნველყონ 1992 წლის 1 იანვრიდან მიწოდებული ბუნებრივი გაზის ფასთა სხვაობის დაფარვა, ხოლო მოსახლეობის მიერ მოხმარებულისა დაიფაროს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან.

4. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ გამოსცეს მომხმარებელთათვის მოსაწოდებელი ბუნებრივი გაზის გასაცემი ფასების პრეისკურანტი.

5. დაევალოთ სახელმწიფო კონცერნ „საქგაზსა" და საწარმოო გაერთიანება „საქტრანსგაზს" საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით წარმოადგინონ წინადადებანი ბუნებრივი გაზის მომხმარებლების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის სანქციების გამკაცრების მიზნით მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებათა შესატანად.

6. ნება დაერთოს სახელმწიფო კონცერნ „საქგაზს" დაქვემდებარებული ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შემდეგ მოახდინოს დარჩენილი მოგების ნაწილის ცენტრალიზაცია (ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რენტაბელური ორგანიზაციების შესაძლებლობისა და ინტერესების გათვალისწინებით) მოქმედი გაზსადენების სარემონტო-აღდგენითი, აგრეთვე გაზიფიკაციის შემდგომი განვითარების სამუშაოების დასაფინანსებლად.

7. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 19 თებერვლის № 4/X საოქმო გადაწყვეტილების მე-5 პუნქტით ბუნებრივ გაზზე განსაზღვრული გასაცემი ფასი.

8. ამ დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 1 ივლისი, № 706

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 1 ივლისის № 706
დადგენილების დანართი

	1 კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის გასაცემი ფასი (დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის ჩათვლით) — მან. და კაპ.
სახელმწიფო კონცერნ „საქგაზის“ მეურნეობების მიერ მომხმარებელთათვის მისაწოდებელი ბუნებრივი გაზი:	
მოსახლეობისათვის	0—50
დანარჩენი მომხმარებლებისათვის, მათ შორის მოსახლეობის პირად მფლობელობაში არსებული სათბურებისათვის	2—45

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

151 შავი ზღვის გაჭუჭყიანებისაგან დაცვის კონვენციის რეალიზაციის საკოორდინაციო სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ

შავი ზღვის გაჭუჭყიანებისაგან დაცვის კონვენციის მოთხოვნების შესრულების, საჭირო ღონისძიებათა შემუშავების, მათი დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საქმეში რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებათა ძალისხმევის კოორდინაციის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან შავი ზღვის გაჭუჭყიანებისაგან დაცვის კონვენციის რეალიზაციის საკოორდინაციო სახელმწიფო კომისია.

2.*)

3. კომისიის ძირითად ფუნქციად განისაზღვროს: კონვენციის მოთხოვნების რეალიზაციისათვის აუცილებელი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება და რესპუბლიკის მთავრობის მიერ მათი განხილვისათვის მომზადება; ზღვის გაჭუჭყიანებისაგან დაცვის რესპუბლიკური და საერთაშორისო პროგრამების, პროექტებისა და ღონისძიებების განხილვა და მათი რეალიზაციის სამუშაოთა კოორდინირება; ზღვის დაცვის პრობლემებზე სამინისტრო-უწყებების, წარმოება-დაწესებულებების, სამეცნიერო და საპროექტო ორგანიზაციების, უმაღლესი სასწავლებლების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე ინფორმაციების განხილვა და მათი შესაძლებლობისა და სამომავლო საქმიანობის შესახებ სათანადო რეკომენდაციების შემუშავება; შავი ზღვის გაჭუჭყიანებისაგან დაცვის კონვენციისა და მასთან დაკავშირებული საერთაშორისო პროგრამების მმართველობით სტრუქტურებში საქართველოს წარმომადგენლობის საკითხთა განხილვა და გადაწყვეტა; გარემოს დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს რესპუბლიკის შესვლის დაჩქარების უზრუნველყოფა; საერთაშორისო ურთიერთობათა ხელშეწყობა.

4. კონვენციის რეალიზაციის მიზნით შექმნილ შავი ზღვის გარემოს დაცვის კომისიაში საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლად დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის მინისტრი დავით ნაკანი.

5. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს და საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტს კონვენციის მოთხოვნების რეალიზაციის ხელშემწყობ ღონისძიებათა უკეთ ორგანიზაციის, შავი ზღვის გაჭუჭყიანებისაგან დაცვის რესპუბლიკური და საერთაშორისო პროგრამების შედგენა-რეალიზაციის სამუშაოთა კოორდინაციისა და ამ პროცესში რესპუბლიკის სამეცნიერო პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების მიზნით შექმნან საუწყებათაშორისო ექს-

2*. არ ქვეყნდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერტთა მუშა ჯგუფები რესპუბლიკის სამინისტრო-უწყებებისა და საექსპერტო-კვლევითი დაწესებულებების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 6 ივლისი, № 707

152 საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 24 აპრილის № 473 დადგენილების ცვლილების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

„ელექტროენერგიის ტარიფების მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 24 აპრილის № 473 დადგენილების მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი აბზაცი:

„საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქსოფწყალმომარაგების“ სისტემის სამმართველოებს, როგორც გამონაკლისი, მიმდინარე წლის 1 აპრილიდან დაუწესდეთ მოსახლეობისათვის მიწოდებული სასმელი წყლისათვის მოხმარებულ ყოველ ერთ კილოვატსაათ ელექტროენერგიაზე ტარიფი 52,5 კაპიკის ოდენობით (დამატებით ღირებულებაზე გადასახადის ჩათვლით). მოსახლეობისათვის მისაწოდებელი წყლისა და შესაბამისად ელექტროენერგიის მოცულობა დადგენილ იქნეს რესპუბლიკურ საწარმოო გაერთიანება „საქსოფწყალმომარაგებასა“ და რესპუბლიკურ მთავარ საწარმოო სამმართველო „საქმთავარენერგოს“ შორის დადებული ცალკე ხელშეკრულების საფუძველზე“.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 6 ივლისი, № 708

ეროვნული ბიბლიოთეკა

153 საქართველოს რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სახელმწიფო გაერთიანების შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის კომუნალურ მეურნეობაში არადამაკმაყოფილებლად არის ორგანიზებული საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობის, ცივი და ცხელი წყლით მომარაგების, სითბოთი უზრუნველყოფის, სანიტარიული დასუფთავების, კეთილმოწყობისა და ქალაქგანათების საქმე. დარგში შექმნილია უმძიმესი საფინანსო მდგომარეობა.

თანამედროვე მოთხოვნებს არ შეესაბამება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვა.

შექმნილი სირთულეების დაძლევას ხელი ვერ შეუწყო და დადებითი შედეგები ვერ გამოიღო კომუნალური დარგის, საექსპლუატაციო სამსახურის მექანიკურმა შერწყმამ რესპუბლიკის სამშენებლო კომპლექსთან. ასეთი გადაწყვეტილების გამო დარგი, რომელსაც უდიდესი სოციალური მნიშვნელობა აქვს, სახელმწიფოს ყურადღების მიღმა აღმოჩნდა.

დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებს რა რესპუბლიკის მოსახლეობის კომუნალური მომსახურების უზრუნველყოფას, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. გამოეყოს საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს კომუნალური მეურნეობის სახელმწიფო გაერთიანება და შეიქმნას მის ბაზაზე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დაქვემდებარებაში საქართველოს რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სახელმწიფო გაერთიანება.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სახელმწიფო გაერთიანებას ორი კვირის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას დასამტკიცებლად დებულება და მართვის სტრუქტურა.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 3 აპრილის № 254 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის სამშენებლო კომპლექსის რეორგანიზაციის შესახებ“ კომუნალური მეურნეობის ნაწილში.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 6 ივლისი, № 711

ეროვნული ბიბლიოთეკა

154 დროებითი შრომისუუნარობის ფურცლის გაცემის, გაფორმებისა და აღრიცხვის წესის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული ინსტრუქცია შრომისუუნარობის ფურცლის გაცემის, გაფორმებისა და აღრიცხვის წესის შესახებ.

2. დაევალოს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიან რესპუბლიკურ ფონდს 2 თვის ვადაში შეიმუშაოს და წარმოადგინოს დებულება შრომისუუნარობის ფურცლის განაღდებისა და სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრებიდან დახმარებათა დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 10 ივლისი, № 713

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 10 ივლისის № 713
დადგენილებით

ინსტრუქცია

დროებითი შრომისუუნარობის ფურცლების გაცემის, გაფორმებისა და აღრიცხვის წესის შესახებ

1. იმ პირთა დროებითი შრომისუუნარობა, რომლებზეც ვრცელდება სოციალური დაზღვევა, დასტურდება დროებითი შრომისუუნარობის ფურცლით, რომელიც გაიცემა შემდეგ შემთხვევებში:

— შრომისუუნარობასთან დაკავშირებული დაავადებების (დასახიჩრებანის) დროს;

— სანატორიულ-საკურორტო (ამბულატორიულ-საკურორტო) მკურნალობისას;

— ოჯახის ავადმყოფი წევრის მოვლის აუცილებლობის შემთხვევაში;

— კარანტინის დროს;

— დროებით შრომისუუნაროს დროებით სხვა სამუშაოზე გადაყვანის პერიოდში;

პროტეზირებისას საპროტეზო-ორთოპედიული დაწესებულებების სტაციონარის პირობებში;

— ორსულობისა და მშობიარობის შვებულების პერიოდში.

2. დროებით შრომისუუნარობის ფურცლებს გასცემენ და ვადას უგრძელებენ საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, საქართველოს რკინიგზის სამმართველოს, სამოქალაქო ავიაციის, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს, ინფორმაციისა და დაზვერვის ბიუროს, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკურნალო-პროფილაქტიკური სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების, სამედიცინო ექიმთა დახელოვნების და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების კლინიკების, პროფკავშირთა და სახელმწიფო კონცერნის „საქკურორტის“ სისტემის სანატორიუმებისა და საპროთეზო-ორთოპედიული დაწესებულებების სტაციონარის ექიმები.

შრომისუუნარობის ფურცლის გაცემა ეკრძალებათ სამეურნეო ანგარიშზე არსებულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებს, სამედიცინო კოოპერატივებს, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურებს (განყოფილებებს), სისხლის გადასხმის სადგურებს (განყოფილებებს), ანონიმური მკურნალობის ნარკოლოგიურ განყოფილებებს (კაბინეტებს), სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დაწესებულებებს და იმ ექიმებს, რომლებიც ეწევიან ინდივიდუალურ შრომით მოღვაწეობას.

სხვა უწყებების სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებს შრომისუუნარობის ფურცლის გაცემისა და ვადის გაგრძელების უფლება მიეცემათ საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფის სამინისტროს მიერ სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი რესპუბლიკური ფონდის დირექციასთან შეთანხმებით.

სამუშაოდან განთავისუფლებულ პირებს შრომისუუნარობის ფურცელი არ მიეცემათ. ცალკეულ შემთხვევაში სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი რესპუბლიკური ფონდის დირექციის ნებართვით შრომისუუნარობის ფურცელი შეიძლება მიეცეთ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომელთაც შრომისუუნარობა, რაც ერთ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა, ან შვებულება ორსულობისა და მშობიარობის გამო დაეწყოთ საპატიო მიზეზით სამუშაოდან განთავისუფლების შემდეგ ერთი თვის მანძილზე, აგრეთვე ყოფილ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც ავად გახდნენ ვადიანი სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგ ერთი თვის მანძილზე.

3. შრომისუუნარობის ფურცელი გაიცემა საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით (მათ შორის ოჯახის წევრის მოვლისთვისაც).

არამუდმივ საცხოვრებელ ადგილას დაავადების დროს შრომისუუნარობის ფურცელი გაიცემა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მთავარი ექიმის ან მისი შემცვლელის ნებართვით. შრომისუუნარობის ფურცელი ფორმდება პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენის შემდეგ.

4. შრომისუუნარობის ფურცელი გაიცემა და ვადის გაგრძელება წარმოებს შრომისუუნაროს პირადი გასინჯვის შემდეგ და დასტურდება სამედიცინო დოკუმენტში დასაბუთებული ჩანაწერებით.

5. იმ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, სადაც არ არიან ექიმები, აგრეთვე მცურავ გემებზე, შრომისუუნარობის ფურცლის გაცემის წესებს და ხანგრძლივობას ადგენს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი რესპუბლიკური ფონდის დირექციასთან შეთანხმებით.

6. დროებითი შრომისუუნარობის ფურცლის გაცემის საქმიანობისადმი კონტროლს აწარმოებენ რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროები, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოები და სხვა სამინისტროები და უწყებები, რომელთაც აქვთ თავისი სამედიცინო სამსახური.

დაავადებისა და დასახიჩრების დროს შრომისუუნარობის ფურცლების გაცემა

7. დაავადებისა და დასახიჩრების გამო შრომისუუნარობის შემთხვევაში მკურნალ ექიმებს ეძლევათ უფლება ერთპიროვნულად და ერთდროულად გასცენ შრომისუუნარობის ფურცელი 5 კალენდარულ დღემდე ვადით, შემდგომი ვადის გაგრძელებით დაავადების სიმძიმის მიხედვით 10 კალენდარულ დღემდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8.10 კალენდარული დღის შემდეგ შრომისუუნარობის ფურცლის ვადა-ზეზ ძელებს მკურნალი ექიმი განყოფილების გამგესთან ერთად, თუ დაწესებულებაში არ არის განყოფილება — დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის დარგში მთავარი ექიმის მოადგილესთან ან მთავარ ექიმთან ერთად, ავადმყოფის პირადი გასინჯვის შემდეგ. ხანგრძლივი შრომისუუნარობის დროს ავადმყოფს სინჯავენ არანაკლებ 10 დღეში ერთხელ.

შრომითი და საყოფაცხოვრებო ტრავმების შემთხვევაში შრომისუუნარობის ფურცელი გაიცემა შრომისუუნარობის პირველი დღიდან.

სიმთვრალის ან სიმთვრალესთან დაკავშირებული მოქმედების გამო გამოწვეული დაავადების და უბედური შემთხვევის დროს (ტრავმა, მოწამვლა) შრომისუუნარობის პირველი 10 დღისათვის გაიცემა ცნობა, ხოლო თუ დაავადება გრძელდება, მეთერთმეტე დღიდან გაიცემა შრომისუუნარობის ფურცელი. იმ შემთხვევაში, თუ პროკურატურის, სასამართლოს, შინაგან საქმეთა განყოფილების და ა. შ. ორგანოების მიერ დადგენილია, რომ ტრავმა არ არის დაკავშირებული დაზარალებულის მიერ ალკოჰოლის მიღებასთან (მაგალითად, მგზავრთა ტრავმები სატრანსპორტო ავარიების დროს) ცნობა შეიცვლება შრომისუუნარობის ფურცლით.

9. ამ შემთხვევაში, როცა შრომისუუნარობა გრძელდება 40 დღეზე მეტ ხანს შრომისუუნარობის ფურცელს აგრძელებს საექიმო-საკონსულტაციო კომისია ავადმყოფის საკონტროლო გასინჯვის შემდეგ, რომელიც ტარდება არა უგვიანეს, ვიდრე 40 დღეში ერთხელ, საკონტროლო გასინჯვების შუალედებში შრომისუუნარობის ფურცლები გრძელდება პ. პ. 7 და 8 მიხედვით.

10. შორეულ რაიონებში განლაგებულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, სადაც მუშაობს ერთი ექიმი, საცურაოდ გასულ გემებზე ექიმს უფლება აქვს ერთპიროვნულად გასცეს შრომისუუნარობის ფურცელი ერთ თვემდე ვადით.

თუ შრომისუუნარობა გასტანს ერთ თვეზე მეტხანს, შრომისუუნარობის ფურცლის ვადა გაგრძელდება ცენტრალური რაისაავადმყოფოს სათანადო სპეციალისტის ნებართვით, ავადმყოფის პირადი გასინჯვის შემდეგ, არანაკლებ ერთხელ თვეში. თუ ავადმყოფის გასინჯვა შეუძლებელია — სპეციალისტის დაუსწრებელი კონსულტაციის შემდეგ.

II. იმ პირებზე, რომლებიც რესპუბლიკის ან ავტონომიური რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოების მიერ იგზავნებიან საკონსულტაციოდ ან სამკურნალოდ სხვა ქალაქში, შრომისუუნარობის ფურცელი გაიცემა სამკურნალო დაწესებულებების საექიმო-საკონსულტაციო კომისიის მიერ მხოლოდ მგზავრობისათვის საჭირო დღეებზე. მკურნალობისა და კონსულტაციის მთელს პერიოდზე ვადას აგრძელებს ის სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება, სადაც იგზავნება ავადმყოფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ შემთხვევაში, თუ საკონსულტაციოდ ან სამკურნალოდ იგზავნებიან I ჯგუფის ინვალიდები, 14 წლამდე ბავშვები ან 16 წლამდე ინვალიდი ბავშვები და თუ ავადმყოფს გამცილებლად არ ახლავს სამედიცინო მუშაკი, შრომისუუნარობის ფურცელი მგზავრობის დღეებზე გაიცემა საექიმო-საკონსულტაციო კომისიის მიერ გამცილებლებზე.

12. სტაციონარში მკურნალობის დროს შრომისუუნარობის ფურცელი გაიცემა მკურნალი ექიმის მიერ განყოფილების გამგესთან ერთად მკურნალობის პერიოდზე.

ავადმყოფის მოთხოვნით სტაციონარული მკურნალობის დროს (მათ შორის იძულებითი მკურნალობის დროს) შრომისუუნარობის ფურცლები შეიძლება გაიცეს პერიოდულად. ამავე წესით გაიცემა შრომისუუნარობის ფურცელი იმ ავადმყოფებზე, რომლებიც იმყოფებიან სტაციონარულ მკურნალობაზე მეტყველების დეფექტის გამო (ლოგონევროზი, დიზართრია, აფაზია).

იმ პირებზე, რომლებიც იმყოფებიან ფსიქიატრიულ (ნარკოლოგიურ) სტაციონარებში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების მიზნით და საექსპერტო დასკვნისა და სასამართლოს განჩინებით დატოვებული არიან სტაციონარულ მკურნალობაზე, გაიცემა შრომისუუნარობის ფურცელი სტაციონარში შემოსვლის დღიდან.

შრომისუუნარობის ფურცელი იხურება სტაციონარიდან გამოწერის დღიდან თუ მთლიანად აღსდგა შრომისუუნარობა. ცალკეულ შემთხვევაში შრომისუუნარობის ფურცლის ვადა შეიძლება გაგრძელდეს 1-3 კალენდარული დღით ორგანიზმის ფიზიოლოგიური ადაპტაციისათვის სამედიცინო და სოციალურ-პროფესიონალური ფაქტორის გათვალისწინებით.

სხვა ქალაქში მაცხოვრებლებს შრომისუუნარობის ფურცლის ვადა გაუგრძელდება იმ დღეებზე, რაც საჭიროა საცხოვრებელ ადგილზე მისვლისათვის.

ავადმყოფებს, რომლებსაც სტაციონარიდან გამოწერის შემდეგ ესაჭიროებათ ამბულატორიული მკურნალობა, შრომისუუნარობის ფურცელი გაუგრძელდებათ მკურნალი ექიმის მიერ განყოფილების გამგესთან ერთად, დადგენილი წესის მიხედვით.

შრომისუნარიან პირებს, რომლებიც გადიან სტაციონარულ გამოკვლევებს თავდაცვის სამინისტროს, საგამომძიებლო ორგანოების, პროკურატურის ან სასამართლოს მიმართვის თანახმად, აგრეთვე პროფპათოლოგიის ცენტრში, მიეცემათ ცნობა გამოკვლევის მთელ პერიოდზე.

13. სპეციალიზებული დისპანსერების (განყოფილებების, კაბინეტების) და ცენტრების არსებობის შემთხვევაში ავადმყოფებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ამ დაწესებულებების კომპეტენციას, შრომისუუნარობის ფურცელი მიეცემათ ამ დაწესებულებების ექიმების მიერ. გამონაკლისს წარმოადგენენ კარდიოლოგიური და ონკოლოგიური ავადმყოფები, რომლებსაც შრომისუუნარობის ფურცელს აძლევენ და უგრძელებენ აგრეთვე ამბულატორიულ-პროფილაქტიკური დაწესებულებების ექიმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეციალიზებული დისპანსერებისა და ცენტრების ექიმებს უფლება აქვთ შრომისუუნარობის ფურცელი გასცენ მხოლოდ თავისი პროფილით დაავადების დროს.

აღნიშნული დაავადებით ავადმყოფებს საერთო პროფილის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში მიმართვის შემთხვევაში გაეცემათ შრომისუუნარობის ფურცელი 3 კალენდარულ დღემდე ვადით სათანადო დისპანსერში (განყოფილებაში, კაბინეტში) შემდგომი გაგზავნით. ფსიქონევროლოგიური დისპანსერის (განყოფილების, კაბინეტის) ექიმებს შეუძლიათ გასცენ შრომისუუნარობის ფურცელი 3 კალენდარულ დღემდე ვადით ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით და ტოქსიკომანიით დაავადებულ პირებს მათი ნარკოლოგიურ დისპანსერში (განყოფილებაში, კაბინეტში) შემდგომი გაგზავნით.

ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერების და შიდსის პროფილაქტიკისა და ბრძოლის ცენტრის ექიმებს შეუძლიათ შრომისუუნარობის ფურცელი გასცენ და ვადა გაუგრძელონ აქტიური ტუბერკულოზით ან შიდსით დაავადებულ პირებს იმ დაავადებების გამო, რომელიც არ შედის აღნიშნული დისპანსერების და ცენტრის კომპეტენციაში, სათანადო სპეციალისტთან კონსულტაციის შემდეგ.

14. შრომისუნარიან პირებს ყველა გამოკვლევა და სამკურნალო პროცედურა უტარდებათ სამუშაოდან თავისუფალ დროს შრომისუუნარობის ფურცლის გაცემის გარეშე, რთული გამოკვლევებისა და მანიპულაციების გარდა.

15. დაავადების (ტრავმის) დროს შრომისუუნარობის ფურცელი გაიცემა შრომისუუნარობის დადგენის დღეს (12,17,19,21 და 25 პარაგრაფებში აღნიშნული შემთხვევების გარდა) და გრძელდება მის აღდგენამდე ან ინვალიდობის ჯგუფის დადგენამდე.

16. შრომისუუნარო პირებს, რომლებმაც დაამთავრეს სამუშაო დღე ან ცვლა, სამუშაოდან განთავისუფლება უდგინდებათ ექიმთან მომართვის მეორე დღიდან.

17. იმ პირებს, რომლებსაც აქვთ ფსიქიური დაავადება და დაავადების გამწვავების გამო ექიმს დროულად არ მიმართეს სამედიცინო დახმარებისათვის, გასული დღეების შრომისუუნარობის ფურცელი შეიძლება მიეცეთ საექიმო-საკონსულტაციო კომისიის მიერ არა უმეტეს ერთი კვირისა სამედიცინო დახმარებისათვის მიმართვამდე.

18. იმ შემთხვევაში, თუ შრომისუუნარობის პერიოდში ავადმყოფს აღმოაჩნდა ახალი დაავადება (ტრავმა), რომელმაც გამოიწვია დროებითი შრომისუუნარობის გაგრძელება, შრომისუუნარობის ფურცელი ახალ დაავადებასთან (ტრავმასთან) დაკავშირებით გაიცემა წინა დაავადების დამთავრების შემდეგ ან ავადმყოფის მოთხოვნით ახალი დაავადების (ტრავმის) გამო გამოწვეული დროებითი შრომისუუნარობის დადგენის დღიდან. ასეთ შემთხვევაში ადრე გაცემული საავადმყოფო ფურცელი უნდა დაიხუროს.

19. იმ პირებს, რომლებმაც მიმართეს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებას ჯანდაცვის პუნქტის მიმართვის საფუძველზე და ცნობილ იქნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომისუუნაროდ, შრომისუუნარობის ფურცელი მიეცემათ ჯანდაცვის პუნ-ქტში მიმართვის დღიდან.

იმ პირებს, რომლებიც შრომისუნარიანად არიან მიჩნეული, შრომისუუნა-რობის ფურცელი არ მიეცემათ, ხოლო მიმართვაზე აღინიშნება სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში ყოფნის დრო. იმათ, ვინც მუშაობდა საღამოს ან ღამის ცვლაში, მიეცემათ შრომიისუუნარობის ფურცელი ჯანდაც-ვის პუნქტში გამოცხადების თარიღით, ცვლის დამთავრებამდე.

20. საავადმყოფოს მიმღებ განყოფილებაში ან ტრავმატოლოგიურ პუნქტე-ბში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას იმ პირებს, რომლე-ბიც მიჩნეული არიან შრომისუუნაროდ, მიეცემათ შრომისუუნარობის ფურცელი 5 კალენდარულ დღემდე ვადით, ავადმყოფის შემდგომი გაგზავნით სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხე-დვით.

21. დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ იმ პირების შრომისუუნარო-ბას, რომლებიც დროებით იმყოფებიან საზღვარგარეთ, შეიძლება შეიცვალოს შრომისუუნარობის ფურცელზე საექიმო-საკონსულტაციო კომისიის მიერ საც-ხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით.

22. ხშირად და ხანგრძლივად მოავადე პირებს (კალენდარულ წელს ერთი და იგივე დაავადების გამო 4 და მეტი შემთხვევა, სულ 40 კალენდარული დღით ან სხვადასხვა დაავადების გამო 6 შემთხვევა სულ 60 კალენდარული დღით) შრომისუუნარობის ფურცელი მიეცემათ სპეციალურად გამოყოფილი ექიმის მიერ, რომელთანაც ავადმყოფი მკურნალობს მთავარი ექიმის განკარგულებით, სპეციალურად გამოყოფილი ექიმის არყოფნის შემთხვევაში; შრომისუუნარობის ფურცელი გაიცემა სხვა მკურნალი ექიმის მიერ განყოფილების გამგესთან ერ-თად. თუ აღნიშნული დაავადებით მკურნალობა არ ეკუთვნის გამოყოფილ ექიმს მისი პროფილის გამო, შრომისუუნარობის ფურცელს გასცემს სათანადო სპე-ციალობის ექიმი გამოყოფილი ექიმის მონაწილეობით. შრომისუუნარობის ფურცლის გაგრძელება წარმოებს დადგენილი წესით.

23. ორსულობის შეწყვეტის გამო ოპერაციის შემთხვევაში შრომისუუნა-რობის ფურცელი გაიცემა დადგენილი წესის მიხედვით (პარაგრაფები 7, 8, 9, 12).

24. ხანგრძლივად მოავადენი იგზავნებიან შესამოწმებლად საექიმო-შრომით საექსპერტო კომისიაზე არა უგვიანეს 4 თვისა დროებითი შრომისუუნარობის დადგენის დღიდან ან არა უგვიანეს 5 თვისა წყვეტილი შრომისუუნარობის შემ-თხვევაში უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში. ტუბერკულოზით დაავადებულ-ნი შესამოწმებლად საექიმო-შრომით საექსპერტო კომისიაზე იგზავნებიან არა უგვიანეს 10 თვისა შრომისუუნარობის დადგენის დღიდან უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში. არახელსაყრელი კლინიკური და შრომითი პროგნოზის მქონე პირები შესამოწმებლად საექიმო-შრომით საექსპერტო კომისიაზე შეიძლება გაიგზავნონ დადგენილ ვადაზე ადრე.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

25. იმ პირებს, რომლებიც მიჩნეული არიან ინვალიდად, შრომისუუნარობის ფურცელი ეხურებათ საექიმო-შრომით საექსპერტო კომისიაში დოკუმენტების რეგისტრაციის დღიდან.

იმ პირებს, რომლებსაც არ დაუდგინდა ინვალიდობა და არიან დროებით შრომისუუნარონი, შრომისუუნარობის ფურცლის ვადა უგრძელდებათ დადგენილი წესით (პარაგრაფები 7, 8, 9), მაგრამ არა უმეტეს 4 კალენდარული თვისა. იმ პირებს კი, რომლებიც არ არიან მიჩნეული ინვალიდებად, შრომისუუნარობის ფურცლის ვადა უგრძელდებათ საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების დღემდე.

თუ ავადმყოფი უარს აცხადებს საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის გავლაზე, შრომისუუნარობის ფურცელი არ გაუგრძელდება უარის თქმის დღიდან, რაც აღინიშნება შრომისუუნარობის ფურცელში. თუ არასაპატიო მიზეზით ავადმყოფი არ გამოცხადდა საექიმო-შრომით საექსპერტო კომისიაზე შესამოწმებლად, შრომისუუნარობის ფურცელი არ გაგრძელდება სშსკ საბუთების რეგისტრაციის დღიდან.

შრომისუუნარობის ფურცელი არ მიეცემათ I და II ჯგუფის იმ ინვალიდებს, რომელთაც დადგენილი აქვს ინვალიდობა, შრომითი რეკომენდაციის გარეშე.

შრომისუუნარობის ფურცლების გაცემა სანატორიულ-საკურორტო (ამბულატორიულ-საკურორტო) მკურნალობის დროს

26. სანატორიულ-საკურორტო (ამბულატორიულ-საკურორტო) მკურნალობის დროს შრომისუუნარობის ფურცელი გაიცემა მკურნალობისა და მგზავრობის მთელი პერიოდისათვის, მხოლოდ კუთვნილი შვებულების კალენდარული დღეების გამოკლებით, მიუხედავად იმისა, თუ ვის ხარჯზეა შეძენილი საგზური. 2-3 წლის შეჯამებული შებულების შემთხვევაში შრომისუუნარობის ფურცელი გაიცემა ასევე საერთო შვებულების დღეების გამოკლებით, თუ შვებულება გამოყენებულია სანატორიუმში წასვლამდე, შრომისუუნარობის ფურცელი გაიცემა გამოყენებული დღეების გამოკლებით.

27. სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისას შრომისუუნარობის ფურცელი გაიცემა სსკ მიერ სანატორიუმში გამგზავრებამდე შემდეგი საბუთების წარმოდგენისას:

— სანატორიულ-საკურორტო ან ამბულატორიულ-საკურორტო მკურნალობის საგზური;

— სანატორიულ-საკურორტო რუკა (ფ. № 072/უ);

— ადმინისტრაციის ცნობა შვებულების ხანგრძლივობის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ საგზური შეძენილია უშუალოდ კურორტზე, შრომისუუნარობის ფურცელი გაიცემა სსკ მიერ იმავე წესით სანატორიუმიდან დაბრუნების შემდეგ საგზურის დაბრუნების ტალონის, სანატორიულ-საკურორტო წიგნაკისა და შვებულების შესახებ ადმინისტრაციის ცნობის საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

28. თუ ავადმყოფი ტუბერკულოზით დაავადებულთა სანატორიუმში გაიგზავნა უშუალოდ სტაციონარიდან, შრომისუუნარობის ფურცელი გაიცემა სანატორიუმის მკურნალი ექიმის მიერ მთავარ ექიმთან ერთად იმ პერიოდზე, რაც სამედიცინო ჩვენებით საჭიროა მკურნალობისათვის, შვებულების გამოკლებით, რომელიც დადასტურებულია სამუშაო ადგილიდან ცნობით.

29. ტუბერკულოზიანთა სანატორიუმში მკურნალობის მთელ პერიოდზე გაიცემა შრომისუუნარობის ფურცელი შემდეგ შემთხვევებში:

— ერთ კალენდარულ წელს ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერის მიერ ავადმყოფის განმეორებით გაგზავნისას;

— იმ ავადმყოფს, ვისაც საჭირო მუშაობის სტაჟის უქონლობის გამო არ ეკუთვნის შვებულება.

30. იმ პირებს, რომლებიც მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის გადატანის შემდეგ, ასევე აორტოკორონალური შუნტირების, გულის ანევრიზმის, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის ოპერაციის, ნაღვლის ბუშტის ამოკვეთის გამო უშუალოდ სტაციონარიდან გაგზავნილი არიან სანატორიუმში მკურნალობის გასაგრძელებლად, სტაციონარში შრომისუუნარობის ფურცლის ვადა გაუგრძელდებათ იმ დღიდან, რომელ დღესაც იწყება საგზურის მოქმედება, აღნიშვნით „მკურნალობის გაგრძელება სანატორიუმში". შრომისუუნარობის ფურცლის ვადის შემდგომი გაგრძელება წარმოებს სანატორიუმის მკურნალი ექიმის მიერ განყოფილების გამგესთან ერთად მკურნალობის მთელ პერიოდზე, მათ შორის მგზავრობის დღეებზეც შვებულების გამოკლების გარეშე.

31. ავღანეთში მეომარ პირებს, რომლებიც იგზავნებიან სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრში, საგზურთან ერთად ადგილზე ეძლევათ ან უგრძელდებათ შრომისუუნარობის ფურცელი საგზურში ნაჩვენები პერიოდისათვის, მათ შორის მგზავრობის დღეებზეც.

32. საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სოხუმისა და წყალტუბოს ფილიალებში მკურნალობის მთელ პერიოდზე გაიცემა შრომისუუნარობის ფურცელი ფილიალის მკურნალი ექიმის მიერ განყოფილების გამგესთან ან დირექტორთან ერთად.

33. 16 წლამდე ინვალიდი ბავშვის ინდივიდუალური მოვლის აუცილებლობის შემთხვევაში, არსებული სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, სანატორიული მკურნალობის მთელ პერიოდზე, მათ შორის მგზავრობის პერიოდზე, ბავშვის ერთ-ერთ მშობელს ან მის აღმზრდელს მიეცემა შრომისუუნარობის ფურცელი.

34. პანსიონატებში, რომლებშიც ტარდება მკურნალობა, შრომისუუნარობის ფურცელი გაიცემა 26-ე და 27-ე პუნქტების თანახმად.

35. თუ მოქალაქე სანატორიულ-საკურორტო (ამბულატორიულ-საკურორტო) მკურნალობის დროს ან ტრავმის გამო გახდა დროებით შრომისუუნარო, შრომისუუნარობის ფურცელი გაიცემა და მისი ვადა გაგრძელდება დროებითი შრომისუუნარობის მთელ პერიოდზე მე-8, მე-9, მე-12 პუნქტების თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომისუუნარობის ფურცლის გაცემის გადაწყვეტილებას იღებს:

ა) მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი სამინისტროებისა და უწყებების სისტემის სანატორიუმებში — მკურნალი ექიმი განყოფილების გამგესთან ან სანატორიუმის მთავარ ექიმთან ერთად;

ბ) სხვა სანატორიუმებში — ტერიტორიული სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების ექიმი და სანატორიუმის მკურნალი ექიმი — მე-3 პუნქტის თანახმად;

გ) ამბულატორიულ-საკურორტო მკურნალობის დროს მე-3 პუნქტის თანახმად.

36. სანატორიულ-საკურორტო (ამბულატორიულ-საკურორტო) მკურნალობის დროს შრომისუუნარობის ფურცელი არ მიეცემათ:

— შრომისუნარიან პირებს, რომლებიც მკურნალობენ ადგილობრივ ბალნეოლოგიურ და ტალახით სამკურნალო დაწესებულებებში და პროფკავშირების საკურორტო ბალნეოლოგიურ და ტალახით მკურნალობის დაწესებულებებში;

— ასაკობრივ პენსიონერებს მათი დროებითი მუშაობის პერიოდში.

შრომისუუნარობის ფურცლის გაცემა ავადმყოფის მოვლისათვის

37. შრომისუუნარობის ფურცელი ავადმყოფის მოვლისათვის გაიცემა მისი მკურნალი ექიმის მიერ ოჯახის ერთ-ერთ წევრზე (მეურვეზე) და გაგრძელდება 7-10 პუნქტის თანახმად. შრომისუუნარობის ფურცელი გაიცემა ყოველი შემთხვევის დროს, როცა საჭიროა ავადმყოფის მოვლა. დოკუმენტები, რომლებიც გაცემულია საზღვარგარეთ ავადმყოფი ოჯახის წევრის მოვლის გამო, შეიძლება შეიცვალოს შრომისუუნარობის ფურცლით საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით სსკ-ის მიერ.

38. 14 წლის და მეტი ასაკის ავადმყოფის ამბულატორიული მკურნალობის დროს შრომისუუნარობის ფურცელი მოვლისათვის გაიცემა იმ ვადით, რომელიც წარმოადგენს საშიშროებას მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, მაგრამ არა უმეტეს 15 კალენდარული დღისა.

14 წლამდე ასაკის ბავშვის მოვლისათვის შრომისუუნარობის ფურცელი გაიცემა მწვავე დაავადების მთელ პერიოდზე ან რემისიის პერიოდის დადგენამდე ქრონიკული დაავადების გამწვავების შემთხვევაში, მაგრამ არა უმეტეს 20 კალენდარული დღისა.

შემდეგ პერიოდზე სამედიცინო დაწესებულება გასცემს სათანადო ცნობას, რომლის საფუძველზე ადმინისტრაციას შეუძლია გააფორმოს უხელფასო შვებულება.

სამ წლამდე ასაკის ან 16 წლის ასაკამდე ინვალიდი ბავშვის მოსავლელად დედის ავადმყოფობის შემთხვევაში შრომისუუნარობის ფურცელი მიეცემა მომუშავე ოჯახის წევრს, რომელიც ფაქტიურად ახორციელებს ასეთი ბავშვის მოვლას, მაგრამ არა უმეტეს 30 კალენდარული დღისა.

39. სტაციონარული მკურნალობისას ავადმყოფი ბავშვის მშობელს (მეურვეს) დროებითი შრომისუუნარობის ფურცელი ეძლევა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— 3 წლამდე ასაკის ბავშვის მოვლისათვის მკურნალობის მთელი პერიოდისათვის.

— 3 წელზე მეტი ასაკის ბავშვის მოვლისათვის — მხოლოდ იმ პერიოდისათვის, რომელიც ესაჭიროება ბავშვს, დაავადების სიმძიმის გათვალისწინებით.

40. შრომისუუნარობის ფურცელი არ გაიცემა:

— რემისიის პერიოდში ქრონიკული ავადმყოფის და I ჯგუფის ინვალიდის მოვლისათვის;

— სხვა ქალაქში საკონსულტაციოდ ან სამკურნალოდ გაგზავნილი ავადმყოფის გამცილებელს, გარდა მე-II პუნქტში აღნიშნულისა;

— ჯანმრთელი ბავშვის მოვლისათვის, გარდა შემთხვევებისა, რომლებიც აღნიშნულია 42-ე, 48-ე (მეხუთე აბზაცი) და 49-ე პუნქტებში.

შრომისუუნარობის ფურცელი კარანტინის დროს

41. პირებს, რომლებიც ბაცილმტარებლობის და ინფექციურ ავადმყოფთან კონტაქტის გამო გადაყენებული არიან სამსახურიდან, შრომისუუნარობის ფურცელს გასცემს ექიმ-ეპიდემიოლოგი ან ექიმ-ინფექციონისტი, მათი არყოფნის დროს — სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების მკურნალი ექიმი.

42. სკოლამდელ დაწესებულებაზე (ბავშვებზე) კარანტინის დადების შემთხვევაში მარტოხელა, ქვრივ და გაცილებულ დედებზე (მამებზე), აგრეთვე ვადიან სამხედრო სამსახურში მყოფთა ცოლებზე სამკურნალო დაწესებულება ან სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგური გასცემს შრომისუუნარობის ფურცელს იმ ვადით, რომელიც დადგენილია აღნიშნული დაწესებულებების მიერ.

შრომისუუნარობის ფურცლის გაცემა სხვა სამუშაოზე დროებითი გადაყვანის დროს

43. პროფესიული დაავადებით ან ტუბერკულოზით დაავადებულ დროებით შრომისუუნაროებს, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობით და მკურნალობაში ზიანის მიყენების გარეშე შეუძლიათ სხვა სამუშაოს შესრულება, შრომისუუნარობის ფურცელი სხვა სამუშაოზე დროებით გადაყვანის გამო მიეცემათ სს კომისიის მიერ (მისი არყოფნისას — მთავარი ექიმის ნებართვით).

შრომისუუნარობის ფურცლის ვადის გაგრძელება წარმოებს მე-7 და მე-8 პარაგრაფების თანახმად არა უმეტეს 2 კალენდარული თვით.

44. პირებს, რომლებმაც რადიაციული ან სამოქალაქო ან სამხედრო დანიშნულების ბირთვული ობიექტების ავარიების, აგრეთვე ჩერნობილის ბირთვული ელექტროსადგურის ავარიის ლიკვიდაციის შედეგად მიიღეს სხივური დაავადება და არიან დროებით შრომისუუნარონი თავის პროფესიაში და ჯანმრთელობის მდგომარეობით და მკურნალობაში ზიანის მიყენების გარეშე შეუძლიათ შეასრულონ სხვა სამუშაო, შრომისუუნარობის ფურცელი სხვა სამუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაოზე დროებით გადაყვანის გამო მიეცემათ სს კომისიის (მთავარი ექიმის) მიერ მე-7, მე-8 პარაგრაფების თანახმად შრომისუნარიანობის აღდგენამდე ან ინვალიდობის ჯგუფის დადგენამდე.

წყვეტილი შრომისუუნარობის ფურცლის გაცემა

45. ცალკეულ შემთხვევებში (მაგ. ჰემოდიალიზის ამბულატორიული სეანსები, სასუნთქი გზების ტუბერკულოზი, ანტირაბიული აცრების ჩატარება და სხვა) დაავადების ნიშანთვისებისა და ამბულატორიული მკურნალობის გათვალისწინებით, შრომისუუნარობის ფურცელი შეიძლება გაიცეს ცალკეულ დღეებზე — წყვეტილად.

წყვეტილი შრომისუუნარობის ფურცლის გაცემისას სამუშაოდან განთავისუფლება წარმოებს მხოლოდ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში გამოცხადების დღეებზე.

შრომისუუნარობის ფურცელი პროთეზირების დროს

46. პირებს, რომლებიც მოთავსებული არიან საპროთეზო-ორთოპედიული დაწესებულებების სტაციონარში, მიეცემათ შრომისუუნარობის ფურცელი სტაციონარში ყოფნის მთელ პერიოდზე, მათ შორის მგზავრობის დღეებზე — ექიმის მიერ მთავარ ექიმთან ერთად.

შრომისუუნარობის ფურცელი ორსულობისა და მშობიარობის დროს

47. შრომისუუნარობის ფურცელი ორსულობისა და მშობიარობის დროს გაიცემა ორსულობის 30 კვირიდან ერთდროულად 126 კალენდარული დღით მეანგინეკოლოგის მიერ, მისი არყოფნის შემთხვევაში — ექიმი თერაპევტის მიერ. იმ პირებს, რომლებიც ცხოვრობდნენ ჩერნობილის ტერიტორიაზე სადგურის აფეთქების დროს და ევაკუირებული იყვნენ, აგრეთვე ბირთვული ობიექტების ავარიის ლიკვიდაციის მონაწილეებს და ამ ტერიტორიაზე მცხოვრებთ შრომისუუნარობის ფურცელი მიეცემათ ორსულობის 27-ე კვირიდან ერთდროულად 146 კალენდარული დღით.

48. გართულებული მშობიარობის ან ორი ან მეტი ბავშვის დაბადების შემთხვევაში იმ სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების მიერ, სადაც მოხდა მშობიარობა, გაიცემა შრომისუუნარობის ფურცლის გაგრძელება 14 კალენდარული დღით.

30 კვირაზე ადრე მშობიარობის შემთხვევაში შრომისუუნარობის ფურცელი გაიცემა იმ სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების მიერ, სადაც მოხდა მშობიარობა 140 კალენდარული დღით ცოცხალი ბავშვის დაბადების დროს და 70 კალენდარული დღით — მკვდარი ბავშვის დაბადების დროს ან მშობიარობიდან 168 საათის შემდეგ ბავშვის სიკვდილის დროს.

თვითნებითი აბორტის დროს შრომისუუნარობის ფურცელი გაიცემა საერთო წესით.

30 კვირის (27 კვირის) ორსულობის შემთხვევაში ქალებს, რომლებსაც ყოფებიან ნაწილობრივ ანაზღაურებულ შვებულებაში ან დამატებით შვებულებაში ხელფასის შენარჩუნების გარეშე ბავშვის მოვლის გამო, შრომისუუნარობის ფურცელი მიეცემათ ორსულობისა და მშობიარობასთან დაკავშირებით შვებულების მთელ პერიოდზე საერთო წესით.

3 თვემდე ასაკის ბავშვის შვილად აყვანის დროს, ყველა შემთხვევაში, შრომისუუნარობის ფურცელი ქალს მიეცემა სტაციონარის ექიმის მიერ ბავშვის დაბადების ადგილის მიხედვით 126 კალენდარული დღით შვილად აყვანის დღიდან. თუ ბავშვის დაბადების ადგილი ცნობილი არ არის, შრომისუუნარობის ფურცელი გაიცემა ქალთა კონსულტაციის მიერ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ისეთივე ხანგრძლივობით.

49. მშობიარობის ან მშობიარობის შემდგომ დედის სიკვდილის შემთხვევაში შრომისუუნარობის ფურცელი მიეცემა მამას ან სხვა ნათესავს, რომელიც უვლის ახალშობილს, 4 კალენდარულ თვემდე ვადით.

50. ემბრიონის ჩანერგვის ოპერაციის წარმოების შემთხვევაში შრომისუუნარობის ფურცელი გაიცემა იმ სამკურნალო დაწესებულების მიერ, რომელმაც აწარმოა ოპერაცია, ჰოსპიტალიზაციის დღიდან ოსრულობის დადგენის ფაქტამდე 7, 9 და მე-12 პუნქტებში გათვალისწინებული წესით.

შრომისუუნარობის ფურცლის გაფორმება

51. შრომისუუნარობის ფურცელში ჩანაწერები კეთდება გარკვეულად, მკაფიოდ, შემოკლების გარეშე, მელნით ან პასტით. შეცდომები სწორდება წამლილი ტექსტის ზევით სწორი ტექსტის გაკეთებით და მოწმდება ჩანაწერით: „შესწორებულს ენდეთ“, ხელის მოწერით და დაწესებულების ბეჭდით.

52. დასკვნით დიაგნოზში იწერება დაავადება, რომელიც გახდა დროებითი შრომისუუნარობის მიზეზი და არა სიმპტომი.

ავადმყოფის მოვლის გამო გაცემულ შრომისუუნარობის ფურცლის დასკვნითი დიაგნოზის გრაფაში იწერება: „ავადმყოფის მოვლა“.

შრომისუუნარობის ფურცელზე ყოფნის პერიოდში ექიმის მიერ დადგენილი რეჟიმის უხეში დარღვევის, ექიმთან მიღებაზე გამოუცხადებლობისა და სიმთვრალის დადგენის შემთხვევაში აღნიშნულის შესახებ შრომისუუნარობის ფურცლის სათანადო გრაფაში კეთდება ჩანაწერი.

ავადმყოფს, რომელიც დანიშნულ დღეს არ გამოცხადდა ექიმთან და განაგრძობს შრომისუუნარობას, შრომისუუნარობის ფურცლის ვადა უგრძელდება მხოლოდ ექიმთან გამოცხადების დღიდან. თუ შრომისუუნარობა აღდგენილია, სამუშაოზე გაწერა ხდება გამოცხადების თარიღით. გრაფაში „შეუდგეს მუშაობას“ იწერება: „გამოცხადდა (თარიღი) შრომისუნარიანი“.

ექიმთან გამოუცხადებლობის დღეები აღინიშნება გრაფაში: „რეჟიმის დარღვევა“. გაცდენილი დღეები არ ითვლება (გამონაკლისია პარაგრაფი 17).

ეროვნული ბიბლიოთეკა

53. საექიმო-შრომით საექსპერტო კომისიაზე გაგზავნაზე ავადმყოფის მიერ უარის თქმის შემთხვევაში გრაფაში: „რეჟიმის დარღვევა“ აღინიშნება: „უარი თქვა სშსკ გატარებაზე“.

54. საექიმო-საკონსულტაციო კომისიის ან მთავარი ექიმის მიერ გაცემულ (გაგრძელებულ) შრომისუუნარობის ფურცელს ხელს აწერენ აღნიშნული ექიმები და ამოწმებენ დაწესებულების ბეჭდით.

55. თუ გაიცემა შრომისუუნარობის ვადაგაგრძელებული ფურცელი, ძველში იწერება ახალი, ვადაგაგრძელებული შრომისუუნარობის ფურცლის ნომერი, ხოლო ახალში — ძველი შრომისუუნარობის ფურცლის ნომერი.

56. შრომისუუნარობის ფურცლის დაკარგვის შემთხვევაში დაწესებულების (წარმოების) ხელმძღვანელის მომართვის საფუძველზე (სადაც უნდა აღინიშნოს, რომ შრომისუუნარობის ფურცელი არ ანაზღაურებულა) გაიცემა მისი დუბლიკატი, მომართვის თარიღით, რის შესახებ სამედიცინო საბუთში კეთდება სათანადო ჩანაწერი.

დუბლიკატს აფორმებს ექიმი, რომელმაც გასცა შრომისუუნარობის ფურცელი, ან მისი შემცვლელი, შრომისუუნარობის ფურცელზე მარჯვენა კუთხეში იწერება „დუბლიკატი“. გრაფა „სამუშაოდან განთავისუფლება“ ივსება ერთდროულად და მოწმდება გამცემი ექიმის ხელმოწერით.

ექიმის პასუხისმგებლობა და მისი მოქმედების გასაჩივრება

57. შრომისუუნარობის ფურცლის უსაფუძვლოდ გაცემისა და ვადის გაგრძელებისათვის ან არასწორი გაფორმებისათვის დამნაშავე ექიმი (სხვა მედმუშაკი) მიეცემა მატერიალურ, დისციპლინურ, ხოლო თუ არსებობს დანაშაულის ნიშნები — სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში.

58. დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის წარმოებაზე, შრომისუუნარობის ფურცლის გაცემა და გაგრძელებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების მთავარ ექიმს.

59. ექიმის მიმართ საჩივარს განიხილავს დაწესებულების მთავარი ექიმი (ხელმძღვანელი). თუ მომჩივანი არ ეთანხმება მის გადაწყვეტილებას — ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ზემდგომი ორგანო.

შრომისუუნარობის ფურცლების განაწილება, აღრიცხვა და შენახვა

60. შრომისუუნარობის ფურცელი არის მკაცრი აღრიცხვიანობის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს იმ პირის დროებით შრომისუუნარობის ფაქტს, ვისზეც იგი გაიცა და აძლევს სამუშაოდან განთავისუფლების უფლებას აღნიშნულ პერიოდში მთლიანად. შრომისუუნარობის ფურცელი წარმოადგენს აგრეთვე ძირითად საბუთს დახმარების დანიშვნისათვის დროებითი შრომისუუნარობის გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

61. შრომისუუნარობის ფურცლების განაწილების, აღრიცხვისა და შენახ-ვის საქმის ორგანიზაციისათვის პასუხს აგებენ:

— საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში — მინისტრის მოადგილე;

— ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივ ორგანოებში — უფროსის მოადგილე;

ის პირი, რომელიც უშუალოდ აწარმოებს ამ სამუშაოს, ინიშნება აღნიშნული ორგანოების ბრძანებით.

შრომისუუნარობის ფურცლების აღრიცხვიანობისა და შენახვისადმი კონტროლს ახორციელებს დაწესებულების ხელმძღვანელი, ხოლო უშუალო სამუშაოს ატარებს მთავარი (უფროსი) მედდა.

62. ექიმები (სხვა სამედიცინო მუშაკები) დახარჯული შრომისუუნარობის ფურცლების შესახებ ანგარიშს აბარებენ პასუხისმგებელ პირს.

მიღებული შრომისუუნარობის ფურცლების შენახვისათვის პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ ექიმებს (სხვა სამედიცინო მუშაკებს).

63. გაცემული შრომისუუნარობის ფურცელი აღირიცხება შრომისუუნარობის ფურცლების რეგისტრაციის წიგნში.

64. გაფუჭებული ან მოუკითხავი ბლანკები უქმდება ექიმის (სხვა სამედიცინო მუშაკის) მიერ, რომელმაც გასცა შრომისუუნარობის ფურცელი შემდეგნაირად: ბლანკი ჯვარედინად იშლება და იწერება „გაფუჭებულია“ ან „გაუქმებულია“ და ბარდება იმ პირს, ვისგანც მიიღო ბლანკი.

ბლანკების ყუები, გაფუჭებული და მოუკითხავი ბლანკები ინახება დაწესებულებაში 2 წლის განმავლობაში. ამასთან, ყუები და გაუქმებული ბლანკები ინახება ცალ-ცალკე, აღწერით, სადაც აღნიშნულია: ა) შრომისუუნარობის ფურცლის გამცემი ექიმის (სხვა სამედიცინო მუშაკის) გვარი; ბ) გაუქმებული ბლანკებისა და ყუების ჩაბარების თარიღი; გ) გაუქმებული შრომისუუნარობის ფურცლების სერია და ნომერი.

2 წლის გავლის შემდეგ ყუები და გაუქმებული ბლანკები დაწესებულების ბრძანების საფუძველზე ნადგურდება (დაწვა), რაც ფორმდება აქტით. განადგურების აქტი ინახება 10 წლის განმავლობაში.

65. დაწესებულებას, რომელსაც შრომისუუნარობის ფურცლის გაცემის უფლება აქვს, ევალება:

ა) მოამარაგოს ექიმები და სხვა სამედიცინო მუშაკები ბლანკებით, დააწესოს კონტროლი მისი ხარჯვისადმი;

ბ) კვარტალში ერთხელ ჩააბაროს ანგარიში ზემდგომ ორგანოებს დახარჯული ბლანკების შესახებ და განაცხადი საჭირო რაოდენობის ბლანკების მისაღებად;

გ) დააწესოს კონტროლი დაქვემდებარებულ დაწესებულებაში ბლანკების განაწილების, აღრიცხვიანობის და შენახვისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

155 სახელმწიფო გაერთიანება „საქქალაქმშენის“ შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ადგენს:

1. კაპიტალურ მშენებლობაში განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზაციის პროცესების დაჩქარების მიზნით, უწყებრივი მართვის ცენტრალიზებული სისტემიდან თვითმმართველობის პრინციპებზე გადასვლის, საქმიანობის დემონოპოლიზაციის და კონკურენციის გარემოს შექმნის მიზნით გამოიყოს რესპუბლიკური სახელმწიფო გაერთიანება „საქქალაქმშენი“ საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს სამეურნეო დაქვემდებარებიდან.

შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილებანი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 3 აპრილის № 254 დადგენილების № 2 დანართში.

2. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტის და გაერთიანება „საქქალაქმშენის“ ხელმძღვანელობამ დააჩქარონ გაერთიანების ორგანიზაციების და საწარმოების განსახელმწიფოებრიობის და პრივატიზაციის პროცესი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 10 ივლისი, № 714

156 რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის დაფინანსების ზოგიერთი საკითხის შესახებ

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის ეკონომიკური დაცვის უზრუნველსაყოფად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ადგენს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს წინადადება, შეთანხმებული საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან, და შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროსთან ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების ფონდი.

2. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი დებულება საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების ფონდის შესახებ, შეთანხმებული საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაწესდეს, რომ ფონდი იქმნება საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროსათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებიდან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ეკონომიით, მისი სისტემის სამეურნეო ორგანიზაციების მიერ ჩარიცხული თანხებიდან, რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებით დაინტერესებული საწარმო-ორგანიზაციებისა და კერძო პირების ნებაყოფლობითი შენატანებით.

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტრომ ცენტრალიზებულ ფონდებში დარჩენილი აუთვისებელი თანხები გადარიცხოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების ფონდში.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების ფონდში დარჩენილი თანხები რჩება საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს განკარგულებაში და ბიუჯეტში ამოღებას და დაბეგვრას არ ექვემდებარება.

მიეცეთ წინადადება ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შექმნან ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების რეგიონალური ფონდები.

4. ნება დაერთოს საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს, როგორც რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მომზადების და მათი ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებსა და სხვა საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის გენერალურ შემკვეთს, დადგენილი წესის შესაბამისად გამოყოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების ფონდის ნაწილი, ამ მიზნების განხორციელებისათვის.

5. უფლება მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს სპორტული ლატარიებიდან მიღებული მისი წილი შემოსავალი გამოიყენოს ნაკრები გუნდების მომზადების დამატებითი დაფინანსებისათვის ოლიმპიური რეზერვების სკოლების, სასწავლო-საწვრთნელი ცენტრებისა და ბაზების მშენებლობა-რემონტისათვის და მათი ტექნიკური აღჭურვილობისათვის.

6. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს ყოველწლიურად გამოუყოს საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს ფართო მოხმარების საქონელი სპორტულ ლატარიებში, სპრინტში, სპორტლოტოსა და სპორტპროგნოზში გამოვლენილ გამარჯვებულთათვის სათანადო ნივთმოგებების გასაცემად, წარდგენილი განაცხადის შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 14 ივლისი, № 723

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 14 ივლისის № 723
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების ფონდის შესახებ

1. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის ეკონომიკური და სოციალური დაცვის უზრუნველსაყოფად და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის „ “ ივლისის № დადგენილებით „ფიზიკური კულტურისა და სპორტის დაფინანსების ზოგიერთი საკითხის შესახებ“ იქმნება საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების ფონდი (შემდგომში „ფონდი“).

2. ფონდის სამართავად ცალკე სამეურნეო ორგანიზაცია არ შეიქმნება. მისი მართვა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს აპარატში მინისტრის ხელმძღვანელობით შექმნილი ფონდის მართვის კომისიის მიერ.

ფონდის სახსრები ირიცხება საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს სპეციალურ ანგარიშზე, რომელიც იხსნება საბანკო დაწესებულებებში უშუალოდ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების ფონდის შესაქმნელად. დაგროვილი თანხა ამოღებას არ ექვემდებარება.

3. ფონდის ანგარიშზე შემოსული და გასული თანხების აღრიცხვა მანეთებში და უცხოური ვალუტით წარმოებს ცალ-ცალკე.

4. ფონდი იქმნება:

— სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროსათვის გამოყოფილი დაფინანსებიდან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ეკონომიებით;

—საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს სისტემის სამეურნეო ორგანიზაციების მიერ ჩარიცხული თანხებიდან;

— საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს მიერ ჩატარებული სპორტული ლატარიებიდან მიღებული შემოსავლის იმ ნაწილიდან, რომელიც მოქმედი წესის შესაბამისად რჩება ამ სამინისტროს განკარგულებაში;

—ნაწილობრივ სპორტის ცალკეული სახეობების, ფედერაციების, კლუბების, საზოგადოებების, ასოციაციების, სპორტული ბაზების, ნაგებობებისა და მოედნების დირექციების მიერ ჩატარებული სპორტული ლატარიებიდან მიღებული შემოსავლებიდან;

— რესპუბლიკის ტერიტორიაზე საზღვარგარეთელი სპორტსმენების მონაწილეობით გამართული სპორტული ღონისძიებების შემოსავლებიდან;

— რესპუბლიკის ტერიტორიაზე ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში დაინტერესებული საწარმო-ორგანიზაციების (მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა) და ცალკეული მოქალაქეების მიერ ნებაყოფლობითი შენატანებისა.

5. ფონდის სახსრები გამოიყენება:

— რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების მიზნობრივი პროგრამების, ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის გამოკვლევების, სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის დასაფინანსებლად;

— საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის ეროვნული ნაკრები გუნდის მომზადების, ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოს, ევროპის ჩემპიონატებში მიღწეული განსაკუთრებული შედეგებისათვის სპორტსმენების, მწვრთნელების და სპეციალისტების დაჯილდოებისათვის, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის, ცალკეული სპორტული ფედერაციების, კლუბების, ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლების და სპორტული სკოლების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი ფინანსური დახმარების გასაწევად;

— სპორტსმენთა, მწვრთნელთა და სხვა სახის სპეციალისტთა სოციალური დაცვის ღონისძიებათა დასაფინანსებლად;

— რესპუბლიკის ნაკრები გუნდების და საკლუბო გუნდების სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციის, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების, მათი სპორტული ინვენტარით და მოწყობილობებით უზრუნველყოფის, სპეციალისტთა კადრების მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო სამუშაოების დასაფინანსებლად;

— ოლიმპიური რეზერვების, სასწავლებლების და სპორტული სკოლების სასწავლო-საწვრთნელი ბაზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, რემონტისა და ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესებისათვის;

— საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს დაქვემდებარების საწარმო-ორგანიზაციების საბრუნავი სახსრების შესავსებად, საბინაო მშენებლობის დასაფინანსებლად და ახლად შექმნილი საწარმო-ორგანიზაციების საწესდებო ფონდის შესაქმნელად;

— სპორტული ლატარიების ჩატარების ორგანიზაციისათვის და საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს დაქვემდებარების იმ საწარმო-ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის, რომლებიც ემსახურებიან სპორტული ლატარიების ჩატარებას;

— საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს აპარატის გაუთვალისწინებელი ხარჯების დაფინანსებისათვის;

— საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს სპორტულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად.

6. ფონდის გამოყენების ანგარიში ყოველწლიურად განიხილება საქართველოს სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს კოლეგიის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

157 საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალური დაცვის ფონდის ფინანსურ ლონისძიებათა შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალური დაცვის ფონდის ამაღლების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ადგენს:

1. 1992 წლის 1 აგვისტოდან საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე შრომის ანაზღაურების მინიმალური ფონდი (თანამდებობრივი სარგოები, განაკვეთები და სხვ.) განისაზღვროს თვეში 650 მანეთის ოდენობით.

შრომის ანაზღაურების მინიმალურ ფონდში არ გაითვალისწინება დანამატები, წანამატები, პრემიები და სხვა წამახალისებელი გასაცემლები.

2. ბიუჯეტზე არსებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მინიმალური თანამდებობრივი სარგოებისა და განაკვეთების 650 მანეთამდე გაზრდასთან დაკავშირებით 1992 წლის 1 აგვისტომდე მოქმედი თანამდებობრივი სარგოები და განაკვეთები გადიდდეს 30 პროცენტით. ამავე ოდენობით გადიდდეს ეროვნული მეურნეობის ყველა დარგში დასაქმებულ მუშაკთა შრომის საათობრივი ანაზღაურების განაკვეთები საშწავლო მეცადინეობის ჩატარებისათვის.

3. დაწესდეს, რომ მუშათა, მოსამსახურეთა და გადასახადით დაბეგვრის მხრივ მათთან გათანაბრებულ მოქალაქეთა ხელფასი და სხვაგვარი შემოსავლები თვეში 650 მანეთამდე ოდენობით, რაც მიღებულია მათ ძირითად სამუშაო (სამსახურის, სწავლის) ადგილზე, არ იბეგრება საშემოსავლო გადასახადით.

4. 1992 წლის 1 აგვისტოდან:

— განისაზღვროს სტუდენტთა და მოსწავლეთა სტიპენდიების ოდენობა თვეში თანამდებობრივი სარგოების (განაკვეთების) მინიმალური ფონდის (650 მანეთი) მიმართ სახელმწიფო უმაღლეს საშწავლებლებში: ფრიადოსანი სტუდენტებისათვის — 80 პროცენტის, მხოლოდ კარგი ან მხოლოდ კარგი და ფრიადი შეფასების მქონე სტუდენტებისათვის — 75 პროცენტის, ხოლო აკადემიური მოსწრების მქონე დანარჩენი სტუდენტებისათვის — 70 პროცენტის ოდენობით, შესაბამისად სახელმწიფო საშუალო სპეციალურ საშწავლებლებში — 70, 65 და 60 პროცენტი, ხოლო სახელმწიფო პროფსაშწავლებლებში — 60, 55 და 50 პროცენტი;

— სტუდენტთა ყველა სხვა კატეგორიისა და ასპირანტების სტიპენდიები გადიდდეს 30 პროცენტით;

— დოქტორანტებს სახელმწიფო სტიპენდია ეძლევათ დოქტორანტურაში ჩარიცხვამდე დანიშნული ხელფასის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს უფროსი მეცნიერი მუშაკის თანამდებობრივი განაკვეთისა (სარგოსი).

5. მოხუცებულობის პენსიების მქონე არამომუშავე პენსიონერთა, I და II ჯგუფის ინვალიდთა (მათ შორის ბავშვობიდან I და II ჯგუფის ინვალიდთა), 16 წლამდე ინვალიდ ბავშვთა სოციალური პენსიები, წელთა ნამსახურობისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პერსონალური პენსიები, მარჩენალის დაკარგვის გამო, ყველა სახის ინვალიდობის ჯგუფის ინვალიდობის და სოციალური პენსიები გადიდდეს 135 მანეთით.

6. ყველა მომუშავე (მათ შორის ვადიანი ხელშეკრულებით) პენსიონერს დაკავებული თანამდებობის მიუხედავად, პენსია ხელფასთან (შემოსავალთან) ერთად მიეცეს სრულად, თუ ხელფასმა (შემოსავალმა) და პენსიამ არ გადააჭარბა 2000 მანეთს. თუ ხელფასი (შემოსავალი) და პენსია აღემატება აღნიშნულ თანხას (2000 მანეთი), შესაბამისად შემცირდეს პენსია.

ეს წესი არ გავრცელდება ომის ინვალიდებზე, მათთან გათანაბრებულ პირებსა და შეღავათიანი პირობებით საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული № 1 სიით დანიშნული პენსიის მიმღებებზე.

7. დაწესდეს ბავშვიანი ოჯახებისათვის დახმარების შემდეგი ოდენობანი:

ა) 1,5 წლამდე ბავშვის მოვლისათვის ყოველთვიური დახმარება მინიმალური ხელფასის 60 პროცენტი — 390 მანეთი;

ბ) 1,5-დან 6 წლამდე ბავშვის მოვლისათვის ყოველთვიური დახმარება მინიმალური ხელფასის 50 პროცენტი — 325 მანეთი;

გ) მარტოხელა დედების და ალიმენტის ურჩი გადამხდელი მშობლების ბავშვებისათვის ყოველთვიური დახმარება მინიმალური ხელფასის 50 პროცენტი — 325 მანეთი.

8. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან არსებულ სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი რესპუბლიკური ფონდისა და საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსთან არსებული დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის დირექციებს შეიტანონ შესაბამისი ცვლილებანი შემოსავლებსა და ხარჯებში.

9. საიდუმლო

10. საიდუმლო

11. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციამ გააძლიეროს მუშაობა და უზრუნველყოს სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი სახსრების სრულად ამოღება.

12. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა (საკუთრების ფორმების მიუხედავად) შეუფერხებლად გადარიცხონ ბიუჯეტის, სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის და დასაქმების ფონდის კუთვნილი სახსრები.

13. საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატამ გააძლიეროს კონტროლი დამალული შემოსავლების გამოვლინებისა და საბიუჯეტო ასიგნებათა მიზნობრივად გამოყენებისადმი.

14. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით 1992 წლის 1 აგვისტოდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 17 აპრილის № 441 დადგენილების 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4, მე-6,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-7, მე-8 პუნქტები, მე-9 პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები, მე-14 და მე-15 პუნქტები.

15. ამ დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდეს პრესაში და გადაიცეს რადიოტელევიზიით.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 14 ივლისი, № 725

158 კერძო საწარმოებისათვის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა საზღვარგარეთ დროებით სამუშაოდ გასაგზავნად ლიცენზიების გაცემის დროებითი წესის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი კერძო საწარმოებისათვის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა საზღვარგარეთ დროებით სამუშაოდ გასაგზავნად ლიცენზიების გაცემის დროებითი წესი.

2. საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს უზრუნველყოს დადგენილი წესით ლიცენზიების გაცემა კერძო საწარმოებისათვის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა საზღვარგარეთ დროებით სამუშაოდ გასაგზავნად.

3. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს ლიცენზიის მქონე კერძო საწარმოთა მიერ წარდგენილი სიის შესაბამისად ოპერატიული ინფორმაციის დამუშავება და სათანადო ცნობების გაცემა.

4. საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსთან არსებულ შრომის სახელმწიფო ბირჟასთან და სახელმწიფო საბაჟო სამსახურთან ერთად სახელმწიფო ტერიტორიის საზღვრების სანიტარიული დაცვის მიზნით შრომით მიგრანტთა დაბრუნების პირობებში მიღებული საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით, უზრუნველყოს საკარანტინო სამედიცინო სამსახურის მუშაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრომ შეძლებისგვარად აღმოუჩინოს დახმარება კერძო საწარმოებს, რომელთაც აქვთ ლიცენზია, სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფის საქმეში შრომით მიგრანტთა სამუშაო ადგილზე გასამგზავრებლად.

6. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა საზღვარგარეთ დროებით საგუშაოდ გასაგზავნი ლიცენზიების გაცემის წესის შემდგომი სრულყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრომ აღნიშნული საქმიანობის შესახებ 1992 წლის ბოლოს წარმოუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას რეალური სიტუაციის ანალიზი და შესაბამისი კონკრეტული წინადადებანი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 16 ივლისი, № 729

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 16 ივლისის № 729
დადგენილებით

კერძო საწარმოებისათვის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა საზღვარგარეთ დროებით სამუშაოდ გასაგზავნად ლიცენზიების გაცემის დროებითი წესის შესახებ

I. ზოგადი დებულება

1.1. საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრო (შემდგომში „სამინისტრო") გასცემს ლიცენზიებს კერძო საწარმოებისათვის, რომელთაც დებულებებით (წესდებებით) გათვალისწინებული აქვთ საქართველოს მოქალაქეთა საზღვარგარეთ დროებით სამუშაოდ გაგზავნა.

II. ლიცენზიების გაცემა

2.1. საქართველოს რესპუბლიკის კერძო საწარმოები, რომლებსაც სურთ მიიღონ ლიცენზია საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა საზღვარგარეთ დროებით სამუშაოდ გასაგზავნად, შესაბამისი განცხადებით მიმართავენ სამინისტროს.

2.2. კერძო საწარმოების მიერ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა საზღვარგარეთ დროებით სამუშაოდ გაგზავნის მიზნით გაფორმებულ ხელშეკრულებაში (კონტრაქტში) ასახული უნდა იყოს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა სოციალური გარანტიები (სოციალური დაზღვევა, ხელფასი, საცხოვრებელი პირობები, სამედიცინო დაზღვევა, სამედიცინო მომსახურება, შრომის უსაფრთხოების პირობები და ა. შ.).

2.3. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა საზღვარგარეთ დროებით სამუშაოდ გასაგზავნი კონტინგენტის შერჩევას აწარმოებს კერძო საწარმო შრომის სახელმწიფო ბირჟის ხელშეწყობით, დადებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

2.4. კერძო საწარმოები, რომლებმაც მიიღეს ლიცენზია საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა საზღვარგარეთ დროებით სამუშაოდ გასაგზავნად, იხდიან სავალდებულო გადასახადებს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ხოლო მათ მიერ საზღვარგარეთ დასაქმებული მოქალაქეები გამომუშავებული თანხის 12 პროცენტს გადარიცხავენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სავალუტო ფონდში. ეროვნული ბანკის დადგენილი კურსით 3-პროცენტიანი სავალუტო ანარიცხის მანეთობრივი ანაზღაურება ხდება რესპუბლიკის დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის სასარგებლოდ, ხოლო 9 პროცენტი კი — სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი რესპუბლიკური ფონდის სასარგებლოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2.5. საკითხი ლიცენზიის გაცემის შესახებ განიხილება განცხადებებისა და სათანადო დოკუმენტების შეტანიდან 20 დღის განმავლობაში. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ სამინისტრო დასაბუთებული წერილით 3 დღის ვადაში აცნობებს კერძო საწარმოებს.

2.6. ლიცენზიის მიღებაზე ოფიციალური უარის შემთხვევაში კერძო საწარმოს უფლება აქვს გაასაჩივროს გადაწყვეტილება სასამართლოში ან საარბიტრაჟო სასამართლოში.

2.7. ლიცენზია გაიცემა კონკრეტულ კონტრაქტზე მისი მოქმედების ვადის განმავლობაში.

2.8. აკრძალულია ლიცენზიის სხვა იურიდიულ პირზე გადაცემა.

III. ვალდებულებანი

3.1. საქართველოს რესპუბლიკის კერძო საწარმოები ამ დებულების დარღვევისათვის ვალდებული არიან სახელმწიფოს წინაშე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.2. საქართველოს რესპუბლიკის კერძო საწარმოები, რომლებიც მიიღებენ ლიცენზიას, იხდიან ერთჯერად თანხას ერთი ათასი მანეთის ოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

159 საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყოფილი საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროს სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების სტატუსის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყოფილი საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროს სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებები დაექვემდებაროს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს განახორციელოს ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ყველა საჭირო ორგანიზაციული ღონისძიება.

3. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ განიხილოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა დაფინანსების საკითხი ამ სამინისტროს 1992 წლის ბიუჯეტის ფარგლებში.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 16 ივლისი, № 730

160 საქართველოს რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში საიდუმლოებათა დაცვის სახელმწიფო ინსპექციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად გაუქმდეს ცენზურის ორგანო — მთავლიტი და შეიქმნას მის ბაზაზე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში საიდუმლოებათა დაცვის სახელმწიფო ინსპექცია (საქართველოს საიდუმლოებათა დაცვის სახინსპექცია).

2. დაინიშნოს გიორგი ბაგრატის ძე ნაჭყებია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან არსებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში საიდუმლოებათა დაცვის სახელმწიფო ინსპექციის უფროსად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან არსებულ ერთ-სობრივი ინფორმაციის საშუალებებში საიდუმლოებათა დაცვის სახელმწიფო ინსპექციას დაინტერესებული სამინისტროების, უწყებებისა და ფირმების წარდგინებით ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას განსახილველად წარმოუდგინოს სახელმწიფო საიდუმლოებათა ნუსხის (თემატური დასახელება, შინაარსის გარეშე) ნომენკლატურა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 16 ივლისი, № 731

161 საქართველოს რესპუბლიკის ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს სტრუქტურისა და დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 18 მაისის № 581 დადგენილების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს თანდართული დროებითი დებულება, სტრუქტურა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაცია-დაწესებულებების ნუსხა.

2. საქართველოს რესპუბლიკის ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს ცენტრალური აპარატის მუშაკთა ზღვრული რიცხოვნობა განისაზღვროს 17 კაცით და წლის ბოლომდე 438.0 ათასი მანეთი შენახვის ხარჯებით, მათ შორის 317,0 ათასი მანეთი შრომის ანაზღაურების ფონდით.

ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს და მისი სისტემის ორგანიზაციების დაფინანსება განხორციელდეს საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტის ანგარიშზე.

3. საქართველოს რესპუბლიკის ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს კოლეგია განისაზღვროს 5 კაცის შემადგენლობით.

4. მთავარი სამმართველოს უფროსმა იყოლიოს 2 მოადგილე, მათ შორის **ერთი პირველი მოადგილე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს:

— რესპუბლიკის ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების არსებული ქსელის სრულყოფისა და უნიკალური ბუნებრივი ობიექტების საიმედოდ დაცვის მიზნით იზრუნოს მათი შემდგომი განმტკიცება-გაფართოებისა და საერთაშორისო ნორმებით აღიარებული ტერიტორიების (ბიოსფერული ნაკრძალი, დაცული ლანდშაფტი, მსოფლიო მემკვიდრეობის ნაკვეთი და სხვა) შექმნისათვის, ამ ქსელის განვითარების და საერთაშორისო ნორმებით აღიარებული სხვა დაცული ტერიტორიების კატეგორიის შექმნის დასაბუთებისათვის მჭიდროდ ითანამშრომლოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დარგობრივ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან;

— რესპუბლიკის შესაბამის ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან ერთად შეიმუშაოს ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების ტერიტორიების ქსელის განვითარება-გაფართოების პერსპექტიული პროგრამა და წარმოუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას დასამტკიცებლად;

— სამონადირეო მეურნეობის გონივრულად გაძღოლისა და სანადირო ფაუნის აღწარმოების მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებების განხორციელების საფუძველზე, სანადირო მეურნეობების ქსელის გაფართოების გზით, მიაღწიოს სასარგებლო გარეული ნადირ-ფრინველის სიმჭიდროვის გადიდებას რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე იმ ანგარიშით, რომ სამონადირეო მეურნეობამ, ბუნების დაცვის და კვლავწარმოების ფუნქციების გარდა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს რესპუბლიკის სასურსათო რესურსების გადიდებაში, ტურისტ მონადირეებთან სავალუტო ნადირობაზე ხელშეკრულებების დადების, სამმართველოს საქმიანობაში სამეურნეო ანგარიშიანობის პრინციპების განვითარების ხელისშეწყობისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 16 ივლისი, № 732

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 16 ივლისის № 732
დადგენილებით

საქართველოს რესპუბლიკის ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს ცენტრალური აპარატის

სტრუქტურა

ხელმძღვანელობა
ნაკრძალების განყოფილება
სამონადირეო მეურნეობის განყოფილება
ბუღალტერია
საერთო განყოფილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 16 ივლისის № 732
დადგენილებით

ნუსხა

საქართველოს რესპუბლიკის ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს დაქვემდებარებული ორგანიზაცია-დაწესებულებებისა

ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი
ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალი
ახმეტის სახელმწიფო ნაკრძალი
საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალი
ალგეთის სახელმწიფო ნაკრძალი
ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალი
ბიჭვინთა-მიუსერის სახელმწიფო ნაკრძალი
რიწის სახელმწიფო ნაკრძალი
სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალი
კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი
აჯამეთის სახელმწიფო ნაკრძალი
გუმისთის სახელმწიფო ნაკრძალი
ყაზბეგის სახელმწიფო ნაკრძალი
ლიახვის სახელმწიფო ნაკრძალი
გარდაბნის სახელმწიფო სატყეო სამონადირეო მეურნეობა
ყორულის სახელმწიფო სატყეო სამონადირეო მეურნეობა
ჭაჭუნის სახელმწიფო სატყეო სამონადირეო მეურნეობა
იორის სახელმწიფო სატყეო სამონადირეო მეურნეობა
კაცობურის სახელმწიფო სატყეო სამონადირეო მეურნეობა
თბილისის სარაიონთაშორისო ნადირობის ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახური
ქუთაისის სარაიონთაშორისო ნადირობის ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახური
აფხაზეთის ნადირობის ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახური
აჭარის ნადირობის ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახური

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 16 ივლისის № 732
დადგენილებით

დროებითი დებულება

საქართველოს რესპუბლიკის ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს შესახებ

1. საქართველოს რესპუბლიკის ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო (შემდგომში „მთავარი სამმართველო"), რომელიც შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 18 მაისის № 581 დადგენილების საფუძველზე ექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას.

მთავარი სამმართველო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს რესპუბლიკის კანონებით, საქართველოს მთავრობის იმ დადგენილებებით და განკარგულებებით, რომლებიც შეეხება საქართველოს რესპუბლიკის ნაკრძალების, ფლორისა და ფაუნის დაცვის, იშვიათი და გადაშენების პირას არსებული ფლორისა და ფაუნის სახეობათა აღდგენის, სამონადირეო მეურნეობის, სამონადირეო სპორტისა და რეწვის განვითარებას. ამ საქმიანობას იგი ეწევა სამმართველოს სისტემის ორგანიზაცია-დაწესებულებებისა და ავტონომიურ რესპუბლიკათა შესაბამისი უწყებების და მათთან არსებული ორგანიზაციების მეშვეობით.

მთავარი სამმართველო ახორციელებს კონტროლს რესპუბლიკის ნაკრძალებში სანაკრძალო ღონისძიებებისა და სანადირო სავარგულებში სამონადირეო მეურნეობის სწორად გაძღოლისადმი. აფორმებს სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე სამონადირეო მეურნეობათა მიწერას და დებს მათთან ხელშეკრულებებს მიწერის შესახებ. აკონტროლებს ნადირობის შესახებ კანონების დაცვას საქართველოს რესპუბლიკის მონადირეთა საზოგადოებისა და ქურქ-ბეწვეულის დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ.

2. მთავარ სამმართველოს სათავეში უდგას სამმართველოს უფროსი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

მთავარი სამმართველოს უფროსს ჰყავს 2 მოადგილე, მათ შორის ერთი პირველი მოადგილე, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა მთავარი სამმართველოს უფროსის წარდგინებით.

3. მთავარი სამმართველოს უფროსი ხელმძღვანელობს სამმართველოსა და მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების, ორგანიზაციების, საწარმოების, სახელმწიფო სამონადირეო ზედამხედველობის სამსახურის მთელ საქმიანობას და ამის შესაბამისად:

ა) შეიმუშავებს და საქართველოს მთავრობაში დასამტკიცებლად შეიტანს იმ დადგენილებათა და განკარგულებათა პროექტებს, რომლებიც შეეხება საქართველოს რესპუბლიკაში ნაკრძალების, სამონადირეო მეურნეობების, ფაუ-

ნის დაცვა-აღდგენის, სამონადირეო სპორტისა და რეწვის განვითარებას, ამოწმებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულებას, რომლებიც შეეხება ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების საქმიანობას;

ბ) გამოსცემს ბრძანებებს და ინსტრუქციებს საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონების, საქართველოს მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა საფუძველზე და ამოწმებს მათ შესრულებას. მთავარი სამმართველოს მიერ გამოცემული ბრძანებები და ინსტრუქციები ნაკრძალების, სამონადირეო მეურნეობების, სამონადირეო სპორტის და რეწვის გაძღოლის საკითხებზე სავალდებულოა საქართველოს რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და მოქალაქისათვის;

გ) ამტკიცებს უშუალოდ დაქვემდებარებულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა დებულებებს, წესდებებს, სტრუქტურას, შტატებს, გეგმებს, ხარჯთაღრიცხვებსა და ბალანსებს;

დ) ნიშნავს თანამდებობებზე და ათავისუფლებს თანამდებობიდან მთავარი სამმართველოს ცენტრალური აპარატის მუშაკებს, აგრეთვე მთავარი სამმართველოს სისტემაში შემავალ ყველა დაწესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს და მეცნიერ მუშაკებს;

ე) აუქმებს მთავარი სამმართველოსადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა დირექციების ბრძანებებს და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონებს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებებს, განკარგულებებს, მთავარი სამმართველოს ბრძანებებს, დადგენილებებს და ინსტრუქციებს.

4. მთავარ სამმართველოში იქმნება კოლეგია, კოლეგიის პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა მთავარი სამმართველოს უფროსის წარდგინებით.

კოლეგია თავის სხდომებზე განიხილავს:

— ნაკრძალების ფლორისა და ფაუნის იშვიათი სახეობების დაცვა-აღდგენის, სამონადირეო მეურნეობების, სამონადირეო სპორტის და რეწვის განვითარებას, დაქვემდებარებული დაწესებულებების, ორგანიზაციების და საწარმოების საქმიანობის შემოწმების, კადრების შერჩევის ძირითად საკითხებს;

— მთავარი სამმართველოს უფროსის უმნიშვნელოვანეს ბრძანებათა და ინსტრუქციათა პროექტებს, ისმენს მთავარ სამმართველოსა და მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელი მუშაკების ანგარიშს.

კოლეგიის გადაწყვეტილება ხორციელდება მთავარი სამმართველოს უფროსის ბრძანებით.

თუ მთავარი სამმართველოს უფროსი და კოლეგია ვერ შეთანხმდნენ, სამმართველოს უფროსს უფლება აქვს განახორციელოს თავისი გადაწყვეტილება, ამასთან წამოჭრილი უთანხმოების შესახებ უნდა აცნობოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. მთავარ სამმართველოში შეიქმნება სამეცნიერო საბჭო, რომელიც ხელმძღვანელობს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში სამეცნიერო საქმიანობას.

სამეცნიერო საბჭოს დებულებას, აგრეთვე საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს მთავარი სამმართველოს კოლეგია. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეობს მთავარი სამმართველოს უფროსი.

6. მთავარი სამმართველოს ცენტრალური აპარატის მუშაკთა რიცხოვნობას, სტრუქტურას და შესანახი ხარჯების ოდენობას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

7. მთავარი სამმართველო:

ა) შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო ნაკრძალებში და სამონადირეო მეურნეობებში ფლორისა და ფაუნის, მათი ბუნებრივი კომპლექსების დაცვა-გამდიდრებას და აღდგენას, განახორციელებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თემატიკურ გეგმას, რომელიც უზრუნველყოფს ეკოსისტემების ბუნებრივ შემადგენლობათა შენარჩუნებას და კვლავწარმოებას, მათში დარღვეული ბუნებრივი კავშირურთიერთობების აღდგენა-რეგულირებას, ნაკრძალებში დაცული გენოფონდის აღრიცხვა-ინვენტარიზაციას, მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას, ბუნების დაცვის საკითხების გადაწყვეტას;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, მთავარი სამმართველოს სამეცნიერო საბჭოსა და სხვა ორგანოების მეშვეობით უზრუნველყოფს სახელმწიფო ნაკრძალების ზონალური სამეცნიერო საბჭოებისა და მათი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისადმი სწორ მეთოდურ ხელმძღვანელობას და სათანადო კოორდინაციას, სამეცნიერო-კვლევითი შრომების, ცალკეული მონოგრაფიების გამოცემას;

გ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ეწევა სანაკრძალო და ბუნების დაცვის საქმიანობის პროპაგანდას;

დ) წარმართავს მოქალაქეთა ეკოგანათლებას;

ე) ცხოველთა სამყაროს გენოფონდის, განსაკუთრებით იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობების შენარჩუნების, მათთვის ხელსაყრელი საარსებო პირობების — რეზერვატების, აღკვეთილების შექმნის და მათი კვლავწარმოების უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშავებს და ატარებს საჭირო ბიოტექნიკურ ღონისძიებებს, საჭიროების შემთხვევაში ზრუნავს ნაკრძალებში მათ რეინტროდუქციაზე;

ვ) შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სასარგებლო ნადირ-ფრინველის დაცვა-მომრავლება. უზრუნველყოფს სახელმწიფო სამონადირეო ფონდის აღრიცხვას და კვლავწარმოებას;

ზ) განახორციელებს სახელმწიფო სამონადირეო ფონდის დაცვას სახელმწიფო სამონადირეო ზედამხედველობისა და საგარეო სამსახურის მეშვეობით;

თ) აუცილებლობის შემთხვევაში რესპუბლიკის ტერიტორიაზე კრძალავს ცალკეულ სახეობათა ნადირ-ფრინველის მოპოვებას, ამასთანავე განსაზღვრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვადით კრძალავს ნადირობას როგორც მთლიანად რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ისე ცალკეულ რაიონებში;

ი) ეწევა სამეწარმეო საქმიანობას მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

კ) ეწევა სამონადირეო სავარგულების გამოკვლევასა და მოწყობას, განსაზღვრავს მათი სახელმწიფო, კოოპერაციული ორგანიზაციებისათვის მიმაგრების სისწორეს და მიზანშეწონილობას;

ლ) ამზადებს წინადადებებს სამონადირეო მეურნეობის პროდუქციის დამზადების თაობაზე და წარუდგენს განსახილველად რესპუბლიკის მთავრობას დადგენილი წესით;

მ) ადგენს ნადირობის ვადებსა და წესებს;

ნ) კონტროლს უწევს ნადირობის წესებისა და ვადების დაცვას;

ო) გასცემს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამეცნიერო, კულტურული, ვეტერინარული, განსახლების, სამეურნეო და სპორტული მიზნებისათვის ნადირისა და ფრინველის მოპოვების ნებართვებს;

პ) განახორციელებს ღონისძიებებს სოფლის მეურნეობისათვის ზიანის მომტან მტაცებელ ცხოველთა რიცხვის რეგულირების მიზნით.

8. მთავარ სამმართველოს უფლება აქვს დადგენილი წესით დააფუძნოს გამომცემლობა.

9. მთავარი სამმართველოს დადგენილი წესით:

ა) წარუდგენს ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის ბიოტექნიკური ღონისძიებების, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, კაპიტალური დაბანდებებისა და კაპიტალური რემონტის გეგმებს, საფინანსო, შემოსავლისა და გასავლის ბალანსებს;

ბ) ამტკიცებს დაქვემდებარებულ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა გეგმებს, შტატებს და დაფინანსების ლიმიტებს და განახორციელებს ზედამხედველობას მათი საწარმოო და საფინანსო საქმიანობისადმი;

გ) ხელმძღვანელობს ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების კადრების შერჩევა-განაწილებას და მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას;

დ) ამყარებს საქმიან კონტაქტებს და სდებს ხელშეკრულებებს რესპუბლიკისა და საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო თუ საწარმოო დაწესებულებებთან, ფირმებთან, კოოპერატივებთან და კერძო პირებთან, აგრეთვე ტურისტ მონადირეებთან სავალუტო ნადირობის შესახებ;

ე) ხელმძღვანელობს საბუღალტრო აღრიცხვის და ანგარიშგების საქმეს სამმართველოსადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში და ამტკიცებს მათ ბალანსებს; შეადგენს პერიოდულ და წლიურ საბუღალტრო ანგარიშებს სამმართველოს საქმიანობის ყველა დარგის მიხედვით;

ვ) ამზადებს გამოსაცემად ლიტერატურას ნაკრძალების, სამონადირეო მეურნეობისა და სამონადირეო სპორტის საქმიანობის შესახებ;

ზ) კონტროლს უწევს მასალების ხარჯვის ნორმების დაცვას, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების სწორ გამოყენებას და მოვლას.

10. მთავარი სამმართველო თავის უფლებამოსილებათა ფარგლებში:

ა) შესაბამის ორგანოებს უგზავნის მასალებს ნადირობის წესებისა და გადების, ცხოველთა სამყაროთი სხვა სახის სარგებლობის წესების, სანაკრძალო რეჟიმის დარღვევის შესახებ დამრღვევთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად, თავისი სამსახურების მეშვეობით განიხილავს და წაუყენებს დამრღვევთ სამოქალაქო სარჩელს სახელმწიფო სამონადირეო ფონდისადმი მიყენებული ზარალის გამო;

ბ) ხელმძღვანელობს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, თბილისისა და ქუთაისის სარაიონთაშორისო სახელმწიფო სამონადირეო ზედამხედველობის და საეგერო სამსახურის მუშაობას. ამასთანავე კონტროლს უწევს რესპუბლიკის სამონადირეო ზედამხედველობის მთელი სისტემის მუშაობას.

გ. ატარებს ნომენკლატურის მიხედვით დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა მუშაკების ატესტაციებს.

10. მთავარი სამმართველო არის იურიდიული პირი, აქვს შტამპი და ბეჭედი, რომლებზედაც გამოსახულია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი და სამმართველოს სახელწოდება.

11. მთავარ სამმართველოს გააჩნია საბრუნავი საშუალებანი და საწესდებო ფონდი.

მთავარი სამმართველოს და მისი სისტემის ორგანიზაციების დაფინანსება ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტის ანგარიშზე.

12. მთავარი სამმართველოს პასუხისმგებელ მუშაკებს, სახელწიფო ნაკრძალების და სამონადირეო მეურნეობათა მუშაკებს (საანგარიშო დარგისა და ტექნიკური პერსონალის გარდა) სახელმწიფო სამონადირეო ზედამხედველობის სამსახურის მუშაკებს, მონადირეობისმცოდნეებს უფლება აქვთ ატარონ პისტოლეტი, ხოლო ნადირობის სახელმწიფო ეგერებს — კარაბინი.

13. მთავარი სამმართველოს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხდება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

162 ა. მ. ბალანჩივაძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორისა და საზოგადო მოღვაწის შოთა რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, სახალხო არტისტის ანდრია მელიტონის ძე ბალანჩივაძის ხსოვნის უკვდავსაყოფად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. მიეკუთვნოს ანდრია ბალანჩივაძის სახელი თბილისის ერთ-ერთ სამუსიკო სკოლას.

2. დაწესდეს ანდრია ბალანჩივაძის სახელობის ერთი სტიპენდია თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის წარჩინებული სტუდენტისათვის მისთვის გამოყოფილი სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

3. ქალაქ თბილისის მერიამ:

— მელიტონ ბალანჩივაძის ქუჩას მიაკუთვნოს მელიტონ და ანდრია ბალანჩივაძეების სახელი

— გაუკეთოს მემორიალური დაფა სახლს (ალ .ყაზბეგის გამზირი № 20ა), სადაც ცხოვრობდა ანდრია ბალანჩივაძე;

— კეთილმოაწყოს ანდრია ბალანჩივაძის საფლავი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

4. დაიდგას ანდრია ბალანჩივაძის ბიუსტი ქალაქ თბილისში. ქალაქ თბილისის მერიამ, საქართველოს მხატვართა კავშირმა და თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ,მა ცენტრმა გადაწყვიტონ ბიუსტის ადგილისა და ავტორის შერჩევის საკითხები.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წლის 16 ივლისი, № 733

ეროვნული ბიბლიოთეკა

163 საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის დაწესებულებებში ანაბრების საპროცენტო განაკვეთების გაზრდის შესახებ

ფასების ლიბერალიზაციის პირობებში მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის გაზრდის, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და რესპუბლიკაში ფულის მიმოქცევის განმტკიცების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს 1992 წლის 1 ივლისიდან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის დაწესებულებებში არსებულ ანაბრებზე საპროცენტო განაკვეთები:

მოთხოვნამდე ანაბარი — 5 პროცენტი.
1 წელზე მეტი 3 წლამდე — 10 პროცენტი,
3 წელზე მეტი 5 წლამდე — 15 პროცენტი,
5 წელზე მეტი 8 წლამდე — 20 პროცენტი,
8 წელზე მეტი 10 წლამდე — 25 პროცენტი,
10 წელზე მეტი — 30 პროცენტი.
ბავშვთა მიზნობრივი ანაბარი — 30 პროცენტი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 16 ივლისი, № 735

ეროვნული ბიბლიოთეკა

164 საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ მეურნეობაში უნაღდო ანგარიშსწორების მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული მეურნეობის საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის უნაღდო ანგარიშსწორების მოწესრიგების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა:

— უზრუნველყოს ა. წ. 15-დან 25 ივლისამდე რესპუბლიკაში დარგთაშორისი ჩათვლების ჩატარება ბანკის სესხების მონაწილეობით 1992 წლის 1 ივლისის მდგომარეობით ბანკებში არსებული საგადასახადო საბუთების საფუძველზე, საურავის დარიცხვის გარეშე;

— ჩათვლებში მონაწილეობა მიაღებინოს რესპუბლიკის ეროვნული მეურნეობის დარგების სამეურნეო ანგარიშზე არსებულ მხოლოდ სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებს, მიუხედავად მათი ფინანსური მდგომარეობისა. ჩათვლებში არ დაიშვებიან საწარმოები და ორგანიზაციები, რომელთაც ჩაშლილი აქვთ აღრიცხვა-ანგარიშგება;

— ჩათვლებში მონაწილე საწარმოებსა და ორგანიზაციებზე სესხი გაიცეს სამი თვის ვადით, წლიური 25 პროცენტის გადახდევინებით.

2. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტმა, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა ორი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას წინადადება ჩათვლების დროს გაცემული დაფარვით არაუზრუნველყოფილი სესხების განკარგვის თაობაზე.

3. საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა შექმნილი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად განახორციელონ ქმედითი ორგანიზაციულ-ეკონომიკური ღონისძიებანი და შიდა რეზერვების მაქსიმალური მობილიზაციით უზრუნველყონ ბანკის სესხებზე ვადაგადაცილებული დავალიანების მკვეთრად შემცირება.

4. გადახდების რეჟიმისა და ვალდებულებათა დაფარვის ვადების დაცვისათვის საწარმოებისა და ორგანიზაციების პასუხისმგებლობის ამაღლების, მათდამი ბანკის ზედმეტი მეურვეობის ლიკვიდაციის და ანგარიშსწორების სისტემის საბაზრო ურთიერთობებთან შესატყვისობაში მოყვანის მიზნით 1992 წლის 1 ივლისიდან შეწყდეს ბანკების დაწესებულებებში დოკუმენტების მიღება № 2 კარტოთეკაში და საგადასახადო მოთხოვნებით ანგარიშსწორების ნაცვლად შემოღებულ იქნეს ანგარიშსწორების ფორმა საგადასახადო მოთხოვნა-დავალებებით.

საგადასახადო მოთხოვნები, რომლებიც შემოვა 1992 წლის 1 ივლისის შემდეგ, გადაცემული იქნეს კლიენტებზე. დოკუმენტები, რომლებიც მოთავსებული იყო № 2 კარტოთეკაში 1992 წლის 1 ივლისამდე, დარგთაშორისი ჩათვლების დამთავრების შემდეგ სათანადო აღწერილობით გადაეცეთ კლიენტებს (გადამხდელებს), რომლებმაც უნდა უზრუნველყონ თავიანთი დავალებებით მომწოდებელთა ანგარიშების განაღდება.

5. უფლება მიეცეთ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრონ მათი ანგარიშებიდან გადახდების რიგითობა.

გაუქმდეს გადასახდელთა კალენდარული რიგითობის წესი და მოეხსნათ ბანკებს პასუხისმგებლობა თანხების მიმღებთა სასარგებლოდ გადამხდელებზე საურავის დარიცხვისა და გადახდევინებისათვის.

6. დაწესდეს, რომ ანგარიშსწორების დაგვიანებისათვის საურავის დარიცხვა და გადახდევინება განხორციელდება მომწოდებელსა და გადამხდელს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

7. ბანკის დაწესებულებებში № 2 კარტოთეკაში საგადასახადო დოკუმენტების მიღების შეწყვეტასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ ერთი კვირის ვადაში შეიმუშაონ ბიუჯეტში გადასახდელების და ხელფასთან გათანაბრებული გადასახდელების განაღდების წესი.

8. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ უზრუნველყოს ბანკების დაწესებულებათა შორის საბანკო დოკუმენტების ყოველდღიურად მიტანა სპეცკავშირის ფელდიეგერების მეშვეობით, სადაც ეს შესაძლებელია საავიაციო ტრანსპორტის საშუალებით.

9. ნება დაერთოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს ხელი მოაწეროს შეთანხმებას ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან საკორესპონდენტო ანგარიშებით ანგარიშსწორების წესის შესახებ და უზრუნველყოს მონაწილეობის მიღება სახელმწიფოთაშორის ჩათვლებში.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 16 ივლისი, № 736

ეროვნული ბიბლიოთეკა

165 კოოპერაციული ბინათმშენებლობის ღირებულების გაძვირებით გამოწვეული ფასთა სხვაობის კომპენსაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა აღნიშნავს, რომ თავისუფალი ფასების ამოქმედებამ, ბანკის სესხის საურავის პროცენტის გაზრდამ, დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის დაწესებამ გამოიწვია საბინაო მშენებლობის ღირებულების მკვეთრი გაზრდა.

1991 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით რესპუბლიკაში დაწყებული 106 კოოპერატიული საცხოვრებელი სახლის მშენებლობის (ან გაფორმებული ხელშეკრულების) დასამთავრებლად 1984 წლის ფასებით საჭიროა 155 მლნ. მანეთი, რაც 1992 წელს რეალურად მოსალოდნელ ფასებში შეადგენს 3 მლრდ. მანეთს.

კოოპერაციული ბინათმშენებლობის ღირებულების ასეთმა მკვეთრმა გაზრდამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა საბინაო სამშენებლო კოოპერატივების წევრები. მოსახლეობის ამ ფენის სოციალური დაცვის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. 1991 წლის 1 იანვრამდე დაწყებული კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ღირებულების გაძვირებით გამოწვეული ფასთა სხვაობის კომპენსაცია განხორციელდეს 70 პროცენტის ოდენობით რესპუბლიკის ბიუჯეტის, ხოლო დანარჩენი 30 პროცენტისა და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მთლიანი თანხის დაფარვა კი — კოოპერატივის წევრთა სახსრებით.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა 1992 წელს შესასრულებელი სამუშაოების დასაფინანსებლად მიმდინარე წელს გამონახოს და ამ მიზნით გამოუყოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს უპროცენტო სესხის სახით საკრედიტო რესურსები, ხოლო ამ უკანასკნელმა 1993 წლის ბიუჯეტის პროექტში გაითვალისწინოს აღნიშნული სესხის დაფარვა ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიხედვით.

2. საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტრომ გააგრძელოს და 1992 წელს დაამთავროს იმ კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, რომელთა მზადყოფნა 50 პროცენტს აღემატება.

მშენებლობის ღირებულების გაძვირებით გამოწვეული ფასთა სხვაობის კომპენსაცია განხორციელდეს ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისა და ერთიანი შემკვეთის მიერ დაზუსტებული მონაცემების საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროში წარდგენის შემდეგ, ამ დადგენილების პირველი პუნქტის შესაბამისად.

ანალოგიური წესით გაგრძელდეს 1992 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დაუმთავრებელი კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობა 1993-1994 წლებში, რომელთა რიგითობა განსაზღვრონ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა, სათანადო მასალების საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროში წარდგენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. იმ ობიექტების მშენებლობაზე, რომლებზეც საიჯარო ხელშეკრულება დადებულია 1991 წლის 1 იანვრის შემდეგ, დამატებითი ხარჯების კომპენსაცია მოხდეს მთლიანად კოოპერატივების სახსრების ხარჯზე მოიჯარე ორგანიზაციასთან შეთანხმებული სახელშეკრულებო ფასების საფუძველზე.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 25 მაისის № 437 დადგენილება კოოპერაციული ბინათმშენებლობის ნაწილში.

5. საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატამ საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროსთან ერთად შეამოწმოს მშენებარე კოოპერაციული სახლების მშენებლობის კონკრეტული მდგომარეობა ცალკეული ობიექტების მიხედვით შესრულებულ სამუშაოთა რეალური მოცულობისა და დარჩენილი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გამოვლენის მიზნით.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 16 ივლისი, № 744

166 სახალხო მეურნეობის ობიექტების დაცვის შემდგომი მოწესრიგებისა და ტექნიკური საშუალებებით მათი აღჭურვის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა გარკვეული ღონისძიებანი განახორციელეს სახალხო მეურნეობის ობიექტების დაცვის შემდგომი მოწესრიგებისათვის.

ამასთან, ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების საქმიანობა არ შეესაბამება თანამედროვე გაზრდილ მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამსახური ჯერ კიდევ ჯეროვნად არ არის უზრუნველყოფილი ობიექტების დაცვისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებით. სააბონენტო (ტრანზიტული) ტელეფონის ხაზების უკმარისობა ხელს უშლის ცენტრალიზებული დაცვის გაუმჯობესების საკითხების გადაწყვეტას.

გაუმჯობესებას საჭიროებს აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში დაცვის არსებული სამსახურის საქმიანობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკაში დაქირავებული დაცვის მუშაკები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფენ სახელმწიფო ქონების დაცვას, რაც აუცილებელს ხდის რესპუბლიკაში დაცვის სამსახურის მძლავრი სტრუქტურის ჩამოყალიბებას.

სახალხო მეურნეობის ობიექტების დაცვის საქმიანობის გასაუმჯობესებლად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ადგენს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს წინადადება და მასთან არსებული დაცვის სამმართველო გარდაიქმნას საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საკუთრების დაცვის მთავარ სამმართველოდ და დამტკიცდეს მისი სტრუქტურა და დებულება №№ 1, 2 დანართების თანახმად. გაუქმდეს ამ სამინისტროსთან არსებული დაცვის სამმართველოს გასამხედროებული და სადარაჯო დაცვის სამსახური და გარდაიქმნას იგი პოლიციის საგუშაგო დაცვად, რომელსაც გადაეცეს დანაშაულებრივი ხელყოფისაგან დასაცავად, ხანძარსაწინააღმდეგო და დაცვითი სიგნალიზაციის მომსახურებისათვის ქალაქებში, ქალაქის ტიპის დასახლებებში, რაიონულ ცენტრებსა და დაბებში განლაგებული ობიექტები.

2. საკუთრების დაცვის სამსახურში ხელშეკრულებით დასაქმებულ იქნეს 20-55 წლამდე ასაკის მოქალაქენი.

3. საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა:

— საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარდგინების საფუძველზე განახორციელონ ღონისძიებანი დაცვის ქვეშ არსებული ობიექტების დაცვის ტექნიკური საშუალებებით აღჭურვისა და შიდა რეჟიმის განმტკიცებისათვის, ხოლო აღნიშნული ობიექტების ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ დაცვის მომსახურების ღირებულების ასანაზღაურებლად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 29 იანვრის № 83 დადგენილების საფუძველზე, აგრეთვე „საწარმოო ტექნიკური დანიშნულების პროდუქციაზე, სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე თავისუფალი (საბაზრო) ფასების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს 1992 წლის 7 თებერვლის № ფ-2 დადგენილებით დამტკიცებული დროებითი დებულების თანახმად, ფასების შემდგომი ლიბერალიზაციით გამოწვეული ცვალებადობის გათვალისწინებით;

— მიიღონ ზომები ობიექტების ტექნიკური აღჭურვის საპროექტო დოკუმენტაციის დასამუშავებლად, სიგნალიზაციის ხელსაწყოების სამრეწველო-სატელევიზიო დანადგარების შესაძენად, საკონტროლო-გასაშვებ პუნქტებში დაცვის გასაძლიერებელი ტექნიკური საშუალებების მოსაწყობად. ყოველწლიურად წარუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რესურსების სამინისტროს განაცხადები შესაბამისი მასალებით უზრუნველყოფისათვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

1992 წლის ბოლომდე დადონ ხელშეკრულებანი შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საკუთრების დაცვის მთავარ სამმართველოსთან და მის ადგილობრივ ქვედანაყოფებთან დაცვითი და სახანძრო სიგნალიზაციის, სამონტაჟო სამუშაოთა შესასრულებლად და მომსახურებისათვის;

— საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და ადგილზე საკუთრების დაცვის ქვედანაყოფებთან ერთად უზრუნველყონ მათ დაქვემდებარებაში არსებულ ობიექტებზე მატერიალურ ფასეულობათა სათანადო დაცვა, რისთვისაც 1992 წლის ბოლომდე წარმოება-დაწესებულებების, ორგანიზაციების, მშენებლობის, მოიჯარადე, სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე გადასული, კომერციული, პრივატიზირებული და ყველა სხვა ობიექტების მატერიალური ფასეულობანი დაცვის ქვეშ გადაეცეს საკუთრების დაცვის ქვედანაყოფებს. არ დაუშვან ობიექტების დაცვაზე ამ სამსახურებთან დადებულ ხელშეკრულებათა ცალმხრივი შეწყვეტის შემთხვევები;

—უზრუნველყონ ობიექტების ტექნიკური აღჭურვის და სახანძრო-დაცვითი სიგნალიზაციის სამუშაოთა დაფინანსების საკითხების გადაწყვეტა დადგენილი წესის მიხედვით, ობიექტების რეკონსტრუქციისა და მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციებში გაითვალისწინონ ხანძარსაწინააღმდეგო ავტომატური დანადგარების დანერგვა, არ დაუშვან ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღება, სანამ არ დამთავრდება აღნიშნული სიგნალიზაციის სამუშაოები დადგენილი ნორმების შესაბამისად. შინაგან საქმეთა ორგანოების განცხადების მიხედვით 1992 წლის ბოლომდე გამოყონ სათანადო შენობები და მიწის ნაკვეთები დაცვის ქვედანაყოფთა სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად;

— უზრუნველყონ ბანკების, შემნახველი ბანკების სალაროებისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის სხვა ობიექტების ტექნიკური აღჭურვის სამუშაოთა დამთავრება 1992 წელს. დაცვის წარმომადგენლების მონაწილეობა სახალხო მეურნეობის ობიექტების საექსპლუატაციოდ მიმღები კომისიის მუშაობაში.

იმ ობიექტების დაპროექტებისას, რომლებიც მომავალში გადაეცემა საკუთრების დაცვის სამსახურს, ასევე დაცვის ქვეშ არსებული ობიექტების ხელმძღვანელებმა განუხრელად იხელმძღვანელონ დროებითი ინსტრუქციით „შინაგან საქმეთა ორგანოების დაცვის ქვეშ არსებული ან შემდგომში დაცვის ქვემდებარე სახალხო მეურნეობის ობიექტების დაპროექტებისა და მათი ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ“.

4. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ:

— დაცვის ქვეშ არსებულ ობიექტებში ახალი სატელეფონო სადგურებისა და საკაბელო ქსელების საექსპლუატაციოდ გადაცემისას, ასევე არსებულის გაფართოებისას დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მათი ტელეფონიზაცია და ცენტრალიზებული მეთვალყურეობის პულტებთან ჩართვა. გამოყოს თავისუფალი ფართობი ავტომატური სადგურების სატელეფონო კროსებში ცენტრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიზებული მეთვალყურეობის პულტების შუალედური მოწყობილობის დასადგმელად;

— დაავალოს საქალაქო და რაიონული კავშირგაბმულობის კვანძებს საკუთრების დაცვის ქვედანაყოფებისა და სამეურნეო ორგანიზაციათა შუამდგომლობის საფუძველზე გამოყონ ტრანზიტული ხაზები განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ობიექტების ცენტრალიზებულ სამეთვალყურეო პულტებთან ჩასართავად. ასევე გადასინჯონ აღნიშნულ ობიექტებში ტელეფონების დადგმის თანაბარზომიერება წლიური გეგმის შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მრავალზღუდიანი დაცვის სისტემის შექმნა.

5. საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებმა, კომიტეტებმა, დეპარტამენტებმა და სხვა უწყებებმა მშენებლობით დამთავრებულ სახალხო მეურნეობის სახელმწიფო მიმღები კომისიის შემადგენლობაში გაითვალისწინონ საკუთრების დაცვის სამსახურის წარმომადგენელთა აუცილებელი მონაწილეობა.

6. საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რესურსების სამინისტრომ:

— გაითვალისწინოს დაცვის მილიციის მთავარი სამმართველოს მიზნობრივი დანიშნულებით სამსახურებრივი საჭიროებისათვის უზრუნველყოფა სათანადო სამშენებლო მასალით, მსუბუქი და სატვირთო ავტოტრანსპორტით, სხვა მოწყობილობებით საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს განაცხადების საფუძველზე.

7. საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ გაითვალისწინოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საკუთრების დაცვის მთავარი სამმართველოს მოთხოვნა და 1992 წლიდან მოყოლებული შეძლებისდაგვარად ყოველწლიურად გამოუყოს მას შესასყიდად მსუბუქი ავტომობილები და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო საქონელი, წარმოდგენილი განაცხადების მიხედვით.

8. ქალაქ თბილისის მერიამ:

— ნება დართოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საკუთრების დაცვის მთავარ სამმართველოს ქ. თბილისში ვაჟა-ფშაველას გამზირის 1 კვარტალში ოთხსართულიან კორპუსზე დააშენოს საცხოვრებელი სართული სამმართველოს ცენტრალური აპარატის თანამშრომელთა დასაკმაყოფილებლად;

— განიხილოს საკითხი ხანძარსაწინააღმდეგო-დაცვითი სასიგნალო ხელსაწყოების ადგილობრივი წარმოების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საკუთრების დაცვის მთავარი სამმართველოს სარემონტო-სამონტაჟო და სამშენებლო უბნისათვის დიღმის სამრეწველო ზონაში ან დიდი ლილოს ტერიტორიაზე ერთი ჰექტარი მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ;

— მიიღოს ზომები ქალაქ თბილისის კრწანისის, მთაწმინდის, დიდუბის, ღრმაღელის დაცვის განყოფილებებისათვის სათანადო შენობების გამოსაყოფად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნება დაერთოს საკუთრების დაცვის მთავარ სამმართველოს ააშენოს აკაკი წერეთლის გამზირზე სამმართველოს ეზოში საცხოვრებელი სახლი — ამ ახგარიშით, რომ ამავე შენობაში მოთავსდეს დიდუბის რაიონის დაცვის განყოფილება, რისთვისაც საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაისვას საკითხი სამხედრო უწყებების წინაშე დათმოს დაკავებული ტერიტორიიდან 500-700 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი.

9. დაევალოთ ლანჩხუთის, თიანეთის, ქედის, ადიგენის, ხარაგაულის, მესტიის, ონის, აბაშის, ამბროლაურის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს მიიღონ ზომები საკუთრების დაცვის განყოფილებების მუშაობის პირობების გასაუმჯობესებლად, მათი განვითარების პერსპექტივიდან გამომდინარე სათანადო შენობების გამოყოფისათვის, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მცხეთისა და დუშეთის რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან ერთად წარმოადგინონ წინადადებანი რაიონის ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საკუთრების დაცვის მთავარი სამმართველოსათვის სამუშაო ეზოსა და დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად.

10. საქართველოს რესპუბლიკის სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტრომ განახორციელოს დამატებითი ღონისძიებანი საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საკუთრების დაცვის მთავარი სამმართველოს ცენტრალიზებული მეთვალყურეობის პულტების აპარატურების ელექტროენერგიით სტაბილური და შეუფერხებელი მომარაგების უზრუნველსაყოფად.

11. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ:

— დაცვის ახალი ფორმების დანერგვის გათვალისწინებით განახორციელოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საკუთრების დაცვის მთავარი სამმართველოსა და მისი ქვედანაყოფების სტრუქტურული ცვლილებანი დაცვის სამსახურის ორგანიზაციის ძირეული გაუმჯობესებისა და ტექნიკური პროგრესის შემდგომი სრულყოფის მიზნით დაამყაროს ურთიერთობა რესპუბლიკის ორგანიზაციებთან და აგრეთვე შეძლებისდაგვარად საზღვარგარეთის ანალოგიურ სამსახურებთან, შეისწავლოს და მათთან ერთად დანერგოს სიახლენი დაცვის ტექნიკური ხელსაწყოების გამოსაშვებად;

— გააძლიეროს დაცვის ქვეშ არსებული და სხვა სამრეწველო ობიექტების ინსპექტირება. განაგრძოს ცალკეულ სამინისტროებსა და უწყებებში მატერიალურ ფასეულობათა დაცვის მდგომარეობის შესწავლის პრაქტიკა და შედეგების შესახებ პერიოდულად წარმოუდგინოს ინფორმაცია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას;

— უფლება მიეცეს აღნიშნულ სამმართველოს წარმართოს თავისი საქმიანობა სახელშეკრულებო ფასებით, იურიდიულ და კერძო პირებთან ფუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადი სახსრების, პროდუქციის გაცვლის და სხვა დაცვითი სამუშაოს შესრულებაზე. ასევე შეიძინოს სამსახურებრივი საქმიანობისათვის საბრძოლო ტექნიკა და აღჭურვილობა.

12. საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოების, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელებმა ერთი თვის ვადაში განიხილონ და დასახონ ღონისძიებანი აღნიშნული დადგენილების შესასრულებლად. ყოველი წლის 20 იანვრისათვის მოახსენონ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას მისი შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 20 ივლისი, № 746

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 20 ივლისის № 746
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საკუთრების დაცვის სამსახურის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საკუთრების დაცვის სამსახური მოქმედებს ქალაქებში, ქალაქის ტიპის დასახლებებში, დაბებში, რაიონულ ცენტრებში და ურთიერთხელშეკრულების საფუძველზე დანაშაულებრივი ხელყოფისაგან იცავს წარმოება-დაწესებულებათა, ორგანიზაციების, მშენებლობების, მოიჯარე, სამეურნეო ანგარიშსა თუ თვითდაფინანსებაზე არსებულ კომერციულ, პრივატიზებულ და სხვა ობიექტებს, მოქალაქეთა ქონებას და ცალკეულ პირებს, ასევე ახორციელებს ჩამოთვლილი ობიექტების ხანძარსაწინააღმდეგო — დაცვითი სიგნალიზაციით აღჭურვას, მის მომსახურებას.

საკუთრების დაცვის სამსახურმა შეიძლება ივალდებულოს სახელშეკრულებო ფასებით ფულადი სახსრების, სპეციალური პროდუქციის გაცილება და სხვა დაცვის სხვა სამუშაოების შესრულება.

2. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საკუთრების დაცვის მთავარი სამმართველო და მის სტრუქტურაში შემავალი, აფხაზეთის და აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული დაცვის სამმართველოები მათი დაქვემდებარების ქვედანაყოფებით არიან დამოუკიდებელი ორგანოები, სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებებით, აქვთ ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს რესპუბლიკის გერბი და წარწერა საქალაქო და რაიონული ორგანოს დასახელებით. მათი ფულადი უზრუნველყოფა წარმოებს სპეციალური (არასაბიუჯეტო) სახსრებით, ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შემოსავლებიდან.

3. საკუთრების დაცვის მთავარი სამმართველო ანგარიშვალდებულია რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, მას ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი. სამმართველო თავის საქმიანობას წარმართავს რესპუბლიკის კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების შესაბამისად, ამტკიცებს დაცვის განყოფილებებისა და ქვეგანყოფილებების შტატებს, რომლებიც შექმნილია დამტკიცებული ნორმატივების მიხედვით, ასევე სამმართველოს პერსონალის რაოდენობას, ნიშნავს უფროსს, საშუალო რიგით და უმცროს მეთაურთა შემადგენლობასა და აგრეთვე ხელშეკრულებით მომუშავე დაცვის ობიექტების ხელმძღვანელებს შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების სამმართველოს ნომენკლატურის მუშაკთა გამოკლებით, მთავარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამმართველოსთან არსებული მუდმივი საკადრო კომისიის დასკვნების საფუძველზე.

4. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოების, შინაგან საქმეთა განყოფილებების ხელმძღვანელების გათვალისწინებით იმისა, რომ ადგილებზე დაცვის ქვედანაყოფები წარმოადგენენ საკუთრების დაცვის მთავარ სამმართველოს დამოუკიდებელ სამსახურებს, ისინი მათ ექვემდებარებიან ოპერატიულად, მიცემულ უფლებამოსილებათა შესაბამისად თავიანთი სამოსამსახურეო ტერიტორიის ფარგლებში ორგანიზაციას უკეთებენ საკუთრების დაცვის ქვედანაყოფებისა და სხვა სამსახურების ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებას საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში.

შინაგან საქმეთა ორგანოებსა და საკუთრების დაცვის ქვედანაყოფებს შორის სამეურნეო ურთიერთობა ხორციელდება ხელშეკრულებათა საფუძველზე.

5. საკუთრების დაცვის სამსახურის ურთიერთობა დაცვის ობიექტების ხელმძღვანელებსა და მოქალაქეებთან რეგულირდება ამ დებულებითა და დადებული ხელშეკრულებებით, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს ობიექტების დაცვის შესახებ ტიპობრივ ხელშეკრულებებს.

საკუთრების დაცვის სამსახურს უფლება აქვს იურიდიულ და ცალკეულ პირებთან წარმართოს თავისი საქმიანობა ურთიერთშეთანხმებული ინდივიდუალური სახელშეკრულებო ფასებით, დანერგოს პრაქტიკაში კერძო დეტექტიური მუშაობის ფორმები, ასევე შეიძინოს სამსახურებრივი საქმიანობისათვის საბრძოლო ტექნიკა და აღჭურვილობა.

6. საკუთრების დაცვის სამსახურს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება იმ ქონებრივი ზარალისათვის, რაც საწარმოებს, მშენებლობებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს მოუვათ ობიექტების არასათანადო დაცვის გამო, ხოლო დაცვის ქვეშ არსებული ობიექტების ხელმძღვანელების მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნილებების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაცვის სამსახურს ეხსნება ზარალის ანაზღაურების მატერიალური პასუხისმგებლობა.

დაცვის ობიექტების ხელმძღვანელებსა და საკუთრების დაცვის სამსახურს შორის წამოჭრილ დავას განიხილავს საარბიტრაჟო სასამართლო.

7. ობიექტების დაცვის სისტემას და საგუშაგოთა დისლოკაციას განსაზღვრავს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საკუთრების დაცვის სამსახური. ობიექტების დაცვის შინაგან საგუშაგოთა დაწესებისას მათი დისლოკაცია შეთანხმებული უნდა იქნეს დასაცავი ობიექტების ხელმძღვანელობასთან. ამავე ობიექტებზე დაწესდეს გამოშვებული პროდუქციის, ნედლეულის და სხვა საქონლის ობიექტის ტერიტორიიდან გატანა-შემოტანის საკონტროლო რეჟიმი. ამ რეჟიმის განხორციელება ეკისრებათ ობიექტის ხელმძღვანელობას და საკუთრების დაცვის შესაბამის ქვედანაყოფებს.

საშვთა რეჟიმიან ობიექტებზე აუცილებლად იქმნება საშვთა ბიურო. მათ ფუნქციებსა და მუშაობის წესს დასაცავი ობიექტების ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ამტკიცებს საკუთრების დაცვის სამსახურის ხელმძღვანელობა.

8. დასაცავი ობიექტების ხელმძღვანელები მოვალენი არიან ობიექტების ტერიტორიაზე და საწყობებში დაიცვან წესრიგი, არ დაუშვან მატერიალურ ფასეულობათა დაუდევარი, არადაწესებულ ადგილებში შენახვა, მიიღონ საჭირო ზომები ობიექტების დაცვის ტექნიკური საშუალებებით, აგრეთვე ხანძრის აღმოჩენის შეტყობინებისა და ქრობის საშუალებებით აღჭურვისათვის, უზრუნველყონ მათი სათანადო გამართულობა, წესრიგში იქონიონ სადგომები (კედლები, ჭერი, კარი, ფანჯრები), სადაც ინახება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი. განახორციელონ ღონისძიებანი დაცვის პირადი შემადგენლობისათვის მუშაობის პირობების შესაქმნელად.

საკუთრების დაცვის მთავარი სამმართველოს, განყოფილებების, ქვეგანყოფილებების მითითებანი დაცვის რეჟიმის შესრულების, დაცვის ტექნიკურ საშუალებათა დანერგვისა და მათი შენახვის შესახებ სავალდებულოა დასაცავი ობიექტების ხელმძღვანელებისათვის.

9. ობიექტების აღჭურვა დაცვის ტექნიკური საშუალებებით (კავშირგაბმულობა, სიგნალიზაცია, მათ შორის სახანძროც, განათება, შემოკავება, ბოქლომებითა და საკეტებით აღჭურვა და ა. შ.) და ამ საშუალებათა რემონტი წარმოებს წარმოება-ორგანიზაციებისა და სხვა დასაცავი ობიექტების ხარჯზე.

მოთხოვნებს დასაცავი ობიექტების ტექნიკურ და ხანძარსაქრობ საშუალებებზე განსაზღვრავს საუწყებათაშორისო კომისია, რომელიც საკუთრების დაცვის, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და დასაცავი ობიექტის წარმომადგენლებისაგან შედგება.

10. საკუთრების დაცვის სამსახურმა არსებული კანონმდებლობის თანახმად შეიძლება საქმიანი ურთიერთობა აწარმოოს საზღვარგარეთის ფირმებთან, შექმნას შცირე საწარმოები, აგრეთვე განსაკუთრებული ქვედანაყოფები დაცვის სამსახურის მოცულობის გაზრდისა და მისი ხარისხის ამაღლების მიზნით.

II. საკუთრების დაცვის მთავარი სამმართველოს ამოცანები და მუშაობის ორგანიზაცია

11. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საკუთრების დაცვის სამსახურს ეკისრება:

ა) დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე განახორციელოს საკუთრების დაცვა. აგრეთვე დასაცავ ობიექტებზე ჩაატაროს პროფილაქტიკური ღონისძიებანი, მოსალოდნელი დანაშაულის აღკვეთა-აცილების მიზნით და მატერიალურ ფასეულობათა ქურდობის, დატაცებისა და სხვა დანაშაულებრივი ქმედობის გამოვლენის შემთხვევაში ჩაატაროს მოკვლევა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიის გარეშე. შეგროვილი მასალები გადასცეს კანონით გათვალისწინებულ ორგანოებს;

ბ) შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ობიექტების ტექნიკურ საშუალებათა სრულყოფა ამ ობიექტების დაცვის გაუმჯობესების მიზნით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ინსპექტირება გაუწიოს, შეამოწმოს და საუწყებო დაცვას დაეხმაროს სოფლად და სხვა ადგილებში ობიექტების დაცვის მოწყობისა და ტექნიკურ საშუალებათა დანერგვის საქმეში;

დ) ტექნიკური ზედამხედველობა გაუწიოს იმ ობიექტების დაცვითი სიგნალიზაციის საშუალებებით აღჭურვის საპროექტო და სამონტაჟო სამუშაოთა შესრულებას, რომელთა დაცვას პოლიციის ქვედანაყოფები ახორციელებენ;

ე) უზრუნველყოს აღნიშნულ ობიექტებზე დაცვითი და ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის აპარატურის საექსპლუატაციო მომსახურება იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც დაცვის სამსახურის შესანახად არის გათვალისწინებული.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საკუთრების დაცვის მთავარი სამმართველო, მისი ადგილობრივი განყოფილებები, ქვეგანყოფილებები ატარებენ სათანადო მუშაობას დაცვის პირადი შემადგენლობის სწავლებისა და პროფესიული დაოსტატებისათვის, აგრეთვე უზრუნველყოფენ სამსახურებრივი დისციპლინის დაცვას ქვედანაყოფებში. სამსახურებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, დაცვის მუშაკების პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით ახდენენ სამრეწველო და სხვა ობიექტების დაცვის უფროსების გადაადგილებას ორ წელიწადში ერთხელ, ხოლო კონტროლიორთა შემადგენლობას ყოველ ექვს თვეში.

12. ობიექტების დაცვა ხორციელდება:

ა) სტაციონარული და შემოვლითი საგუშაგოების მიერ;

ბ) ავტო და მოტოსაპატრულო განწესების მიერ;

გ) დაცვითი სიგნალიზაციის ცენტრალიზებული სამეთვალყურეო პულტების გამოყენებით;

დ) დაცვის სხვა ფორმებისა და მეთოდების დანერგვით, თანამედროვე ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით.

13. სამსახურებრივი საქმიანობის ხელმძღვანელობის გასაწევად აჭარაში და აფხაზეთში საკუთრების დაცვის სამმართველოებს და რესპუბლიკაში დაცვის ქვედანაყოფებს ქმნის საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო — საკუთრების დაცვის მთავარი სამმართველოს წარდგინების საფუძველზე.

14. საკუთრების დაცვის სამსახურის მუშაკები ეუფლებიან ხანძრის თავიდან აცილების და ქრობის მეთოდებს, რათა შესაძლებლობა ჰქონდეთ სამსახურის შესრულების დროს დაიცვან სახანძრო უსაფრთხოების წესები საგუშაგოებზე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ დასაცავ ობიექტებზე ხანძარი გაჩნდა, აცნობებენ უახლოეს სახანძრო რაზმს და გაატარებენ პირველად ღონისძიებებს ხანძრის კერის ლიკვიდაციისათვის.

ობიექტების დაცვის ხელშეკრულებებით დაცვის მუშაკებს შეიძლება დაეკისროთ ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკაც იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ ობიექტებზე სახანძრო დაცვის შტატის მუშაკები არ არსებობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. პასუხისმგებლობა სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელებისა და ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობის, აგრეთვე ხანძრის აღმოჩენის, შეტყობინებისას და ქრობის ავტომატურ საშუალებათა წესიერ მდგომარეობაში შენახვისათვის იმ ობიექტებზე, რომელსაც დაცვის სამსახური იცავს, ეკისრებათ ამ ობიექტების ხელმძღვანელებს.

III. საკუთრების დაცვის სამსახურის პირადი შემადგენლობის უფლება-მოვალეობანი

16. საკუთრების დაცვის სამსახურის პირადი შემადგენლობა ვალდებულია:

ა) მტკიცედ დაიცვას საქართველოს რესპუბლიკის კანონები, ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების დადგენილებები და განკარგულებები, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებანი, ამ დებულების მოთხოვნები, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრძანებები და ინსტრუქციები;

ბ) დაიცვას ობიექტები მატერიალურ ფასეულობათა დატაცებისაგან და არ დაუშვას გარეშე პირთა შეღწევა ამ ობიექტებში;

გ) პატიოსნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს სახელმწიფო და სამსახურებრივი მოვალეობანი, დახვეწოს თავისი სამსახურებრივი ოსტატობა, გამოიჩინოს ინიციატივა და საზრიანობა;

დ) უყოყმანოდ შეასრულოს უფროსთა ბრძანებები, რომლებიც დაკავშირებულია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან;

ე) გაუფრთხილდეს მისთვის მინდობილ იარაღსა და ქონებას, წესრიგში იქონიოს ისინი;

ვ) კარგად დაიხსომოს და მტკიცედ დაიცვას ტექნიკური უსაფრთხოების საწარმოო სანიტარიისა და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოთხოვნები, რომლებიც გათვალისწინებულია შესაბამისი წესებითა და ინსტრუქციებით;

ზ) მონაწილეობა მიიღოს სტიქიურ უბედურებათა წინააღმდეგ ბრძოლაში (ხანძარი, წყალდიდობა და ა. შ.), რომლებიც დასაცავ ობიექტს ემუქრებიან;

თ) დახმარება გაუწიოს დანაშაულებრივი ხელყოფისა და სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულ პირებს.

17. დაცვის სამსახურის მუშაკს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს დასაცავი ობიექტების მუშებს, მოსამსახურეებს და სხვა პირებს სასაშვო და შიდასაობიექტო რეჟიმის დაცვა;

ბ) თუ დასაცავი ობიექტის კუთვნილ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მოპარვის ან დატაცების შესახებ სიგნალს მიიღებს, დააკავოს და პირადად შეამოწმოს საკონტროლო გამტარ პუნქტებში ამ საქმეში ეჭვმიტანილი ცალკეული პირები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) გამოიყენოს იარაღი კანონით დადგენილი წესის მიხედვით.

18. საკუთრების დაცვის პოლიციის მთავარი სამმართველოს ქვედანაყოფის უფროსებმა გამოვლენილი ქურდობის, დატაცების და სხვა სახის კანონსაწინააღმდეგო ქმედებაზე ჩაატარონ მოკვლევა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიის გარეშე და შეგროვილი მასალები გადაუგზავნონ კანონით გათვალისწინებულ შესაბამის ორგანოებს.

IV. დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

19. დაცვის სამსახურის შენახვა წარმოებს იმ სახსრების ანგარიშში, რომელიც დაცვის ქვეშ არსებული ობიექტებისა და კერძო პირებისაგან შემოდის დაცვის მომსახურებისათვის.

ობიექტების დაცვის ანაზღაურება ხდება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დამტკიცებული ტარიფებისა და ინდივიდუალური სახელშეკრულებო ფასების მიხედვით.

წარმოება-დაწესებულებები, ორგანიზაციები და დაცვის ქვეშ არსებული ყველა ობიექტი დაცვის სამსახურს უზრუნველყოფენ ყოველი თვის არაუგვიანეს 10 რიცხვისა იმ საგადამხდელო მოთხოვნების საფუძველზე, რომლებსაც ბანკის დაწესებულებებს წარუდგენენ დაცვის განყოფილებები, ქვეგანყოფილებები.

ობიექტის დაცვისათვის წარმოდგენილი ანგარიშებით დავალიანებას ანაზღაურებენ სამეურნეო ორგანიზაციები ხელფასის გადასახდელებისა და მასთან გათანაბრებული გადასახდელების თანაბრად.

20. დაცვის სამსახურის შენახვის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვებს ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საკუთრების დაცვის მთავარი სამმართველო საერთო ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში.

საკუთრების დაცვის მთავარ სამმართველოს, საქალაქო და რაიონული დაცვის განყოფილებებს, ქვეგანყოფილებებს აქვთ მიმდინარე ანგარიშები ბანკის დაწესებულებებში.

პოლიციის ორგანოებთან არსებული საკუთრების დაცვის შტატებისა და ხარჯთაღრიცხვების რეგისტრაცია საფინანსო ორგანოებში არ წარმოებს, ხოლო ურთიერთობა ბიუჯეტთან ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 7 მარტის № 286 დადგენილების შესაბამისად.

21. საკუთრების დაცვის მთავარი სამმართველოს, საქალაქო და რაიონული დაცვის განყოფილებების, ქვეგანყოფილებების უფროსები არიან კრედიტების განმკარგულებლები და უფლება აქვთ გამოსცენ ბრძანებები დაცვის მთავარი სამმართველოსადმი, განყოფილებებისადმი, ქვეგანყოფილებებისადმი.

22. დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და მუშაობაში მიღწეული სხვა წარმატებებისათვის დაცვის მუშაკები მატერიალურად წახალისდებიან დაცვის სამსახურის საპრემიო ფონდის ხარჯზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპრემიო ფონდი დადგინდეს დაცვის სამსახურის შენახვის ხარჯთაღრიცხვებით, ხელფასის დამტკიცებული ფონდის ფარგლებში ამ ფონდის პროცენტის ოდენობით, აღნიშნული ფონდის ეკონომიის ფარგლებში.

23. ქალაქებში, ქალაქის ტიპის დასახლებებში, დაბებსა და რაიონულ ცენტრებში სათავსოებს დაცვის განყოფილებებისა და ქვეგანყოფილებების განსალაგებლად, ასიგნებას ნივთობრივი ქონების, შეიარაღების, ტექნიკურ საშუალებათა და დაცვის ავტო-მოტო ტრანსპორტის შესაძენად, აგრეთვე სადგომებს ცენტრალიზებული სამეთვალყურეო პულტების დასაყენებლად გამოყოფენ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები.

წარმოება-დაწესებულებები, ორგანიზაციები, მშენებლობები და დაცვის ქვეშ არსებული სხვა ობიექტები უფასოდ დაუთმობენ დასაცავ ობიექტებზე დაცვის სამსახურებს დამხმარე სადგომებს მოწყობილობითა და ინვენტარით, აგრეთვე გასწევენ უფასო კომუნალურ მომსახურებას (წყალმომარაგება, სადგომების განათება, გათბობა, დასუფთავება და რემონტი).

24. დაცვის მუშაკები დაწესებული ნორმების მიხედვით უფასოდ იქნებიან უზრუნველყოფილი საჭურვლით და ნივთობრივი ქონებით.

25. დაცვის ქვედანაყოფთა მუშაკები, რომლებიც ასრულებენ სამსახურს ჯანმრთელობისათვის მავნე პირობებში სარგებლობენ შესაბამისი შეღავათებითა და უპირატესობით დაცვის სახსრების ხარჯზე დასაცავი ობიექტების მუშა-მოსამსახურეთა თანაბრად.

საწარმოები, მშენებლობები, დაწესებულებები და დაცვის ქვეშ არსებული სხვა ობიექტები, რომლებსაც საერთო საცხოვრებელი აქვთ, გამოუყოფენ საცხოვრებელ ფართობს დაცვის მუშაკებს, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ ობიექტების დაცვას.

26. დაცვის პოლიციას ყველა სახის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებით უზრუნველყოფენ დაწესებული ნორმების მიხედვით ფასგადახდით საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო მომარაგების და სამეურნეო მომსახურების სტრუქტურული ორგანოები.

V. დაცვის სამსახურის დაკომპლექტება

27. პოლიციის ორგანოებთან არსებული დაცვის ქვედანაყოფების დაკომპლექტება წარმოებს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული წესის თანახმად საქართველოს რესპუბლიკის იმ მოქალაქეთა რიცხვიდან, რომლებსაც შეუსრულდათ 18 წელი და რომლებიც აკმაყოფილებენ დაცვაში სამსახურის მოთხოვნებს, ასევე ხელშეკრულებით დასაქმებული იქნებიან 20-55 წლის ასაკის მოქალაქენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 20 ივლისის № 74
დადგენილებით

ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის მთავარი სამმართველოსი

საორგანიზაციო განყოფილება	დაცვის ტექნიკური საშუალებების განყოფილება	კადრების განყოფილება	საგეგმო-საფინანსო განყოფილება	პოლიციის დაცვის განყოფილება	სადარაჯო დაცვის განყოფილება	მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილება

აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის სამმართველო	აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის სამმართველო

რაიონების დაცვის განყოფილებები	ქალაქის დაცვის განყოფილებები	ბანკების დაცვის ბატალიონი

167 საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის დანაზოგების გაუფასურებასთან დაკავშირებით ანაბრების ინდექსაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სამომხმარებლო ბაზარზე ფასების განუხრელი ზრდისა და ინფლაციური პროცესების შედეგად მოსახლეობის შრომითი დანაზოგების გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების კომპენსაციის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ადგენს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის წინადადება რესპუბლიკის სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში ანგარიშებზე მოთავსებული ფულადი სახსრების აფასების შესახებ. მოსახლეობის დანაზოგთა მიზნობრიობისა და ცალკეულ საქონელსა და გაწეულ მომსახურებაზე ფასების ინდექსების გათვალისწინებით განხორციელდეს ერთჯერადი წესით დანაზოგის გაზრდა ანაბრის ნაშთის 50 პროცენტის ოდენობით.

2. კომპენსაცია ანაზღაურდება ყველა სახის არსებულ ანგარიშზე საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსა და სახელმწიფო-კომერციული შემნახველი ბანკის მიერ განსაზღვრული წესით მიმდინარე წლის 1 აგვისტოსათვის მათი რიცხული ნაშთიდან გამომდინარე.

3. ანაბრების აფასების თანხები ჩაირიცხოს სპეციალურ ანგარიშზე და მისი ანაზღაურება მოხდეს 1,5 წლის შემდეგ ბიუჯეტის ხარჯზე. სპეციალურ ანგარიშზე რიცხულ სახსრებს დაერიცხოს შესაბამისი საპროცენტო განაკვეთი.

4. მოქალაქეთა მიერ სპეცანგარიშზე ჩარიცხული სახსრები 1,5 წლის ვადის გასვლამდე შეიძლება გამოყენებულ იქნეს უნაღდო ანგარიშსწორების გზით სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის დროს იმ ქონების შესაძენად, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ პრივატიზაციისათვის განკუთვნილი ობიექტების ნუსხაში.

5. ნაღდი ფულის არსებობის კვალობაზე დადგენილი ვადის გასვლისთანავე უზრუნველყოფილ იქნეს მოსახლეობის საწყისი ანაბრებისა და მათი ინდექსაციის შედეგად მიღებული კომპენსაციის თანხების შეუფერხებელი გაცემა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 20 ივლისი, № 747

ეროვნული ბიბლიოთეკა

168 საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში სასჯელთა აღმასრულებელი მთავარი სამმართველოს შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს თხოვნა და სასჯელთა აღმასრულებელი სამსახურების ბაზაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში შეიქმნას სასჯელთა აღმასრულებელი მთავარი სამმართველო დამატებითი საბიუჯეტო თანხისა და საშტატო ერთეულების გამოყოფის გარეშე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 30 ივლისი, № 767

169 საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებათა და მათი ნომრიანი აგრეგატების საკომისიო ვაჭრობისა და რეგისტრაციის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ

სატრანსპორტო საშუალებათა და მათი ნომრიანი აგრეგატების საკომისიო ვაჭრობა ატარებს ფორმალურ ხასიათს. ფაქტობრივად ამ საშუალებათა მყიდველსა და გამყიდველს შორის გარიგება ხდება მოთხოვნა მიწოდების შორის არსებული მდგომარეობის საფუძველზე, ე. ი. მყიდველი და გამყიდველი თანხმდებიან ურთიერთხელსაყრელ ფასზე და ამ გარიგების გასაფორმებლად აკითხავენ ავტო-მანქანების საკომისიო მაღაზიებს. აღნიშნული მაღაზიები თავის მხრივ ამ მანქანებს აფასებენ საპრეისკურანტო ფასიდან გამომდინარე შესაბამისი ცვეთის დონის გამოკლებით. დაინტერესებული მხარე აწარმოებს არაოფიციალურ მოლაპარაკებას მაღაზიის თანამშრომელთან გასაყიდი საქონლის, რაც შეიძლება დაბალ ფასში შეფასების თაობაზე, რათა მყიდველმა ან გამყიდველმა მინიმალური ფასიდან გადაიხადოს დაწესებული საკომისიო გადასახადი. გარკვეული დაინტერესების საფასურად მხარეები თანხმდებიან და ამის გამო სახელმწიფო კარგავს გარკვეულ შემოსავლებს.

არსებული მდგომარეობის გამოსწორების, ამ საქმეში ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისა და მოსახლეობისათვის ავტომანქანებითა და მათ

ნომრიანი აგრეგატებით საკომისიო ვაჭრობისა და რეგისტრაციის მოწესრიგების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. 1992 წლის 1 აგვისტოდან რესპუბლიკაში გაუქმდეს ავტომანქანებითა და მათი ნომრიანი აგრეგატებით ვაჭრობის წესი.

2. დაწესდეს, რომ მოსახლეობა ამ საშუალებათა ყიდვა-გაყიდვას აწარმოებენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ყოველგვარი სახელმწიფო ან არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ჩაურევლად.

3. ავტომანქანებისა და მათი ნომრიანი აგრეგატების ხელახალი გადაფორმების რეგისტრაციის ფუნქცია დაეკისროს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურებს.

4. რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ განსაზღვროს და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად დაამტკიცოს სატრანსპორტო საშუალებათა გადაფორმების ტარიფები ბიუჯეტთან ანგარიშსწორების გათვალისწინებით.

5. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცოს სატრანსპორტო საშუალებათა ხელახალი რეგისტრაციის ხელშეკრულების ერთიანი ფორმა და წესი.

6. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 3 სექტემბრის № 631 დადგენილების № 5 პუნქტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 29 ოქტომბრის № 623 დადგენილება და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 7 მარტის № 131 განკარგულების № 2ა პუნქტი.

7. დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 30 ივლისი, № 768

ეროვნული ბიბლიოთეკა

170 საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური რანგის მქონე და უცხო ენის მცოდნე მუშაკების შრომის ანაზღაურების დამატებითი პირობების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ადგენს:

1. 1992 წლის 1-ლი ივლისიდან დაუწესდეთ საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაკებს თანამდებობრივ განაკვეთზე პროცენტული დანამატი თვეში:

— დიპლომატიური რანგისათვის — 20 პროცენტი;

— უცხო ენების ცოდნისათვის (საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური კურსით გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში) შემდეგი ოდენობით:

ა) დასავლეთევროპულ ენებზე:

— ერთი ენის ცოდნისათვის — 10 პროცენტი;

— ორი ენის ცოდნისათვის — 15 პროცენტი;

— სამი ენის ცოდნისათვის — 20 პროცენტი;

ბ) აღმოსავლურ ენებზე:

— ერთი ენის ცოდნისათვის — 15 პროცენტი;

— ორი ენის ცოდნისათვის — 20 პროცენტი.

გ) ერთი აღმოსავლური და ერთი დასავლეთევროპული ენების ცოდნისათვის — 20 პროცენტი; ერთი აღმოსავლური და ორი დასავლური ან ორი აღმოსავლური და ერთი დასავლეთევროპული ან ოთხი და მეტი ნებისმიერი ენის ცოდნისათვის — 25 პროცენტი.

2. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით შეიტანოს სათანადო ცვლილებები ცენტრალური აპარატის შესანახად სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 30 ივლისი, № 769

ეროვნული ბიბლიოთეკა

171 საქართველოს რესპუბლიკაში სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მენციერებისა და ტექნიკის სამინისტროსა და ამ სამინისტროსთან არსებული სწავლულ ექსპერტთა საბჭოს წინადადება საქართველოს რესპუბლიკაში ყოფილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უმაღლესი საატესტაციო კომისიის მიერ დაარსებული სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოების გაუქმების შესახებ და შეწყდეს მათი ფუნქციონირება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1992 წლის 1 აგვისტომდე.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროსა და ამ სამინისტროსთან არსებულ სწავლულ ექსპერტთა საბჭოს 1992 წლის 1 სექტემბრიდან შეუდგნენ რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებებთან სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოების რეგისტრაციაში გატარებას „საქართველოს რესპუბლიკის სწავლულ ექსპერტთა საბჭოს შექმნისა და საქართველოს რესპუბლიკაში სამეცნიერო ხარისხის მინიჭების თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 6 აპრილის № 406 დადგენილების თანახმად.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 30 ივლისი, № 771

ეროვნული ბიბლიოთეკა

172 ბათუმის უმაღლესი საზღვაო სასწავლებლის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლისა და ნოვოროსიისკის უმაღლესი საზღვაო-საინჟინრო სასწავლებლის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის ბაზაზე შეიქმნას ბათუმის უმაღლესი საზღვაო სასწავლებელი.

2. ბათუმის უმაღლესი საზღვაო სასწავლებლის დაფინანსება და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება განხორციელდეს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ხარჯზე.

3. ბათუმის უმაღლესმა საზღვაო სასწავლებელმა ყოველწლიურად სპეციალობათა ნუსხა და შესაბამისი მისაღები კონტინგენტი განსაზღვროს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს დაკვეთის საფუძველზე.

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ 1992/93 სასწავლო წლის მისაღები კონტინგენტი, შეთანხმებული საქართველოს საზღვაო სანაოსნოსთან, აღნიშნულ უმაღლეს სასწავლებელს განესაზღვრა 105 კაცის, მათ შორის დღის სწავლების ფორმაზე — 60, ხოლო დაუსწრებელი სწავლების ფორმაზე — 45 კაცის რაოდენობით.

4. შეიქმნას სამხედრო კათედრა ბათუმის უმაღლეს საზღვაო სასწავლებელში და ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 6 აპრილის № 398 დადგენილებით დამტკიცებულ ნუსხას დაემატოს სიტყვები „ბათუმის უმაღლესი საზღვაო სასწავლებელი“.

აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლის სამხედრო კათედრა 1993 წლის 1 იანვრიდან დაფინანსდეს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსათვის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ამ მიზნით გამოყოფილი სახსრების ხარჯზე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი **კ. გელაშვილი**

ქ. თბილისი, 1992 წ. 30 ივლისი, № 772

ეროვნული ბიბლიოთეკა

173 საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საწარმოს (ქვესაწარმოს, ფილიალის, წარმომადგენლობის) სახელმწიფო რეგისტრაციის წესის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საწარმოს (ქვესაწარმოს, ფილიალის, წარმომადგენლობის) სახელმწიფო რეგისტრაციის წესის შესახებ დანართის თანახმად.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს 20 დღის ვადაში შეიტანოს სათანადო ცვლილებები ქვეყნის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საწარმოს (ქვესაწარმოს, ფილიალის, წარმომადგენლობის) ერთიანი რეესტრის დოკუმენტთა წარმოების არსებულ წესში.

3. დაზუსტდეს (განმეორებითი სახელმწიფო რეგისტრაციის გზით) მიმდინარე წლის ბოლომდე იმ საწარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, რომლებიც რეგისტრირებული არიან „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონით გაუთვალისწინებელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. საწარმოები, რომლებიც განმეორებით ტარდებიან სახელმწიფო რეგისტრაციაში ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის დაზუსტების და კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განთავისუფლდნენ სარეგისტრაციო გადასახადისაგან.

4. აიკრძალოს ახლადშექმნილ საწარმოთა რეგისტრაცია იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, რომელიც არ არის გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის კანონით „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“.

5. გაუქმებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 28 ნოემბრის დადგენილება № 900 „საქართველოს და უცხოეთის ორგანიზაციების, ფორმებისა და მმართველობის ორგანოების მონაწილეობით საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილი ერთობლივი საწარმოების, მათი ფილიალების რეგისტრაციის და დაბეგვრის წესის შესახებ“.

6. ეს დადგენილება ძალაში შედის 1992 წლის 30 ივლისიდან.

7. ეს დადგენილება და თანდართული დებულება გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
საწელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. გერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 30 ივლისი, № 774

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 30 ივლისის № 774
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საწარმოს (ქვესაწარმოს, ფილიალის, წარმომადგენლობის) სახელმწიფო რეგისტრაციის წესის შესახებ

1. ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებული ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს (ქვესაწარმოს, ფილიალის, წარმომადგენლობის) რეგისტრაციის წესს.

2. რეგისტრაციას ექვემდებარება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო (ქვესაწარმო, ფილიალი, წარმომადგენლობა), რომელიც იქმნება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

3. საწარმოს (ქვესაწარმოს, ფილიალს, წარმომადგენლობას) ეკრძალება რაიმე სახის სამეურნეო გარიგების ან ხელშეკრულების დადება რეგისტრაციამდე.

4. საწარმოს (ქვესაწარმოს, ფილიალის, წარმომადგენლობის) რეგისტრაცია წარმოებს მისი ადგილმდებარეობის მიხედვით შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში (რაიონის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების, ქალაქის რაიონის გამგეობაში).

5. საწარმო (ქვესაწარმო, ფილიალი, წარმომადგენლობა), რომლის საწესდებო ფონდი ნაწილობრივ ან მთლიანად ყალიბდება სახელმწიფო (მუნიციპალური) ქონების ხარჯზე, რეგისტრაციაში ტარდება ადგილობრივი მმართველობის ორგანოში მისი ადგილმდებარეობის მიხედვით (რაიონის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის, ქალაქის რაიონის გამგეობაში), სახელმწიფო (მუნიციპალური) ქონების მესაკუთრის ან მის მიერ უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით. თუ სახელმწიფო ქონების ფლობისა და განკარგვის უფლება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით გადაცემული აქვს არა სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტს, არამედ სახელმწიფო მმართველობის სხვა ორგანოს, მაშინ საწარმოს რეგისტრაცია ხდება ამ ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

6. საწარმო (ქვესაწარმო, ფილიალი, წარმომადგენლობა), რომლის საწესდებო ფონდი ნაწილობრივ ან მთლიანად ყალიბდება უცხოელი ინვესტორის ქონების ხარჯზე, რეგისტრაციაში ტარდება ადგილობრივი მმართველობის ორგანოში (რაიონის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის, ქალაქის რაიონის გამგეობაში) მისი ადგილმდებარეობის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. საბანკო-საკრედიტო დაწესებულება (მათ შორის ერთობლივი ბანკი, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ რეგისტრირებული საბანკო-საკრედიტო დაწესებულების ფილიალი) რეგისტრაციაში ტარდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

8. სადაზღვევო ორგანიზაცია, სასაქონლო, საფონდო და სავალუტო ბირჟა რეგისტრაციაში ტარდება ადგილობრივი მმართველობის ორგანოში (რაიონის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის, ქალაქის რაიონის გამგეობაში) მისი ადგილმდებარეობის მიხედვით.

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებები რეგისტრაციაში ტარდებიან „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებული წესით.

9. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საწარმოს რეგისტრაცია ხდება მისი დამფუძნებლის (დამფუძნებლების) ან საინიციატივო ჯგუფის წერილობითი განცხადების (მიმართვის) საფუძველზე, რომელიც წარედგინება შესაბამის ორგანოს არა უგვიანეს 30 დღისა დამფუძნებელი კრების ჩატარების ან გადაწყვეტილების მიღების (თუ დამფუძნებელი ერთი იურიდიული ან ფიზიკური პირია) შემდეგ.

10. რეგისტრაციის განცხადებას (მიმართვას) თან ერთვის:

— საწარმოს დამფუძნებელი კრების ოქმის ან დამფუძნებელი ხელშეკრულების ასლი, დამოწმებული სანოტარო წესით. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს ჰყავს ერთი დამფუძნებელი, დამფუძნებელი ოქმი ან დამფუძნებელთა ხელშეკრულება არ დგება;

— სანოტარო წესით დამოწმებული საწარმოს წესდების ასლი;

— დამფუძნებელ იურიდიულ პირთა სია შენატანების მითითებით, რომელიც დამოწმებულია ხელმოწერებითა და ბეჭდებით;

— ცნობა საწარმოს ადგილმდებარეობის შესახებ;

— სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი;

— მე-5 მუხლში გათვალისწინებული საწარმოსათვის — სახელმწიფო (მუნიციპალური) ქონების მესაკუთრის ან მის მიერ უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება. თუ სახელმწიფო ქონების ფლობისა და განკარგვის უფლება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით გადაცემული აქვს არა სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტს, არამედ სახელმწიფო მმართველობის სხვა ორგანოს, მაშინ წარდგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმების დამადასტურებელი საბუთი.

11. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმომადგენლობის, ქვესაწარმოს ან ფილიალის რეგისტრაციისათვის საჭიროა დამფუძნებლის განცხადება (მიმართვა), გადაწყვეტილება ქვესაწარმოს (ფილიალის, წარმომადგენლობის) შექმნის შესახებ, ცნობა მისი ადგილმდებარეობის შესახებ, მის მიერ დამტკიცებული ქვესაწარმოს (ფილიალის, წარმომადგენლობის) დებულება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება ქვესაწარმოს (ფილიალის, წარმომადგენლობის) ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ და სარეგისტრაციო გადასახადის გადახდის ქვითარი.

სახელმწიფო ქონების ხარჯზე შექმნილი საწარმოს ფილიალის (ქვესაწარმოს, წარმომადგენლობის) რეგისტრაციისათვის საჭიროა დამატებით წარდგენილ იქნეს სახელმწიფო (მუნიციპალური) ქონების მესაკუთრის ან მის მიერ უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება. თუ სახელმწიფო ქონების ფლობისა და განკარგვის უფლება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით გადაცემული აქვს არა სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტს, არამედ სახელმწიფო მმართველობის სხვა ორგანოს, მაშინ წარდგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმების დამადასტურებელი საბუთი.

12. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს (ფილიალის, წარმომადგენლობის, ქვესაწარმოს) რეგისტრაციისათვის, რომლის საწესდებო ფონდი ნაწილობრივ ან მთლიანად ყალიბდება უცხოელი ინვესტორის ქონების ხარჯზე, საჭიროა შემდეგი სახის დოკუმენტების წარდგენა:

ა) საწარმოებისათვის, რომელთა საწესდებო ფონდი ნაწილობრივ ეკუთვნის უცხოელ ინვესტორს;

— დამფუძნებლების წერილობითი განცხადება (მიმართვა);

— სანოტარო წესით დამოწმებული დამფუძნებელი ხელშეკრულების ასლი;

— სანოტარო წესით დამოწმებული საწარმოს წესდების ასლი;

— ცნობა საწარმოს ადგილმდებარეობის შესახებ;

— საქართველოს რესპუბლიკის მხრიდან მონაწილე დამფუძნებლის (დამფუძნებელთა) სანოტარო წესით დამოწმებული დამფუძნებელი დოკუმენტები. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს რესპუბლიკის მხრიდან მონაწილე დამფუძნებელი (დამფუძნებლები) არის კერძო პირი, მაშინ აღნიშნული დამფუძნებელი დოკუმენტების წარდგენა არ ხდება;

— უცხოელი ინვესტორისაგან — გადახდის უნარიანობის დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული მომსახურე ბანკის მიერ (ნათარგმნი ქართულ ენაზე და დამოწმებული სანოტარო წესით), ამონაწერი შესაბამისი ქვეყნის სავაჭრო რეესტრიდან ან სხვა ექვივალენტური დოკუმენტებიდან, რომელიც ადასტურებს უცხოელი ინვესტორის იურიდიულ სტატუსს (ნათარგმნი ქართულ ენაზე და დამოწმებული სანოტარო წესით). თუ უცხოელი ინვესტორი არის კერძო პირი, მაშინ რეგისტრაციისათვის უცხო ქვეყნის სავაჭრო რეესტრიდან ამონაწერის წარდგენა არ ხდება.

ბ) საწარმოებისათვის, რომელთა საწესდებო ფონდი მთლიანად ეკუთვნის უცხოელ ინვესტორს:

— უცხოელი ინვესტორის განცხადება რეგისტრაციის შესახებ;

— სანოტარო წესით დამოწმებული საწარმოს წესდების ასლი;

— სანოტარო წესით დამოწმებული დამფუძნებელი ხელშეკრულების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასლი (თუ კი საწარმოს აფუძნებს რამდენიმე უცხოელი ინვესტორი);

— ცნობა საწარმოს ადგილმდებარეობის შესახებ;

— გადახდისუნარიანობის დამადასტურებელი დოკუმენტები, გაცემული მომსახურება ბანკის მიერ (ნათარგმნი ქართულ ენაზე და დამოწმებული სანოტარო წესით);

— ამონაწერი შესაბამისი ქვეყნის სავაჭრო რეესტრიდან ან სხვა ექვივალენტური დოკუმენტიდან, რომელიც ადასტურებს უცხოელი ინვესტორის იურიდიულ სტატუსს (ნათარგმნი ქართულ ენაზე და დამოწმებული სანოტარო წესით). თუ უცხოელი ინვესტორი არის კერძო პირი, მაშინ რეგისტრაციისათვის უცხო ქვეყნის სავაჭრო რეესტრიდან ამონაწერის წარდგენა არ ხდება.

გ) უცხოელ იურიდიულ პირთა ფილიალებისათვის (ქვესაწარმოებისათვის, წარმომადგენლობისათვის) და იმ საწარმოთა ფილიალებისათვის (ქვესაწარმოებისათვის, წარმომადგენლობისათვის), რომელთა საწესდებო ფონდი ნაწილობრივ წარმოადგენს უცხოელი ინვესტორის საკუთრებას;

— ფილიალის (წარმომადგენლობის, ქვესაწარმოს) დამფუძნებელი საწარმოს ხელმძღვანელის განცხადება (მიმართვა) რეგისტრაციის შესახებ;

— სანოტარო წესით დამოწმებული დამფუძნებლის გადაწყვეტილება ფილიალის (წარმომადგენლობის, ქვესაწარმოს) შექმნის შესახებ;

— სანოტარო წესით დამოწმებული დებულება ფილიალის (წარმომადგენლობის, ქვესაწარმოს) შესახებ;

— ცნობა ფილიალის (წარმომადგენლობის, ქვესაწარმოს) ადგილმდებარეობის შესახებ;

— სანოტარო წესით დამოწმებული ფილიალის (ქვესაწარმოს, წარმომადგენლობის), დამფუძნებელი საწარმოს დამფუძნებელი დოკუმენტები (თუ დამფუძნებელი საწარმო საქართველოს რესპუბლიკაში არის რეგისტრირებული);

— უცხოელი იურიდიული პირისაგან — გადახდის უნარიანობის დამადასტურებელი დოკუმენტები, გაცემული მომსახურე ბანკის მიერ (ნათარგმნი ქართულ ენაზე და დამოწმებული სანოტარო წესით); ამონაწერი შესაბამისი ქვეყნის სავაჭრო რეესტრიდან ან სხვა ექვივალენტური დოკუმენტიდან, რომელიც ადასტურებს უცხოელი ინვესტორის იურიდიულ სტატუსს (ნათარგმნი ქართულ ენაზე და დამოწმებული სანოტარო წესით), თუ უცხოელი ინვესტორი არის კერძო პირი, მაშინ უცხო ქვეყნის სავაჭრო რეესტრიდან ამონაწერის წარდგენა არ ხდება.

13. რეგისტრაციისათვის სხვა დამატებითი საბუთების მოთხოვნა დაუშვებელია გარდა საბანკო-საკრედიტო დაწესებულების რეგისტრაციისათვის კანონით დადგენილი დამატებითი დოკუმენტებისა.

14. გადაწყვეტილება რეგისტრაციაში გატარების ან არ გატარების შესახებ მიღებული უნდა იქნეს ყველა საჭირო დოკუმენტების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგისტრაციაზე უარის თქმა ან მისი შეჩერება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი დამფუძნებელი დოკუმენტები არ შეესატყვისება საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედ კანონმდებლობას. რეგისტრაციაში გატარების უარის თქმის თაობაზე განმცხადებელს ეცნობება არაუგვიანეს 3 დღის განმავლობაში. რეგისტრაციაზე უარის შემთხვევაში საწარმოს უფლება აქვს გაასაჩივროს გადაწყვეტილება ზემდგომ ორგანოში ან სასამართლოში.

15. საწესდებო ფონდის მქონე საწარმო (ქვესაწარმო, ფილიალი, წარმომადგენლობა) ვალდებულია რეგისტრაციის შემდეგ 30 დღის განმავლობაში წარუდგინოს შესაბამის ორგანოს ცნობა სახსრებით საწესდებო ფონდის 50 პროცენტის შევსების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში რეგისტრაცია ითვლება ბათილად.

რეგისტრირებულ საწარმოებზე (ქვესაწარმოზე, ფილიალზე, წარმომადგენლობაზე) გაიცემა დროებითი მოწმობა რეგისტრაციის შესახებ, რომლის მიხედვითაც საბანკო-საკრედიტო დაწესებულებაში ხსნიან სპეციალურ ანგარიშებს სახსრების აკუმულაციისათვის.

საწესდებო ფონდის 50 პროცენტით შევსების ცნობის წარდგენის შემდეგ დროებითი მოწმობა შეიცვლება რეგისტრაციის მუდმივი მოწმობით.

საწესდებო ფონდის მქონე საწარმოს (ქვესაწარმოს, ფილიალს, წარმომადგენლობას) სამეურნეო საქმიანობის უფლება ეძლევა მხოლოდ რეგისტრაციის მუდმივი მოწმობის მიღების შემდეგ.

16. სარეგისტრაციო გადასახადი ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოსათვის (ქვესაწარმოსათვის, წარმომადგენლობისათვის, ფილიალისათვის), რომელსაც არა აქვს საწესდებო ფონდი, შეადგენს 1000 მანეთს.

საწესდებო ფონდის მქონე საწარმოსათვის (ქვესაწარმოსათვის, ფილიალისათვის, წარმომადგენლობისათვის), საბანკო-საკრედიტო დაწესებულებისათვის, სადაზღვევო ორგანიზაციისათვის, სასაქონლო, საფონდო და სავალუტო ბირჟისათვის სარეგისტრაციო გადასახადი შეადგენს 1500 მანეთს.

წესდებაში და სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანისას სარეგისტრაციო გადასახადი შეადგენს რეგისტრაციისათვის დაწესებული განაკვეთის 30 პროცენტს.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ რეგისტრირებული საწარმოს (ფილიალს, ქვესაწარმოს, წარმომადგენლობას) სარეგისტრაციო გადასახადი შეაქვთ ადგილობრივ ბიუჯეტში, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში რესპუბლიკურ ბიუჯეტში.

რეგისტრაციაზე უარის შემთხვევაში სარეგისტრაციო გადასახადი სრული ოდენობით უბრუნდებათ დამფუძნებელს.

17. ორგანო, რომელიც რეგისტრაციაში გაატარებს საწარმოს (ქვესაწარმოს, წარმომადგენლობას, ფილიალს) ვალდებულია 15 დღის ვადაში წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ცნობა მისი სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელწოდების, ადგილმდებარეობის, შექმნის მიზნის, საქმიანობის ძირითადი სახეების, საწესდებო ფონდის (თუ არსებობს) და დამფუძნებელთა მოქალაქეობის შესახებ (თუ დამფუძნებლები ფიზიკური პირები არიან) სახელმწიფო რეესტრში გასატარებლად.

საწარმოს (ქვესაწარმოს, წარმომადგენლობის, ფილიალის) ლიკვიდაციის შემთხვევაში ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 10 დღისა მარეგისტრირებელი ორგანო აუქმებს სახელმწიფო რეგისტრაციას და ამის შესახებ 15 დღის ვადაში აცნობებს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო რეესტრიდან ამოსაღებად.

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო რეესტრში გატარების ან რეესტრიდან ამოღების შემდეგ არა უგვიანეს 5 დღის ვადაში აცნობებს ამის შესახებ შესაბამის საგადასახადო ინსპექციას, რომელიც აკონტროლებს ბიუჯეტთან საწარმოს (ქვესაწარმოს, წარმომადგენლობის, ფილიალის) ანგარიშსწორებას.

18. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო კვარტალში ერთხელ აქვეყნებს ოფიციალურ სახელმწიფო რეესტრს რეგისტრირებული და ლიკვიდირებული საწარმოს (ქვესაწარმოს, წარმომადგენლობის, ფილიალის) შესახებ.

19. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საწარმო (ქვესაწარმო, წარმომადგენლობა, ფილიალი) ვალდებულია აცნობოს მარეგისტრირებელ ორგანოს წესდებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ 15 დღის განმავლობაში გადაწყვეტილების მიღების დღიდან. ნებისმიერი სახის ცვლილება საწარმოს (ქვესაწარმოს, წარმომადგენლობის, ფილიალის) წესდებაში ძალაში შედის მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ დამტკიცების შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

174 საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის თანდართული დებულება.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი **კ. გელაშვილი**

ქ. თბილისი, 1992 წ. 7 აგვისტო, № 311

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 7 აგვისტოს № 811
დადგენილებით

საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის

დროებითი დებულება

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი (შემდგომში „დეპარტამენტი") არის ტყის დაცვისა და ტყის მეურნეობის სახელმწიფო მმართველობის ორგანო, ემორჩილება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად ეკისრება მთელი პასუხისმგებლობა ტყის დაცვისა და ტყის მეურნეობის დარგში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისათვის.

2. დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს დარგის მართვას ტყეების მოვლა-დაცვის, კვლავწარმოების, რესურსების გამოყენებისა და გადამუშავების საქმეში.

3. დეპარტამენტი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო მმართველობის შესაბამისი ორგანოები, ადგილობრივი სატყეო მეურნეობები, საწარმოები და ორგანიზაციები ქმნიან ტყეების დაცვის, გაშენების, უწყვეტი სარგებლობის და ტყის რესურსების გადამუშავების ერთიან სისტემას.

4. დეპარტამენტი თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით.

5. დეპარტამენტის, ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი სამსახურები, დეპარტამენტის დაქვემდებარებაში მყოფი სატყეო მეურნეობები, საწარმოები, ორგანიზაციები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან, სამართალდამცავ და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო ურთიერთკავშირში.

6. დეპარტამენტი კოორდინაციას უწევს მის დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს ტყეების მოვლა-დაცვის, ტყით სარგებლობის, ხე-ტყის მიწოდების, რეკვიზაციის, დაფინანსებისა და სახელმწიფო ქონების დაცვის საქმეში.

7. დეპარტამენტის მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, კომიტეტების, დეპარტამენტების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების და სხვა იურიდიული პირებისათვის, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეებისათვის, უცხოელი მოქალაქეებისა, მოქალაქეობის არმქონე პირებისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის, რომლებიც ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე და არ არიან დაკავშირებული სატყეო მეურნეობის გაძღოლასთან.

II. დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები

საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

1. ტყეების ნიადაგდაცვითი, წყალშემნახავი, წყალმარეგულირებელი, კლიმატმარეგულირებელი, სანიტარიულ-ჰიგიენური, რეკრეაციული და სხვა სასარგებლო ბუნებრივი თვისებების შენარჩუნება-გაძლიერება ადამიანთა ჯანმრთელობის, გარემოს გაუმჯობესებისა და ტყის მეურნეობის, როგორც ეროვნული სიმდიდრის შემადგენელი ნაწილის განვითარების ინტერესებისათვის.

2. ტყით უწყვეტი და რაციონალური სარგებლობა მერქანსა და ტყის სხვა პროდუქციაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა გეგმაზომიერი დაკმაყოფილებისათვის.

3. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების რაციონალური გამოყენება, ტყეების გაფართოებული კვლავწარმოება, ჯიშობრივი შემადგენლობისა და ხარისხის გაუმჯობესება, მათი პროდუქტიულობის ამაღლება, ტყეების დაცვა ხანძრებისა და უკანონო ჭრებისაგან, მავნე მწერებისა და დაავადებებისაგან.

4. კონტროლი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საკუთრების ტყეების მდგომარეობის, გამოყენების, კვლავწარმოებისა და დაცვისადმი.

5. სატყეო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის უზრუნველყოფა მუშაობის მოწინავე გამოცდილების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვის საფუძველზე, მეცნიერული კვლევის ყოველმხრივი განვითარება და სატყეო მეურნეობის წინაშე დასახული მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების შემუშავება.

III. დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციები

დეპარტამენტი:

1. ახორციელებს სატყეო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობას, როგორც წესი, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სატყეო მეურნეობის მმართველობის შესაბამისი ორგანოების, მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებული სატყეო მეურნეობების, ეროვნული პარკების, სახელმწიფო ტყის სანერგეებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების მეშვეობით.

2. ამყარებს თავის კომპეტენციის ფარგლებში კონტაქტებს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებთან, სხვა უწყებებთან და ახორციელებს მათთან საქმიან თანამშრომლობას დარგთაშორისი საკითხების შემუშავებისა და გადაწყვეტისას.

3. ადგენს სატყეო მეურნეობის დარგის განვითარების მიმდინარე და გრძელვადიან პროგრამებს, ნერგავს მეცნიერების და ტექნიკის მიღწევებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იზიდავს და გადაადგილებს ადგილობრივ და უცხოურ ინვესტიციებს, განსაზღვრავს საფინანსო, საკრედიტო და საკადრო პოლიტიკას, ამყარებს დამოუკიდებელ კავშირებს უცხოელ პარტნიორებთან ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის სფეროში, რესპუბლიკის კონსტიტუციის, ტყის კოდექსის და რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოების სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე და ხელმძღვანელობს მის რეალიზაციას სისტემის დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

IV. დეპარტამენტის უფლებამოსილებანი

დეპარტამენტი:

1. განსაზღვრავს რესპუბლიკაში სატყეო მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებებს, ხელმძღვანელობას უწევს სატყეო მეურნეობის ორგანიზაციას სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში, გეგმავს ტყეთმოწყობას, ახორციელებს კონტროლს მერქნის ძირზე გაცემის წესების დაცვისა და მისი რაციონალურად გამოყენებისადმი.

2. აწარმოებს დადგენილი წესით ტყეების სახელმწიფო აღრიცხვას, სახელმწიფო ტყის კადასტრს, აგრეთვე სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების მდგომარეობისა და გამოყენების დარგობრივ აღრიცხვას.

3. ამოწმებს სატყეო მეურნეობის მართვის ორგანიზაციას სისტემის მეურნეობების და ორგანიზაციების გამგებლობაში არსებულ ტყეებში.

4. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და გარემოს დაცვის სამინისტროებთან შეთანხმებით განსაზღვრავს რესპუბლიკის სახელმწიფო ტყის ფონდის ტყეებში საანგარიშო ტყეკაფს და წარუდგენს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას დასამტკიცებლად.

5. შეიმუშავებს წინადადებებს რესპუბლიკის ტყეების შესაბამისი ჯგუფებისა და დაცვითი კატეგორიების მიკუთვნების შესახებ, აგრეთვე მათი ერთი ჯგუფიდან და დაცვითი კატეგორიიდან მეორეში გადაყვანის შესახებ და შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებთან შეთანხმების შემდეგ წარუდგენს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას დადგენილი წესით დასამტკიცებლად.

6. უზრუნველყოფს დადგენილი წესით სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებიდან სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის საკითხის გადასაწყვეტად სათანადო დოკუმენტების რესპუბლიკის მთავრობაში წარდგენას.

7. თავს უყრის სამეცნიერო ძალებს რესპუბლიკაში ტყის რესურსების კვლავწარმოებისა და რაციონალური გამოყენების მეთოდებისა და ხერხების შემდგომი სრულყოფის აქტუალური პრობლემების დასამუშავებლად, ამასთან ითვალისწინებს მეცნიერული კვლევის თემატიკაში სატყეო-სამეურნეო წარმოების საკითხთა შესწავლას ცალკეულ სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა ეკონომიკური ეფექტიანობის დასაბუთებით, ყოველმხრივ უწყობს ხელს დამთავრებული მეცნიერული ნამუშევრებისა და რეკომენდაციების პრაქტიკულად დანერგვას წარმოებაში.

8. ახორციელებს სატყეო-სამეურნეო სამუშაოებს ქალაქებისა და სამრეწ
ველო ცენტრების შემოგარენში ტყის კორომების ფორმირებისათვის, რომ
ლებიც ყველაზე სრულად შეესაბამებიან სარეკრეაციო მიზნებს, სანიტარიულ
ჰიგიენურ და ესთეტიკურ მოთხოვნებს, აგრეთვე მშრომელთა მასობრივი და
სვენების უზრუნველყოფისათვის საჭირო სამუშაოებს.

9. იღებს ზომებს ნიადაგდაცვითი, წყალშემნახავი, მწვანე ზონის კლიმატ
მარეგულირებელი, სანიტარიულ-ჰიგიენური, გამაჯანსაღებელი და სხვა დაცვ
თი ფუნქციების მქონე ტყეების, ძვირფასი ჯიშიანი ტყის მასივების შენარჩუნ
ბისა და გაუმჯობესებისათვის, შეიმუშავებს და ახორციელებს ამ ტყეების ს
სარგებლო ფუნქციების გაძლიერებისათვის საჭირო ღონისძიებებს.

10. ტყის ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების მიზნით აწარ
მოებს ტყის მოვლით, სანიტარიული და იაფფასიანი კორომების რეკონსტრუ
ციასთან დაკავშირებულ ჭრებს, ახორციელებს ტყეების ხნოვანებითი და ხ
რისხობრივი მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებებს.

11. ხელმძღვანელობს სამეურნეო თვალსაზრისით ძვირფასი ტყის ჯიშ
ბის სელექციის, სატყეო მეთესლეობისა და ჯიშთა გამოცდის სამუშაოებს.

12. ავითარებს სატყეო მეთესლეობის საქმეს, უზრუნველყოფს მერქნიან
ოა ბუჩქოვანი სახეობების თესლების დამზადებას, სარგავი მასალის გამოყვ
ნას სატყეო მეურნეობის საწარმოების, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგ
ნიზაციების და კერძო სექტორის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

13. კონტროლს უწევს ტყის მერქნიანი და ბუჩქოვანი სახეობების თესლ
ბის დამზადებას, გადამუშავებას, შენახვასა და ხარისხს.

14. ახორციელებს ტყეების აღდგენას ნაკაფებზე, ნახანძრალებზე, მეჩხე
და დაბალი სიხშირის ფართობებზე, ხელოვნური ტყის გაშენებისა და ტყის ბუ
ნებრივი განახლების ხელშეწყობის ღონისძიებების გზით წყალგამყოფების, შ
ნაკადებისა და მდინარეთა აუზების, ხევებისა და ეროზირებული ფართობ
ბის გატყიანებას, როგორც სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე, ასევე სხ
მიწის ნაკვეთებზე.

15. ახორციელებს ნაკლებპროდუქტიული, დაბალი სიხშირის კორომების
ბუჩქნარის, აგრეთვე მეჩხერი და სახელმწიფო ტყის ფონდის სხვა ფართობ
ბის რეკონსტრუქციას იმ მიზნით, რომ მიიღოს ამ ფართობებზე ძვირფასი ღ
სწრაფმოზარდი მაღალმწარმოებლურ სახეობათა ნარგავები.

16. ამოწმებს სატყეო მეურნეობის გაძღოლისა და ტყის რესურსების რ
ციონალურად გამოყენების საკითხებს, აგრეთვე (მათი უწყებრივი დაქვემდებ
რების მიუხედავად) ტყეების დაცვის ორგანიზაციის საქმის წარმართვის სისწო
რეს და იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობას, რომლებიც ეწევია
მუშაობას ტყეებში.

17. ხელმძღვანელობს ტყეების მავნებელ-დაავადებებისაგან, ხანძრების
გან, უკანონო ჭრებისა და სხვა წესების დარღვევებისაგან დაცვის სამუშაოებ

18. უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიან გამოყენებას, ახ
ლი მშენებლობის რაციონალურ განლაგებას, კაპიტალურ დაბანდებათა წარ
მართვას, უწინარეს ყოვლისა, მოქმედ საწარმოთა ტექნიკური გადაიარაღების

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის, კაპიტალურ დაბანდებათა კონცენტრაციას ასამუშავებელ ობიექტებზე და დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემცირებას.

19. შეიმუშავებს და ამტკიცებს სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალური დაბანდებით გათვალისწინებულ მშენებლობათა და საპროექტო სამუშაოთა სატიტულო სიებს, კონტროლს უწევს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხს და მშენებლობის დამტკიცებული სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დაცვას, აგრეთვე ახორციელებს ტექნიკურ ზედამხედველობას სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე.

20. კონტროლს უწევს საიჯარო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული მშენებლობის მიმდინარეობას და ნიშნავს თავისი კომპეტენციის ფარგლებში კომისიებს საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა ექსპლუატაციაში მისაღებად.

21. განსაზღვრავს დეპარტამენტის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მოთხოვნილებებს მოწყობილობაზე, ნედლეულზე, სათბობსა და სხვა მატერიალურ რესურსებზე სახელმწიფო დაკვეთების ფარგლებში და წარუდგენს დადგენილი წესით განაცხადებს შესაბამის ორგანოებს.

22. კონტროლს უწევს ნედლეულის, მასალების, სათბობის, მოწყობილობისა და სხვა მატერიალური რესურსების რეალიზაციას, აგრეთვე საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან ხელშეკრულებათა დროულად დადებას პროდუქციისა და საქონლის მიწოდების შესახებ და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას.

23. აფინანსებს დადგენილი წესით საქვეუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, ხელმძღვანელობს მათ საფინანსო საქმიანობას, ახორციელებს კონტროლს ფინანსური რესურსების გამოყენებისადმი.

24. უზრუნველყოფს სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ საფინანსო გეგმების შესრულებას, საკუთარი საბრუნავი სახსრების დაცვა-შენარჩუნებას, მუშა-მოსამსახურეებთან, ბიუჯეტთან, მიმწოდებლებთან, მოიჯარეებთან, ბანკებთან დროულ ანგარიშსწორებას.

25. ამტკიცებს საბიუჯეტო საქმიანობით საქვეუწყებო დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა გეგმებს და დაფინანსების ლიმიტებს.

26. მართავს საბუღალტრო აღრიცხვასა და ანგარიშგებას საქვეუწყებო დაწესებულებებში, ორგანიზაციებში და ხელმძღვანელობს მათ.

27. ამტკიცებს ბალანსებს, ადგენს პერიოდულ და წლიურ საბუღალტრო ანგარიშებს საქმიანობის ყველა განაყოფის მიხედვით, ახორციელებს მეურნეობისა და მისი ეკონომიკის მდგომარეობის ყოველმხრივ ანალიზს სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

28. ატარებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად კომპლექსურ რევიზიებს, კონტროლს უწევს აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორად წარმოებასა და უტყუარობას, ატარებს ღონისძიებებს სახელმწიფო ქონების დასაცავად და მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად.

29. აწარმოებს სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე მერქნისა და ტყის ნარჩენების დამზადებას, გამოზიდვასა და გადამუშავებას, ახორციელებს სამასალე მერქნის, დახერხილი მასალის, შეშის, ხის დამუშავებული ნაწარმის ფართო მოხმარებისა და საწარმოო დანიშნულების საქონლის წარმოებას, მიწოდებასა და რეალიზაციას.

30. გეგმავს სისტემის მიერ მისაწოდებელი პროდუქციისათვის საჭირო სავტომობილო და სარკინიგზო გადაზიდვას და კონტროლს უწევს მის შესრულებას.

31. უზრუნველყოფს სახელმწიფო სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დანერგვასა და დაცვას.

32. აწყობს დამხმარე მეურნეობებს სისტემის საწარმოებში, ახორციელებს ოესლის; სამკურნალწამლო ნედლეულისა და არამერქნითი სარგებლობის პროდუქციის დამზადებას, გადამუშავებას და რეალიზაციას.

33. ხსნის მაღაზიებს, სავაჭრო სახლებს, საზკვებისა და სხვა ობიექტებს, აწყობს ბაზრობებს და მონაწილეობს მათში საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ წარმოებული პროდუქციის რეკლამისა და გასაღების მიზნით.

34. ეწევა ტყით არამერქნითი სარგებლობის რესურსების (სანნავი, სათიბ-საძოვრები) რაოდენობრივ და ხარისხობრივ აღრიცხვას, საკვები და სამკურნალო ნედლეულის გავრცელების რეგიონალურ მონიტორინგს, აგროვებს ინფორმაციას და აძლევს სამეცნიერო ორგანიზაციებს დაკვეთას დასამუშავებლად ამათს ბიოლოგიურ მარაგსა და საექსპლუატაციო მასას შორის ოპტიმალური თანაფარდობის შესამუშავებლად.

35. დარგის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის, ტყის მერქნითი და არამერქნითი ნედლეულის გამოყენების მაქსიმალურად გაუმჯობესების მიზნით მოიზიდავს როგორც ადგილობრივ, ისე უცხოეთის სახელმწიფოთა ფირმებს, ქმნის სააქციო საზოგადოებებს, კონსორციუმებს და სხვა სახის ერთობლივ საწარმოებს.

36. ურთიერთგამოცდილების გაზიარების, უახლესი ტექნოლოგიის და მეურნეობის მართვის მეთოდების ახალი პრინციპების გაცნობისა და დანერგვისათვის კავშირს ამყარებს უცხოეთის ქვეყნების მონათესავე დარგების როგორც სახელმწიფო ორგანიზაციებთან, ისე კერძო ფირმებთან.

37. დარგში მომუშავე სპეციალისტთა პროფესიული დონის ამაღლების მიზნით საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს მათ საზღვარგარეთ მივლინებაში გაგზავნას ან სავალუტო თანხის დანახარჯების გარეშე უცხოელ სპეციალისტთა საპასუხო მიღებას.

38. ადგენს პროგრამებს რეგიონების მიხედვით რესურსების გამოყენების დაბეგვრის, საგადასახადო და საჯარიმო მექანიზმების შესამუშავებლად.

39. უზრუნველყოფს სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა საკუთრების დაცვას, სახანძრო უსაფრთხოების წესების შესრულებას, დაწესებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებსა და ორგანიზაციებში და იღებს ზომებს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

40. აძლევს სავალდებულო მითითებებს იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების თანამდებობის პირებს, რომლებსაც მიმაგრებული აქვთ ტყეები ან ეწევიან მუშაობას ტყეებში სატყეო მეურნეობის გაძღოლის საქმეში მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნათა დარღვევისათვის.

41. ახორციელებს სამეურნეო და საიჯარო წესით საწარმოო, საბინაო-საყოფაცხოვრებო, სამელიორაციო, საგზაო და სხვა სამშენებლო სამუშაოებს.

V. დეპარტამენტის ხელმძღვანელი ორგანოები

1. საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტს სათავეში უდგას თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდგინებით ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

2. თავმჯდომარე:

—ახორციელებს დეპარტამენტის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას და პერსონალურად აგებს პასუხს დეპარტამენტისათვის დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებაზე, დაქვემდებარებული ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების მუშაობაზე;

—ანაწილებს ფუნქციებს თავმჯდომარის მოადგილეთა შორის და კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას;

— განსაზღვრავს მოადგილეთა და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას დეპარტამენტის საქმიანობის ცალკეული დარგებისა და უბნების ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე დეპარტამენტის სისტემის ორგანიზაციების, დაწესებულებების, საწარმოების მუშაობისათვის;

— ამტკიცებს დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს, აგრეთვე დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების შენახვის ხარჯებს, შრომის ანაზღაურების ფონდსა და მათ დებულებებს.

3. დეპარტამენტში იქმნება კოლეგია, რომლის პერსონალურ შემადგენლობას თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი, როგორც წესი, ხორციელდება კოლეგიის დადგენილებებით ან თავმჯდომარის ბრძანებებით; თავმჯდომარისა და კოლეგიის წევრთა უთანხმოების შემთხვევაში თავმჯდომარე ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან, წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ მოახსენებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას; კოლეგიის წევრებს უფლება აქვთ თავიანთი განსხვავებული აზრი აცნობონ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას.

დეპარტამენტის კოლეგია თავის სხდომებზე განიხილავს სატყეო მეურნეობის განვითარების ძირითად საკითხებსა და დეპარტამენტის საქმიანობის სხვა

ეაკითხებს, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისადმი ბრძანებულებიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, ისმენს აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სატყეო მეურნეობის მმართველობის შესაბამისი ორგანოების ხელმძღვანელების ანგარიშებს, დეპარტამენტის სამმართველოთა და განყოფილებათა, სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების ანგარიშებს.

4. სატყეო მეურნეობის დარგში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად მიმართულებებზე წინადადებათა განსახილველად, მეცნიერულად დასაბუთებული ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის დასადგენად, სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების და მოწინავე გამოცდილების გამოყენებისა და დანერგვის თაობაზე რეკომენდაციების შესამუშავებლად საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტში შეიქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო თვალსაჩინო მეცნიერთა, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა, სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს დებულებასა და შემადგენლობას ამტკიცებს დეპარტამენტის თავმჯდომარე.

5. სატყეო მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების პროექტების განსახილველად და დასამტკიცებლად იქმნება ტყეთმოწყობის კომისია.

ტყეთმოწყობის კომისიის დებულებასა და შემადგენლობას ამტკიცებს დეპარტამენტის თავმჯდომარე.

6. დეპარტამენტი არის იურიდიული პირი, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და სათანადო ანგარიშები ბანკებში, ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება. დეპარტამენტის დებულებას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

VI. დეპარტამენტის ლიკვიდაცია

1. დეპარტამენტის ლიკვიდაცია ხდება დადგენილი წესის შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

175 საქართველოს რესპუბლიკაში სამეურნეო ამხანაგობათა შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკაში ეკონომიკური რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესახებ სამთავრობო პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ადგენს:

დამტკიცდეს დებულება საქართველოს რესპუბლიკაში სამეურნეო ამხანაგობათა შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი **კ. გელაშვილი**

ქ. თბილისი, 1992 წ. 7 აგვისტო, № 812

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 7 აგვისტოს № 812
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკაში სამეურნეო ამხანაგობათა შესახებ

ეს დებულება განსაზღვრავს სამეურნეო ამხანაგობათა შექმნისა და ფუნქციონირების სამართლებრივ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, ამხანაგობის წევრების უფლება-მოვალეობებს, მმართველობის ორგანიზაციულ სტრუქტურასა და პრინციპებს, რეორგანიზაციისა და საქმიანობის შეწყვეტის წესს.

I. ზოგადი დებულებანი

1.1. სამეურნეო ამხანაგობა (შემდგომში „ამხანაგობა") არის ერთობლივი სამეურნეო საქმიანობისათვის ხელშეკრულების საფუძველზე გაერთიანებული რამდენიმე ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ შექმნილი საწარმო.

ამხანაგობა იქმნება სულ ცოტა ორი ფიზიკური და იურიდიული პირის ხელშეკრულების საფუძველზე. მისი წევრი არ შეიძლება იყოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანო, სახელმწიფო საწარმო და საწარმო, რომლის ქონებაში სახელმწიფო წილი 25 პროცენტზე მეტია.

1.2. ამხანაგობა თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის, ამ დებულებისა და დამფუძნებელი ხელშეკრულების საფუძველზე.

1.3. საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედებენ შემდეგი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ამხანაგობები:

— სრული სამეურნეო ამხანაგობა;

— შერეული (კომანდიტური) სამეურნეო ამხანაგობა.

1.4. სრული სამეურნეო ამხანაგობა არ არის იურიდიული პირი და წარმოადგენს საწარმოს, რომლის ქონება განუყოფელია ამხანაგობის წევრთა ქონებისაგან. ასეთი ამხანაგობის ვალდებულებებზე მისი წევრები სოლიდარულად პასუხისმგებელი არიან მთელი თავისი ქონებით. ამხანაგობა პასუხისმგებელი არ არის თავისი წევრების იმ ვალდებულებებზე, რომელიც არ არის დაკავშირებული ამხანაგობის საქმიანობასთან.

1.5. შერეული (კომანდიტური) სამეურნეო ამხანაგობა შედგება ნამდვილი და მეპაიე-კომანდიტორი წევრებისაგან. ამხანაგობაში უნდა იყოს სულ ცოტა ერთი ნამდვილი წევრი და ერთი მეპაიე-კომანდიტორი. ასეთი ამხანაგობა არ არის იურიდიული პირი, მისი ქონება განუყოფელია ნამდვილი წევრების ქონებისაგან და გამოყოფილია მეპაიე-კომანდიტორი წევრის ქონებისაგან. ამხანაგობის ვალდებულებებზე მისი ნამდვილი წევრები პასუხისმგებელი არიან სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, მეპაიე-კომანდიტორი წევრები კი იმ ქონებით, რომელიც მათ ხელშეკრულებით გადასცეს ამხანაგობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შერეული (კომანდიტური) სამეურნეო ამხანაგობა პასუხისმგებელი არ არის თავისი ნამდვილი წევრების იმ ვალდებულებებზე, რომელიც დაკავშირებული არ არის ამხანაგობის საქმიანობასთან, იგი ასევე არ არის პასუხისმგებელი თავისი მეპაიე-კომანდიტორი წევრების ქონებრივ ვალდებულებებზე.

1.6. ამხანაგობას აქვს საკუთარი საფირმო სახელწოდება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და მისი თუნდაც ერთი წევრის გვარი; შერეული (კომანდიტური) სამეურნეო ამხანაგობის დასახელებაში — ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და მისი თუნდაც ერთი ნამდვილი წევრის გვარი.

1.7. ამხანაგობას უფლება აქვს:

— საქართველოს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ ეწეოდეს ისეთ სამეურნეო საქმიანობას, რომელიც ნებადართულია მოქმედი კანონმდებლობით და გათვალისწინებულია ამხანაგობის წევრთა ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით;

— ჰქონდეს ბეჭედი (თავისი დასახელებით ან აბრევიატურით), ანგარიშსწორების და სხვა სახის ანგარიშები როგორც საქართველოს რესპუბლიკის, ისე უცხოეთის საბანკო დაწესებულებებში;

— შექმნას თავისი ქვესაწარმოები, ფილიალები და წარმომადგენლობები საქართველოს რესპუბლიკასა და მის ფარგლებს გარეთ;

— იყიდოს (შეიძინოს) ქონება, გაყიდოს, გასცეს იჯარით, დააგირაოს ან განაგოს იგი სხვა წესით;

— დადოს ხელშეკრულებები, იკისროს ვალდებულებები, აიღოს და გასცეს სესხები;

— განსაზღვროს ფასები და ტარიფები თავის პროდუქციაზე და მომსახურებაზე, გარდა საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

— მოახდინოს თვითლიკვიდაცია და რეორგანიზაცია დადგენილი და ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით.

ამხანაგობას შეიძლება ჰქონდეს სხვა, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით ნებადართული ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები.

1.8. ამხანაგობა მოვალეა სამეურნეო საქმიანობაში დაიცვას საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა და ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების პირობები.

1.9. ამხანაგობის მიერ აღებული ვალდებულებები სრულდება, პირველ რიგში, ამხანაგობის ქონების, ხოლო მისი უკმარისობისას — ამხანაგობის ნამდვილი წევრების ქონების ხარჯზე, საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის შესაბამისად.

II. ამხანაგობის შექმნა

2.1. ამხანაგობის შექმნისა და საქმიანობის საფუძველია ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება, რომელიც იდება ამხანაგობის მონაწილეებს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2.2. ამხანაგობის შექმნის თაობაზე ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

—სახელწოდებას ამ დებულების 1.6 მუხლით გათვალისწინებული წესით;

— საქმიანობის საგანს;

— ნამდვილი და მეპაიე-კომანდიტორი წევრების — ფიზიკური პირების, სახელს, გვარს და მისამართებს;

— ნამდვილი და მეპაიე-კომანდიტორი წევრების — იურიდიული პირების დასახელებას და მისამართებს, ბანკის ანგარიშის ნომრებს;

ნამდვილი და მეპაიე-კომანდიტორი წევრების უფლება-მოვალეობებს;

— ნამდვილი და მეპაიე-კომანდიტორი წევრების წილს ამხანაგობის საერთო ქონებაში, გამოხატულს აბსოლუტური თანხებით ან პროცენტობით. მათ ფულად ან არაფულად (ქონება, ინტელექტუალური საქმიანობის პროდუქტი, რომელიც საკუთრების უფლების ობიექტს წარმოადგენს) შენატანს, არაფულადი შენატანების შეფასებას;

— ამხანაგობისათვის შენატანების გადახდისა და გადაცემის წესს და ვადებს;

— ნამდვილი წევრების და მეპაიე-კომანდიტორი წევრების საქმიანობის შეფასებისა და მათთან ანგარიშსწორების წესს;

— ამხანაგობის სალაროდან ნაღდი ფულის გატანის წესს;

— მოგებისა და ზარალის განაწილების წესს;

— ამხანაგობაში ნამდვილი და მეპაიე-კომანდიტორი წევრების მიღებისა და გარიცხვის, ახალი წევრების მიღების წესს და პირობებს;

— ამხანაგობის მართვის (გაძღოლის) წესს და პირობებს;

— იმ პირების დასახელებას (სახელი, გვარი, მისამართი), რომლებსაც მიეცემათ ამხანაგობის საქმეების გამგებლობის უფლებამოსილება;

— ამხანაგობის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესს;

— საკითხების ნუსხას, რომელთა შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ყველა წევრის თანხმობა;

— ამხანაგობის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესს.

— ამხანაგობის ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებაში შეიძლება სხვა დებულებების გათვალისწინებაც, რაც არ ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედ კანონმდებლობას.

ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებას ხელს აწერს ამხანაგობის ყველა წევრი.

ამხანაგობა შექმნილად ითვლება მისი რეგისტრაციის დღიდან.

2.3. ამხანაგობის შემადგენლობიდან გარიცხვის ან გასული ნამდვილი წევრისა და მის ნაცვლად ახლის მიღებისას, ან საერთოდ ახალი წევრის მიღებისას, ასევე მეპაიე-კომანდიტორი წევრის გარიცხვის, გასვლის ან მიღების (ახლის მიღების) შესახებ შესაბამისი ცვლილების შეტანა ხდება ამხანაგობის ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებაში. აღნიშნული ცვლილებები ტარდება რეგისტრაციაში დადგენილი წესით.

2.4. ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების გაბათილება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს წესით, თუ საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსში არის იმის საფუძველი, რომ გარიგებები ჩაითვალოს ძალადაკარგულად. ასეთ შემთხვევაში ძალაში რჩება ის გარიგებები მესამე პირთან, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო კანონმდებლობით ძალადაკარგულად არ ითვლება.

III. ამხანაგობის ქონება

3.1. ამხანაგობის ქონება შედგება საკუთარი და სესხით მიღებული კაპიტალისაგან. საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა არ არის რეგლამენტირებული. ქონება აღირიცხება საბუღალტრო აღრიცხვით გათვალისწინებული წესით.

3.2. ამხანაგობის წევრთა შენატანი შეიძლება იყოს ფულის, მატერიალური და ინტელექტუალური ღირებულების და სხვა ფასეულობის სახით, რაც ამხანაგობის წევრთა საკუთრების ობიექტს წარმოადგენს.

შენატანი არ შეიძლება იყოს აქციები ან ისეთი ქონება, რომლის მეპატრონის უფლება რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

არაფულადი შენატანები (მათ შორის ინტელექტუალური) შეფასდება ამხანაგობის წევრთა თანხმობით, რაც დაფიქსირდება ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებაში.

ერთობლივ საქმიანობაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობით და ვადებში შენატანების წარმოუდგენლობისას ამხანაგობის წევრს დაერიცხება საურავი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობით ან გაირიცხება ამხანაგობიდან.

დაუშვებელია ამხანაგობის ნამდვილი წევრის შენატანიდან ზღვევინება მისი კრედიტორის მოთხოვნით. ამ უკანასკნელს უფლება აქვს სასამართლოს ძალით მოითხოვოს ამხანაგობის მოვალე წევრის წილის გამოყოფა თავისი პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თუ ამხანაგობის ნამდვილი წევრის ქონება არასაკმარისია კრედიტის დასაფარავად.

3.3. ამხანაგობის საბუღალტრო ბალანსი დგება არაუგვიანეს ორი თვისა სამეურნეო წლის დასრულების შემდეგ, რომელიც იწყება პირველ იანვარს და სრულდება 31 დეკემბერს.

ამხანაგობის წევრებს შორის შემოსავალი ნაწილდება ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

ამხანაგობის წევრს შეუძლია ამხანაგობის შემოსავლის თავისი წილი დატოვოს ამხანაგობის განკარგულებაში და შესაბამისად გაადიდოს თავისი საწყისი შენატანი.

IV. ამხანაგობის წევრთა უფლება-მოვალეობანი

4.1. ამხანაგობის ნამდვილ და მეპაიე-კომანდიტორ წევრებს უფლება აქვთ ჰქონდეთ ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები იმ წესით, რაც გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალისწინებულია ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით, ამ დებულებით და საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობით.

4.2. ყოველი ნამდვილი წევრი უფლებამოსილია წარმოადგენდეს ამხანაგობას, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით. მეპაიე-კომანდიტორ წევრს უფლება არ აქვს წარმოადგენდეს ამხანაგობას. თუ ამ მოთხოვნის დარღვევით იგი გარიგებას ეწევა ამხანაგობის სახელით, მას მხოლოდ თავისი ქონებით ეკისრება სრული პასუხისმგებლობა იმ ვალდებულებებისათვის, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გარიგებას.

ამხანაგობის ნამდვილ წევრებს შეუძლიათ თავისი წარმომადგენლობითი უფლება გადასცენ ამხანაგობის სხვა ნამდვილ წევრს, თუ ასეთი გათვალისწინებულია ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით.

წევრის მიერ ამხანაგობის სახელით წარმოებული გარიგების შედეგად ამხანაგობას მხოლოდ მაშინ ეძლევა უფლებები და ეკისრება მოვალეობები, როდესაც გარიგებები გათვალისწინებულია ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით ან ერთხმად არის მიღებული ამხანაგობის ნამდვილი წევრების გადაწყვეტილებით.

შესაძლებელია ცალკეულ შემთხვევაში ამხანაგობის წარმომადგენელი იყოს პირი, რომელიც არ არის ამხანაგობის წევრი. ასეთ შემთხვევაში მისი უფლებამოსილება დადგინდება ამხანაგობის მიერ გაცემული მინდობილობით.

4.3. ამხანაგობის ყოველი ნამდვილი წევრი უფლებამოსილია დასვას საკითხი ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების შეცვლის, ცალკეული დებულებების დაზუსტების შესახებ. საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება ხდება ხელშეკრულებაში განსაზღვრული წესით.

4.4. ნამდვილი წევრი და მეპაიე-კომანდიტორი წევრი უფლებამოსილია გაეცნოს ამხანაგობის წლიურ საბუღალტრო ბალანსს, ოპერატიული აღრიცხვის მონაცემებს, შეამოწმოს შემოსავალ-გასავლის შესაბამისობა პირველად დოკუმენტებთან და, საჭიროების შემთხვევაში, აღრიცხვის დოკუმენტების შემოწმების მიზნით მოითხოვოს სარევიზიო კომისიის (ჯგუფის) შექმნა.

4.5. ნამდვილი წევრი უფლებამოსილია მონაწილეობდეს ამხანაგობის ქონების მართვისა და გამოყენების საკითხების გადაწყვეტაში.

გადაწყვეტილების მიღებისას ყოველ ნამდვილ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება საერთო საკუთრების უფლებაზე მისი წილის ოდენობის მიუხედავად. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით, თუ ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით სხვა წესი არ არის დადგენილი გადაწყვეტილების მისაღებად კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება შეიძლება მიეცეს მეპაიე-კომანდიტორ წევრსაც. ამხანაგობიდან გასულ ან გარიცხულ წევრს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება არა აქვს.

4.6. ნამდვილი წევრი უფლებამოსილია სასამართლოში წარადგინოს სარჩელი ამხანაგობის ლიკვიდაციის შესახებ, თუ ამხანაგობის სხვა ნამდვილი წევრები უგულებელყოფენ ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებას ან არ შესწევთ მათი შესრუ-

ლების უნარი. ამავე საფუძველზე მეპაიე-კომანდიტორ წევრს შეუძლია წარუდგინოს სარჩელი და სასამართლოს სთხოვოს ამხანაგობის წევრობიდან მისი გამოყვანის შესახებ. ასეთი სარჩელის წარდგენა და დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ სამეურნეო წლის დამთავრების შემდეგ. სარჩელის დაკმაყოფილებისას ამხანაგობის წევრისათვის მიყენებულ ზარალს ანაზღაურებენ ის წევრები, რომლებიც არ ასრულებდნენ თავიანთ ვალდებულებებს ან არ შესწევდათ მისი შესრულების უნარი.

4.7. ნამდვილ წევრებს უფლება არა აქვთ გარიგება მოახდინონ თავის ამხანაგობასთან. მეპაიე-კომანდიტორ წევრებს უფლება აქვთ მოახდინონ ასეთი გარიგებები, მაგრამ ასეთი გარიგებით წამოჭრილი მოთხოვნები დაკმაყოფილდება ამხანაგობის ყველა კრედიტორის დაკმაყოფილების შემდეგ.

4.8. ნამდვილ წევრს უფლება არა აქვს ამხანაგობის ყველა დანარჩენი წევრის თანხმობის გარეშე ჰქონდეს ინდივიდუალური საწარმო, რომელიც ეწევა ამხანაგობის ანალოგიურ საქმიანობას ან იყოს სხვა ამხანაგობის ნამდვილი წევრი, რომელიც მსგავს სამეურნეო-კომერციულ საქმიანობას ეწევა.

თუ ნამდვილ წევრად შესვლისას ამხანაგობის პირი არ გაამჟღავნებს, რომ მას აქვს ანალოგიური საქმიანობის მქონე ინდივიდუალური საწარმო, ან ეს პირი არის სხვა, ასეთივე სამეურნეო-კომერციული საქმიანობის მქონე ამხანაგობის ნამდვილი წევრი, ან ამხანაგობის წევრების თანხმობის გარეშე შეიძინა ანალოგიური საქმიანობის საწარმო, ასეთ შემთხვევაში, დარღვევის გამოვლინებიდან სამი თვის ვადაში ამხანაგობა უფლებამოსილია დამნაშავე ნამდვილ წევრს მოსთხოვოს ანაზღაურება ან სხვა ამხანაგობაში მის მიერ დამყარებული გარიგებები ჩათვალოს ამ ამხანაგობის კუთვნილებად და მოითხოვოს ამ გარიგების შედეგად მიღებული შემოსავლის ჩარიცხვა ამ ამხანაგობის ანგარიშზე.

4.9. ამხანაგობის წევრად ყოფნის შეწყვეტის საფუძველია:

— წევრის გარდაცვალება;

— წევრის გასვლა ამხანაგობიდან;

— წევრის გარიცხვა ამხანაგობიდან.

ნამდვილ ან მეპაიე-კომანდიტორ წევრს შეუძლია ამხანაგობიდან გამოვიდეს, თუ თავისი გაკოტრების შედეგად მას არ შეუძლია ამხანაგობის საქმიანობაში მონაწილეობა. ნამდვილ წევრს შეუძლია გავიდეს ამხანაგობიდან სხვა შემთხვევაშიც, თუ ასეთი მოქმედების მოტივაცია საკმარისი იქნება ამხანაგობის სხვა ნამდვილი წევრების თანხმობის მისაღებად.

ამ მიზეზით ამხანაგობიდან გასვლის შემთხვევაში ამხანაგობა ვალდებულია გასულ წევრს ან მის მემკვიდრეს სამი თვის ვადაში საერთო საკუთრების ქონებიდან გამოუყოს შესაბამისი წილი, რომელიც მას ეკუთვნოდა განცხადების შეტანის დღისათვის.

ამხანაგობიდან გასულმა პირმა (მეურვემ, მემკვიდრემ) ამხანაგობაში განცხადების შეტანიდან სამი თვის ვადაში უნდა აცნობოს თავისი წილის ამხანაგობაში დატოვების განზრახვა, რისთვისაც მას არსებული წესის თანახმად, დაერიცხება შემოსავლის წილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ამხანაგობიდან გასულ პირზე მისი კუთვნილი წილის გაცემა იწვევს ზარალს ამხანაგობის საქმიანობაში, ამხანაგობამ გამსვლელ წევრს უნდა აცნობოს ამის შესახებ და შესთავაზოს ვადა, რომლის გასვლის შემდეგ შესაძლებელი იქნება ზარალის თავიდან აცილება და წილის გაცემა. თავისი წილის ამ ვადის შემდეგ მიღებაზე თანხმობისას გამსვლელ წევრს ამ ვადის მანძილზე დაერიცხება შემოსავლის წილი. უარის შემთხვევაში წილის გატანით ამხანაგობისათვის მიღებული ზარალი იფარება ამხანაგობიდან გამსვლელი წევრის (მეურვის, მემკვიდრის) წილის ხარჯზე.

ყოფილ წევრს (მეურვეს, მემკვიდრეს) მისი წილის ქონება მიეცემა ფულადი ან ნატურალური ფორმით, ურთიერთშეთანხმებით ან ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ფორმით.

ამხანაგობის წევრი, რომელიც ამხანაგობიდან გაირიცხა ვალდებულებათა უხეშად დარღვევისა და შეუსრულებლობის გამო, უფლებას ინარჩუნებს მიმართოს სასამართლოს.

4.10. ამხანაგობის გარდაცვლილი წევრის მემკვიდრეებს უფლება აქვთ მემკვიდრეობით მიიღონ ამხანაგობის ქონების ის ნაწილი, რომელიც გარდაცვლილ წევრს ეკუთვნოდა.

ქონება მემკვიდრეს გადაეცემა იმავე წესით და ვადებში, რაც დადგენილია ამხანაგობიდან გასული წევრისათვის.

ამასთან, ამხანაგობის ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში გარდაცვლილი წევრის მემკვიდრეს უფლება აქვს გახდეს ამხანაგობის წევრი და მიიღოს გარდაცვლილის ყველა უფლება და ვალდებულება, რაზედაც ერთობლივ საქმიანობაზე ახალი ხელშეკრულების ამხანაგობის ნამდვილ წევრად შესვლაზე მემკვიდრეობისათვის უარის თქმისას ამხანაგობა წყვეტს თავის საქმიანობას და მემკვიდრეს გადასცემს სამემკვიდრეო ქონებას იმ ზარალის გამორიცხვის შემდეგ, რაც ამხანაგობის ლიკვიდაციასთან არის დაკავშირებული.

V. ამხანაგობის მართვა

5.1. ამხანაგობის მართვა ხორციელდება საერთო საქმიანობის ხელშეკრულებით დადგენილი წესით. ამ მიზნით საერთო საქმიანობის ხელშეკრულებაში აისახება მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა, შესაბამისი ქვედანაყოფების და პასუხისმგებელი პირების უფლება-მოვალეობანი, მუშაობის რეგლამენტი, საქმიანობის კონტროლის წესი და სხვა საკითხები ამხანაგობის მონაწილეთა გადაწყვეტილებით.

VI. ამხანაგობის საქმიანობის აღრიცხვა და კონტროლი

6.1. ამხანაგობის საქმიანობის აღრიცხვა ხდება საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. ამხანაგობის საქმიანობის შემოწმება, გარდა ამხანაგობის წევრებისა (ამ დებულების 4.4 მუხლის თანახმად), შეიძლება ჩაატარონ მხოლოდ საფინანსო, სარევიზიო და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

VII. ამხანაგობის საქმიანობის რეორგანიზაცია და შეწყვეტა (ლიკვიდაცია)

7.1. ამხანაგობის რეორგანიზაცია ხდება საერთო საქმიანობის ხელშეკრულებათა გათვალისწინებული პირობებით მისი წევრების საქმიანობის შეცვლის გამოკლების ან მომატების შემთხვევაში.

7.2. ამხანაგობის საქმიანობა შეიძლება შეწყდეს:

— ერთობლივი საქმიანობის თაობაზე ხელშეკრულების ვადის ამოწურვის გამო (თუ ხელშეკრულება ვადიანია);

— ამხანაგობის ნამდვილ წევრთა ერთობლივი გადაწყვეტილებით;

— ამხანაგობის გაკოტრების გამო;

— ამხანაგობის სახელმწიფო რეგისტრაციის საკანონმდებლო მოთხოვნების დარღვევის გამო სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებით;

— ამხანაგობის მიერ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის უხეშად დარღვევის გამო სასამართლოს ან საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით;

— ამხანაგობის დაარსებისას დადებული ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობებით და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

7.3. ამხანაგობის ლიკვიდაციის წესი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობით, ამ დებულებით და ხელშეკრულებით ერთობლივი საქმიანობის შესახებ.

ამხანაგობის ლიკვიდაციას ახდენს სალიკვიდაციო კომისია. სალიკვიდაციო კომისიას ნიშნავს ამხანაგობა, თუ ლიკვიდაცია ხდება ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე ან ამხანაგობის ნამდვილ წევრთა ერთობლივი გადაწყვეტილებით. ყველა სხვა შემთხვევაში სალიკვიდაციო კომისიას ნიშნავს ორგანო, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ამხანაგობის ლიკვიდაციის შესახებ.

სალიკვიდაციო კომისიის დანიშვნის (შექმნის) დროიდან ამხანაგობაზე ვრცელდება სალიკვიდაციო საწარმოს სტატუსი, მართვის ორგანოები კარგავენ თავიანთ უფლებამოსილებას და მათი ფუნქციები გადაეცემა სალიკვიდაციო კომისიას.

7.4. სალიკვიდაციო კომისია ასრულებს ამხანაგობის დამამთავრებელ საშეურნეო-კომერციულ საქმიანობას, ადგენს მის დებიტორებს და კრედიტორებს, ამხანაგობის სალიკვიდაციო საბუღალტრო ბალანსს, საჭიროების შემთხვევაში ამხანაგობის ქონებას ჰყიდის აუქციონზე და აკმაყოფილებს კრედიტორების მოთხოვნებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7.5. ამხანაგობის კრედიტორებთან სრული ანგარიშსწორების შემდეგ დარჩენილ ქონებას სალიკვიდაციო კომისია ანაწილებს ამხანაგობის წევრებს შორის.

პირველ რიგში ანგარიშსწორება ხდება მეპაიე-კომანდიტორ წევრებთან. სრული შენატანის შემომტანებს მთლიანად უბრუნდებათ ქონება. დარჩენილი ქონება იმ ნამდვილ წევრებსა და მეპაიე-კომანდიტორებს შორის, რომლებსაც სახელშეკრულებო თანხა მთლიანად არ შემოუტანიათ, ნაწილდება მათი წილის პროპორციულად. ანალოგიურად ნაწილდება ამხანაგობის ზარალი ნამდვილ წევრებსა და მეპაიე-კომანდიტორ წევრებს შორის.

ლიკვიდაციის პროცესში სადავო ვალდებულებათა გამოვლინებისას, მათი დაკმაყოფილებისათვის მთლიანი ქონებიდან გამოიყოფა შესაბამისი სახსრები, რომელიც გადაირიცხება ნოტარიატის სადეპოზიტო ანგარიშზე.

იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორების გასტუმრების შემდეგ დარჩენილი თანხის განაწილებისას ამხანაგობის წევრებს შორის წარმოიშვება დავა, სალიკვიდაციო კომისია აჩერებს ქონების გაყოფას სასამართლოს ან საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ ამ დავის გადაწყვეტამდე.

ამხანაგობის ნამდვილი წევრები სალიკვიდაციო კომისიასთან ერთად ადგენენ ამხანაგობის ლიკვიდაციის აქტს და ამხანაგობის ლიკვიდაციის თაობაზე აცნობებენ ორგანოს, რომელშიც რეგისტრირებულია ამხანაგობა.

ამხანაგობა ლიკვიდირებულად ითვლება სახელმწიფო რეგისტრაციის რეესტრიდან მისი ამოღების მომენტიდან.

7.6. ლიკვიდირებული ამხანაგობის დოკუმენტები შესანახად გადაეცემა შესაბამის საარქივო ორგანოებს 10 წლის ვადით. ამ დოკუმენტებს შეიძლება გაეცნოს ამხანაგობის ყველა წევრი და მათი მემკვიდრეები, საჭიროების შემთხვევაში დადგენილი წესით მიიღოს დოკუმენტის პირები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

176 სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით საზღვარგარეთ გამგზავრებისათვის საგუთების მიღებისა და გაფორმების წესის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით საზღვარგარეთ გამგზავრებისათვის საბუთების მიღებისა და გაფორმების წესის თანდართული დროებითი დებულება.

2. სამინისტროებმა, უწყებებმა, ორგანიზაციებმა, საწარმოებმა მკაცრად დაიცვან ეს დებულება.

3. გაუქმდეს სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით საზღვარგარეთ გამგზავრებისათვის საბუთების მიღებისა და გაფორმების წესის შესახებ წინათ მიღებული ყველა დადგენილება, განკარგულება და ნორმატიული აქტი.

4. დროებითი დებულება ძალაშია საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა პასპორტების შემოღებამდე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი **კ. გელაშვილი**

ქ. თბილისი, 1992 წ. 10 აგვისტო, № 817

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 10 აგვისტოს № 817
დადგენილებით

დროებითი დებულება

სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით საზღვარგარეთ გამგზავრებისა-თვის საბუთების მიღების და გაფორმების წესისა

ყველა კატეგორიის მუშაკთა სამსახურებრივ საქმეზე საზღვარგარეთ ბივლინების შესახებ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს სახელმწიფო, კოოპერაციულ საზოგადოებრივი კომერციული ორგანიზაციების, აგრეთვე სხვა სახის საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს.

საზღვარგარეთ გასამგზავრებელი დოკუმენტების გაფორმებისა და საზღვარგარეთის პასპორტებისა და ვიზების მიღების წესი

1. თანამშრომელთა საზღვარგარეთ მივლინებით გამგზავრებისათვის შესაბამისი ორგანიზაცია ვალდებულია რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

ა) წერილი შესაბამისი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით, რომელშიც მითითებული იქნება მისავლინებელი პიროვნების სახელი, მამის სახელი, გვარი, თანამდებობა, მივლინების მიზანი და საფუძველი, დაფინანსების წყარო, გამგზავრების თარიღი, საზღვარგარეთ ყოფნის ვადა, უცხოეთში გადაადგილების მარშრუტი და ტრანსპორტის სახეობა. წერილი იბეჭდება ორგანიზაციის ბლანკზე და დაიმოწმება ბეჭდით;

ბ) თანამშრომლის სახელი, მამის სახელი და გვარი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) და ადგილი;

გ) საზღვარგარეთის პასპორტი (ადრე გაცემული) ან შიდაპასპორტი.

დ) ფოტოსურათები საზღვარგარეთის პასპორტებისათვის (2 ცალი, ზომა 3 სმ×4,5 სმ);

ე) მასპინძელი ქვეყნის საელჩოს ანკეტა;

ვ) ცნობები გასამგზავრებელი პიროვნების შესახებ საელჩოსათვის;

ზ) მიწვევა; დედანი და ქსეროპირი (პირი რჩება სამინისტროში);

თ) მასპინძლის მისამართი და ტელეფონი (მასპინძელი ქვეყნის ენაზე);

ი) ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული გასამგზავრებელ პირთა სია (თუ მათი რაოდენობა აღემატება ოთხს) მათი თანამდებობათა აღნიშვნით;

კ) საზღვარგარეთის პასპორტების და სხვა სამგზავრო დოკუმენტების გაფორმების ხარჯისა და სახელმწიფო ბაჟის გადარიცხვის დამადასტურებელ ქვითრები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ) მიმწვევი ორგანიზაციის წერილობითი გარანტია ან ნებისმიერი სადაზღვევო კომპანიის სამედიცინო დაზღვევის პოლისი.

2. ორგანიზაციას, რომელიც თავისი თანამშრომლის უცხოეთში გამგზავრების თაობაზე იღებს გადაწყვეტილებას, შესაბამისი საჭირო საბუთების საფუძველზე უფლება აქვს აღუძრას შუამდგომლობა მას უცხოეთში მრავალჯერადი გასვლის ნებართვის მიცემის თაობაზე.

რესპუბლიკის მინისტრების, კომიტეტების თავმჯდომარეების, დეპარტამენტების დირექტორების და სხვა რესპუბლიკური უწყებების ხელმძღვანელების საზღვარგარეთ მივლინების საკითხი თანხმდება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელთან ან მის შესაბამის კურატორ მოადგილესთან.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრების, კომიტეტების თავმჯდომარეების, დეპარტამენტების დირექტორების და სხვა რესპუბლიკური უწყებების ხელმძღვანელების საზღვარგარეთ მივლინების საკითხი თანხმდება შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან.

3. დიპლომატიური, სამსახურებრივი და საერთოსამოქალაქო საზღვარგარეთის პასპორტები ფორმდება საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ. პასპორტებს ხელს აწერენ უფლებამოსილი თანამშრომლები, რაც დასტურდება საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო განყოფილების გერბიანი ბეჭდით.

4. უცხოეთში მგზავრთა შორის პერიოდში საზღვარგარეთის პასპორტების შენახვის წესს ადგენს ორგანიზაცია, რომელიც თავის თანამშრომელს მიავლენს უცხოეთში. დიპლომატიური პასპორტები ინახება საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო განყოფილებაში.

5. დიპლომატიური პასპორტები მიეცემათ:

ა) სახელმწიფო საბჭოს წევრებს, მთავარ სახელმწიფო მრჩევლებს, პარლამენტის წევრებს;

ბ) პრემიერ-მინისტრს, მის მოადგილეებს, რესპუბლიკის მთავრობის წევრებს, მთავარ სახელმწიფო მრჩევლებს, მინისტრებს, მინისტრის მოადგილეებს, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეებს და მათთან გათანაბრებულ პირებს, დეპარტამენტის დირექტორებს, ქ. თბილისის მერს, ქ. ქუთაისის მერს;

გ) ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეებს, მათ მოადგილეებს;

დ) ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეებს, მათ მოადგილეებს, მთავრობის წევრებს, მინისტრებს, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეებს და მათთან გათანაბრებულ პირებს, დეპარტამენტების დირექტორებს; დედაქალაქების ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელებს;

ე) საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს, უცხოეთში რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლობათა და საკონსულო დაწესებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებათა დიპლომატიურ მუშაკებს, რომლებსაც უკავიათ დიპლომატიური თანამდებობანი ან აქვთ დიპლომატიური რანგი, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიურ კურიერებს; საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკური სახელმწიფო კომიტეტის თანამშრომლებს (სპეციჩამონათვლის მიხედვით);

ვ) საერთაშორისო კონფერენციებში, თათბირებში, მოლაპარაკებებში, გაეროსა და მისი ორგანიზაციების სესიებში, სამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაციათა კონფერენციებში და სხვა საერთაშრისო ფორუმებში მონაწილე საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციების მეთაურებსა და წევრებს; საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამთავრობათაშორისო კომისიების თანამშრომლებს საქართველოდან;

ზ) სამხედრო მისიათა მეთაურებსა და წევრებს, სამხედრო, სამხედრო-საპაერო, სამხედრო-საზღვაო ატაშეებს;

თ) საზღვარგარეთ რესპუბლიკის სავაჭრო წარმომადგენლებს.

6. სამსახურებრივი პასპორტები მიეცემათ:

ა) საქართველოს რესპუბლიკის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრების მოადგილეებს, კომიტეტების თავმჯდომარეთა და დეპარტამენტის დირექტორთა მოადგილეებს, რესპუბლიკურ უწყებათა ხელმძღვანელებს, მათ მოადგილეებს;

ბ) რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და ავტონომიურ რესპუბლიკათა უზენაესი საბჭოების აპარატების პასუხისმგებელ თანამშრომლებს, რესპუბლიკის მთავრობისა და ავტონომიურ რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოების აპარატების პასუხისმგებელ თანამშრომლებს;

გ) ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოების პირველ ხელმძღვანელ პირებს, ქ. თბილისისა და ქ. ქუთაისის მერის მოადგილეებს;

7. საერთო-სამოქალაქო პასპორტები ეძლევა საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, რომელიც უცხოეთში გამგზავრებას აპირებს სამსახურებრივი მივლინებით, სამკურნალოდ ან სასწავლებლად.

8. დიპლომატიური, სამსახურებრივი და საერთო-სამოქალაქო საზღვარგარეთის პასპორტების მფლობელი პირების მეუღლეებს, 18 წლის ასაკამდე შვილებს და 18 წელზე უფროს გაუთხოვარ ქალიშვილებს, რომლებიც აღნიშნული პასპორტების მფლობელთ მიჰყვებიან უცხოეთში, შესაბამისად მიეცემათ დიპლომატიური ან საერთო-სამოქალაქო პასპორტები. 16 წლის ასაკამდე ბავშვები იწერებიან მშობლის ან იმ პიროვნების პასპორტში, რომელსაც ისინი მიჰყვებიან უცხოეთში. დასაბუთებულ შემთხვევებში საზღვარგარეთის პასპორტი შეიძლება გაუფორმდეს ბავშვებს მათი ასაკის მიუხედავად. თუ ზემოაღნიშნული პირები მიემგზავრებიან დამოუკიდებლად ან მათი უშუალო სამსახურის მეშვეობით, მათი საბუთები ფორმდება საერთო წესით.

9. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი უცხოეთის ფირმების წარმომადგენლებს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ნებართვით

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლება აქვთ უცხოეთში მიავლინონ თავიანთი თანამშრომლები, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი არიან. ამისათვის საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს უნდა წარედგინოს ყველა აუცილებელი საბუთი, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ან რწმუნებული ორგანიზაციის მიერ გაცემული დოკუმენტის პირი აღნიშნული წარმომადგენლობის საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრაციის შესახებ.

10. საზღვარგარეთის პასპორტების და სხვა სამგზავრო დოკუმენტების გაფორმების ხარჯები, აგრეთვე სახელმწიფო ბაჟი და უცხოეთის წარმომადგენლობათა გადასახადი იფარება იმ ორგანიზაციის მიერ, რომელიც თავის თანამშრომელს გზავნის უცხოეთში.

11. საზღვარგარეთის პასპორტებისა და უცხოეთში გამგზავრებისათვის აუცილებელი სხვა დოკუმენტების გაფორმებისათვის საკონსულო გადასახადის წესსა და თანხის ოდენობას ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

12. საელჩოებში საბუთების მიღების ვადები დადგენილია თვით საელჩოების მიერ (თან ერთვის).

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში საბუთების გაფორმებისათვის დაწესებული ვადა არის ერთი კვირა.

საელჩოების მიერ დაწესებული ვადის დარღვევის შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო გააფორმებს საბუთებს ვიზების მიღების გარანტიის გარეშე.

13. სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით საზღვარგარეთ სანაოსნოდ იმ სამინისტროთა, უწყებათა და ორგანიზაციათა მუშაკებს, რომლებსაც არა აქვს საზღვარგარეთ სანაოსნო გემები, საბუთებს გაუფორმებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ის სამინისტრო (უწყება, ორგანიზაცია), რომლის გემზეც ნავარაუდევია მუშაკის წასვლა საზღვარგარეთულ რეისში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 10 აგვისტოს № 817
დადგენილებით

დროებითი დებულების დანართი

საელჩოების მიერ

სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით საზღვარგარეთ გამგზავრებისათვის საბუთების მიღების დაწესებული ვადები

ქვეყანა	დღეები
ავსტრალია	— 21
ავსტრია	— 10
ავღანეთი	— 5
ალჟირი	— 15
ანგოლა	— 14
არაბეთის გაერთიანებული ემირატები	— 15
არგენტინა	— 25
აშშ	— 21
ახალი ზელანდია	— 21
ბანგლადეში	— 30
ბელგია	— 21
ბენინი	— 10
ბოლივია	— 10
ბრაზილია	— 40
ბურკინა-ფასო	— 10
გაიანა	— 10
განა	— 14
გაბონი	— 10
გვინეა	— 14
გვინეა-ბისაუ	— 10
გფრ	— 10
დანია	— 21
დიდი ბრიტანეთი	— 20
ეგვიპტე	— 30
ეთიოპია	— 10
ეკვატორი	— 30
ეკვატორიალური გვინეა	— 7
ერაყი	— 10
ესპანეთი	— 15
ვენესუელა	— 50

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყანა	დღეები
ზაირი	— 10
ზამბია	— 50
ზიმბაბვე	— 50
თურქეთი	— 21
იამაიკა	— 120
იაპონია	— 30
ინდოეთი	— 50
ინდონეზია	— 50
იორდანია	— 7
ირანი	— 21
ირლანდია	— 30
ისლანდია	— 10
იტალია	— 21
იემენი	— 10
კაბო-ვერდე	— 11
კამერუნი	— 15
კამბოჯა	— 10
კანადა	— 20
კატარი	— 30
კენია	— 20
კვიპროსი	— 12
კოლუმბია	— 50
კონგო	— 15
კოსტა-რიკა	— 30
კოტ დ ივუარი	— 10
კუვეიტი	— 10
ლაოსი	— 10
ლიბერია	— 21
ლივანი	— 25
ლიკია	— 10
ლუქსემბურგი	— 21
მავრიტანია	— 30
მადაგასკარი	— 10
მალაიზია	— 30
მალი	— 7
მალტა	— 21
მაროკო	— 5
მექსიკა	— 30
მიანმა	— 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყანა	დღეები
მოზამბიკი	— 10
ნეპალი	— 21
ნიგერი	— 7
ნიგერია	— 50
ნიდერლანდები	— 21
ნიკარაგუა	— 10
ნორვეგია	— 10
პაკისტანი	— 21
პერუ	— 40
პორტუგალია	— 30
რუანდა	— 7
საფრანგეთი	— 21
სენეგალი	— 15
სინგაპური	— 35
სირია	— 15
სომალი	— 15
სუდანი	— 21
სიერა-ლეონე	— 10
ტაილანდი	— 30
ტოგი	— 7
ტუნისი	— 15
უგანდა	— 14
ურუგვაი	— 10
ფილიპინები	— 30
ფინეთი	— 7
ჩადი	— 7
შვედეთი	— 14
შვეიცარია	— 7
შრი-ლანკა	— 50

შესაძლებელია იყოს ცვლილებები.

177 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის № 107 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა აღნიშნავს, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის № 107 დადგენილების შესაბამისად დაიწყო სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის ბინების (საცხოვრებელი სახლების) მოქალაქეთა საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა. განვლილ პერიოდში პრივატიზებულია 32,6 ათასი ბინა, ანუ მათი საერთო რაოდენობის (458 ათასი ბინა) 7,1 პროცენტი. საბინაო ფონდის პრივატიზაციის მასშტაბი ყოველდღიურად იზრდება. ამასთან ერთად ცალკეულ რეგიონებში ეს პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობს (აფხაზეთი, აჭარა, ზუგდიდი, ხონი და სხვ), ხოლო ზოგან ბინების პრივატიზაცია საერთოდ არ დაწყებულა (გარდაბანი, ახალგორი). ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, საბინაო ფონდის მქონე საწარმოები და ორგანიზაციები საკმარის ახსნა-განმარტებით მუშაობას არ ეწევიან მოსახლეობაში საბინაო ფონდის პრივატიზაციის სოციალური მნიშვნელობის აქტუალურ საკითხებზე, ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროები ზოგიერთ შემთხვევაში არ ატარებენ რეგისტრაციაში მოქალაქეთა საკუთრებაში ბინების გადაცემის სანოტარო წესით გაფორმებულ ხელშეკრულებებს ბინების პასპორტების წინასწარი შედგენის გარეშე (მარნეული, დუშეთი).

მიუხედავად განსახორციელებელი ღონისძიებებისა, პრივატიზაციის დაჩქარებას აფერხებს მოქალაქეთა საკუთრებაში ბინების გადაცემის გაფორმების გართულებული პროცესი. მოქალაქეთა ოჯახების წევრთა თანხმობისა და ბინების გადაცემის ხელშეკრულებების სანოტარო წესით დადასტურება განცხადებების დიდი ნაკადის გამო თვეობით ჭიანურდება (თბილისი, გორი, გურჯაანი) საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციები და სახელმწიფო სანოტარო კანტორები არ არიან უზრუნველყოფილი საწერი ქაღალდით, საჭირო ბლანკებითა და ხელშეკრულებათა ფორმებით, რაც მოქალაქეებს აკარგვინებს დიდ დროს და იწვევს სამართლიან უკმაყოფილებას.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის ბინების (საცხოვრებელი სახლების) მოქალაქეთა საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის გაფორმების დაჩქარების, აგრეთვე მოსახლეობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის მქონე საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა:

— დასახონ და განახორციელონ ორგანიზაციული ღონისძიებანი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის № 107 დადგენილების შესასრულებლად, რისთვისაც:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაშალონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში საბინაო ფონდის პრივატიზაციის სახელმწიფოებრივი და სოციალური მნიშვნელობის საკითხებზე, სისტემატურად გააშუქონ ისინი პრესაში და რადიო-ტელევიზიით;

— საჭირო დახმარება აღმოუჩინონ საბინაო-კომუნალური მეურნეობის ორგანიზაციებს საბინაო ფონდის პრივატიზაციის დაჩქარების უზრუნველსაყოფად, მოამარაგონ ისინი ქაღალდით, საჭირო ბლანკებით, ხელშეკრულების ფორმებით და სხვ. ამასთან, პერიოდულად შეამოწმონ მათი საქმიანობა ამ მიმართებით და შეუქმნან მოსახლეობას მომსახურების ხელსაყრელი პირობები;

— ყოველი თვის დასაწყისში წერილობით აცნობონ რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სახელმწიფო გაერთიანებას საბინაო ფონდის პრივატიზაციის მიმდინარეობის შედეგები.

2. ბინების (საცხოვრებელი სახლების) პრივატიზაციის გაფორმების დაჩქარების მიზნით წინადადება მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს რესპუბლიკის რიგ დასახლებულ პუნქტებში — ქალაქებში თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში და საჭიროების მიხედვით სხვა ადგილებში მოქმედ თითოეულ საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციაში (სახლთმმართველობა, კანტორა, უბანი) აღნიშნული პროცესის დამთავრებამდე შექმნას სახელმწიფო სანოტარო სამსახური.

3. ქალაქებისა და რაიონების საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციები, საბინაო ფონდის მქონე საწარმოები და დაწესებულებები, აგრეთვე სახელმწიფო სანოტარო კანტორები ოპერატიულად და დროულად მოემსახურონ მოსახლეობას, გასცენ მათთვის საჭირო ცნობები და ბინების უსასყიდლოდ გადაცემის გაფორმებული ხელშეკრულებანი, ხოლო ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროებმა დადგენილ ვადებში გაატარონ რეგისტრაციაში უფლებადამადასტურებელი დოკუმენტები სათანადო სარეგისტრაციო წარწერით (რეესტრის ნომრისა და თარიღის ჩვენებით), მიუხედავად იმისა, ჩატარებულია თუ არა საბინაო ფონდის ინვენტარიზაცია-პასპორტიზაცია.

4. ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა, საბინაო ფონდის მქონე საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, აგრეთვე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებმა მიმდინარე წლის დამლევამდე უზრუნველყონ ტექნიკური ინვენტარიზაციის ორგანიზაციების მეშვეობით მათ ბალანსზე რიცხული არაინვენტარიზებული საცხოვრებელი სახლების ტექნიკური პასპორტიზაცია.

5. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს პრივატიზებულ საცხოვრებელ სახლებზე საბინაო წიგნების დამზადება-გაცემა და საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციებთან და ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროებთან ერთად მოქალაქეთა ჩაწერა-ამოწერის საკითხების გადაწყვეტა.

6. ქალაქებისა და რაიონების ტექნიკური ინვენტარიზაციის ორგანიზაციებმა მოსახლეობის მოთხოვნით და ხარჯებით შეადგინონ და გასცენ პრივატიზებული ბინების ტექნიკური პასპორტები.

7. საქართველოს რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სახელმწიფო გაერთიანებამ პერიოდულად შეისწავლოს რესპუბლიკაში საბინაო ფონდის პრივატიზაციის მიმდინარეობა და ინფორმაცია ნახევარწლიური და წლიური შედეგების მიხედვით წარმოუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, ამასთან, აღმოუჩინოს ადგილობრივ მმართველობით ორგანოებს სათანადო მეთოდური და პრაქტიკული დახმარება.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი **კ. გელაშვილი**

ქ. თბილისი, 1992 წ. 11 აგვისტო, № 824

178 საქართველოს რესპუბლიკაში პრივატიზებული საბინაო ფონდის ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ჩატარების ორგანიზაციისა და დანახარჯების დაფარვის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ადგენს:

1. „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის № 107 დადგენილების შესაბამისად დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სახელმწიფო გაერთიანების მიერ შემუშავებული რესპუბლიკაში პრივატიზებული საბინაო ფონდის ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ჩატარების ორგანიზაციისა და დანახარჯების დაფარვის დროებითი დებულება.

2. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, რესპუბლიკის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმო-დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა, რომლებსაც თავიანთ ბალანსზე გააჩნიათ საბინაო ფონდი:

— მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 1 თებერვლის № 107 დადგენილებით და ამ დადგენილებით დამტკიცებული დროებითი დებულებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მოქალაქეებისათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის ბინების (საცხოვრებელი სახლების) უსასყიდლოდ გადაცემას, ამასთან, გასწიონ ფართო ახსნა-განმარტებითი და საგიტაციო მუშაობა ამ დადგენილების შესრულების უზრუნველსაყოფად.

3. უფლება მიეცეთ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, საწარმო-დაწესებულებებს და ორგანიზაციებს ამ დადგენილების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დებულების დამტკიცების შემდეგ საკუთრების უფლებით მიჰყიდონ მოქალაქეებს სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე ახლად აშენებული და საექსპლუატაციოდ გადაცემული საცხოვრებელი სახლების ბინების ნაწილი, აგრეთვე გამოთავისუფლებული ბინები, მათ შორის აუქციონის წესით.

უსასყიდლოდ ბინები მიეცემათ მხოლოდ სოციალურად დაუცველ პირებს, აგრეთვე იმ მოქალაქეებს, რომელთა საბინაო პირობების გაუმჯობესების საკითხი უკვე გადაწყვეტილი აქვთ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, საწარმო-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

4. საქართველოს რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის გაერთიანებამ დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას დასამტკიცებლად წარმოუდგინოს მოქალაქეთა ბინის მიღების აღრიცხვაზე აყვანისა და საცხოვრებელი ფართობის განაწილების დებულება.

5. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტმა უახლოეს დროში უზრუნველყოს მისი გაშუქება სათანადო სპეციალისტების მონაწილეობით.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი **კ. გელაშვილი**

ქ. თბილისი, 1992 წ. 11 აგვისტო, № 825

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 11 აგვისტოს № 825
დადგენილებით

დროებითი დებულება

საქართველოს რესპუბლიკაში პრივატიზებული საბინაო ფონდის ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ჩატარების ორგანიზაციისა და გაწეული დანახარჯების დაფარვის შესახებ

1. ეს დებულება შემუშავებულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის № 107 დადგენილების შესაბამისად და ძირითადად განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკაში პრივატიზებულ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის ბინების (საცხოვრებელი სახლების) მოქალაქეთათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის, მათი მოვლა-შენახვის და რემონტის ღირებულების ანაზღაურების წესებს.

2. საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, საწარმო-დაწესებულებები და ორგანიზაციები ვალდებული არიან მათ ბალანსზე რიცხული საბინაო ფონდიდან საკუთრების უფლებით უსასყიდლოდ გადასცენ მოქალაქეებს სურვილისამებრ მათ მიერ დაკავებული ბინები (საცხოვრებელი სახლები) საერთო და საცხოვრებელი ფართობის ოდენობის მიუხედავად, მათ შორის: ავარიული და სარეკონსტრუქციო, სადაც მოქალაქენი თავიანთ ხარჯზე შეასრულებენ ავარიულობის სალიკვიდაციო ან სარეკონსტრუქციო სამუშაოებს.

პრივატიზებას ექვემდებარება აგრეთვე კეთილმოუწყობელი ბინები, რომლებსაც გააჩნიათ საერთო სარგებლობის დამხმარე სათავსები (სამზარეულო, სანიტარიული კვანძები, დერეფანი, აივანი და სხვ.) მათი საერთო სარგებლობაში დატოვების პირობით.

3. მოქალაქეს მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლი (ბინა) საკუთრებაში გადაეცემა მხოლოდ ოჯახში ყველა ერთად მცხოვრებ სრულწლოვან წევრთა თანხმობით.

4. მოქალაქეები, რომლებმაც საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1989 წლის 21 ივნისის № 311 და 1990 წლის 25 იანვრის № 35 დადგენილებების საფუძველზე საკუთრების უფლებით შეისყიდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის ბინები (საცხოვრებელი სახლები) და არ დაუფარავთ მათი მთლიანი ღირებულება, თავისუფლდებიან დავალიანების დაფარვისაგან და დაკავებული ბინები (საცხოვრებელი სახლები) გადაეცემათ საკუთრებაში.

5. სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის საცხოვრებელ სახლებზე (ბინებზე) მოქალაქეების მიერ თავიანთ ხარჯზე მიშენებული (დაშენებული) საცხოვრებელი ოთახები და დამხმარე სათავსები გადაეცემათ მათ საკუთრებაში ბინების (საცხოვრებელი სახლების) საკუთრებაში გადაცემასთან ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქეებს საკუთრებაში გადაეცემათ აგრეთვე მათ მიერ სამეურნეო დანიშნულებით მათზე განკუთვნილი სარდაფები, სხვენები, ფარდულები, ტერასები, შემოქმედებითი სახელოსნოები.

6. მოქალაქეებს, რომლებსაც გადაეცათ საკუთრების უფლებით სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის ბინები (საცხოვრებელი სახლები), შეუძლიათ თავიანთი შეხედულებით გამოიყენონ ისინი: გაყიდონ, გასცენ იჯარით, გააქირაონ, გააჩუქონ, ანდერძით გადასცენ ან მოახდინონ სხვა გარიგებანი, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კანონს. მათ შორის უფლება აქვთ საკუთრების უფლებით მიღებული ბინა, საცხოვრებელი სახლი ან მათი ნაწილი გაცვალონ სახელმწიფო და საზოგადოებრივ, აგრეთვე კოოპერაციულ საბინაო ფონდის ბინაზე, საცხოვრებელ სახლზე ან მის ნაწილზე, აგრეთვე სხვა მესაკუთრის ბინაზე, საცხოვრებელ სახლზე ან მის ნაწილზე.

7. სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის პრივატიზებულ საცხოვრებელ სახლებში მცხოვრები მოქალაქენი (მესაკუთრეები) ითვლებიან ამ სახლების საინჟინრო მოწყობილობების და საერთო სარგებლობის ადგილების თანამესაკუთრეებად, დაკავებული ფართობის პროპორციულად.

8. ბინა, რომელიც დამქირავებლის უფლებით დაკავებული აქვს რამდენიმე მოქალაქეს, შეიძლება გადაეცეთ მათ საკუთრებაში ყველა დამქირავებლის თანხმობით.

9. სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის ბინები, საცხოვრებელი სახლები უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცემათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც მათი დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან.

10. მოქალაქეები, რომლებსაც სურთ საკუთრების უფლებით მიიღონ უსასყიდლოდ მათ მიერ დაკავებული ბინები, საცხოვრებელი სახლები, განცხადებით მიმართავენ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციებს (საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურებს), საწარმო-დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომელთა ბალანსზეც ირიცხება ან გამგებლობაში იმყოფება საბინაო ფონდი.

11. პრივატიზაციას არ ექვემდებარება:

— სამსახურებრივი დანიშნულების ბინა;

— ბინა საერთო საცხოვრებელში;

— დროებითი და ბარაკის ტიპის საცხოვრებელი სახლები (ბინები) და რონდები მათში ცხოვრების ხანგრძლივობის მიუხედავად.

12. საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციების მიერ იჯარით გაცემული (გაქირავებული) ცალკე მდგომი შენობები ან საცხოვრებელ სახლებში განთავსებული არასაცხოვრებელი ფართობი რჩება ამ ორგანიზაციების გამგებლობაში და რომლებიც მათი გაქირავებით მიღებულ თანხას წარმართავენ პრივატიზებული სახლების ძირითადი კონსტრუქციების სარემონტო სამუშაოებზე და საექსპლუატაციო ხარჯების დასაფარავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. პრივატიზებული საცხოვრებელი სახლების ავარიულ მდგომარეობაში არსებული ძირითადი კონსტრუქციების (სახურავები, საძირკვლები, მზიდი კედლები, სართულშუა გადახურვები, საერთო სარგებლობის შიდასაინჟინრო კომუნიკაციები, ფასადი და სხვ.) შერჩევით კაპიტალურ რემონტს საცხოვრებელი ფონდის საბაზრო ფორმირების გარდამავალ პერიოდში ეწევიან კუთვნილებისამებრ ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციები (საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურები) სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი დოტაციის, ხოლო საწარმო-დაწესებულებები და ორგანიზაციები — საკუთარი შემოსავლების ხარჯზე.

14. ხელშეკრულება საცხოვრებელი სახლის, ბინის უსასყიდლოდ მოქალაქის საკუთრებაში გადაცემის შესახებ იდება კუთვნილებისამებრ, ადგილობრივი მმართველობის ორგანოს სახელით საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციასა და მოქალაქეს შორის; საწარმო-დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაციასა და მოქალაქეს შორის.

ადგილობრივი მმართველობის ორგანო, საწარმო-დაწესებულება და ორგანიზაცია ბრძანებით (განკარგულებით, გადაწყვეტილებით, დადგენილებით) აძლევს სათანადო რწმუნებას თავიანთ წარმომადგენლებს მოახდინონ ამ ხელშეკრულებათა გაფორმება.

15. ბინის, საცხოვრებელი სახლის მოქალაქისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულება უნდა დადასტურდეს სანოტარო წესით და რეგისტრაციაში გატარდეს ადგილობრივი მმართველობის ორგანოში სამი თვის ვადაში სანოტარო წესით დადასტურების დღიდან, რისთვისაც მოქალაქემ დადასტურებული ხელშეკრულების სამი ეგზემპლარი უნდა წარუდგინოს ადგილობრივი ტექნიკური ინვენტარიზაციის ორგანიზაციას, რომელიც ვალდებულია ხუთი დღის ვადაში შეიტანოს სათანადო ცვლილებანი საინვენტარიზაციო მასალებში (დოკუმენტაციაში) და რეგისტრირებული ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი დაუბრუნოს მოქალაქეს, აქედან ერთ ეგზემპლარს მოქალაქე აბარებს შესაბამის საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციას.

ბინის, საცხოვრებელი სახლის, მოქალაქისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულება დადებულად ითვლება მისი რეგისტრაციის დღიდან.

ბინის ან საცხოვრებელი სახლის პრივატიზებისათვის გასაცემი დოკუმენტების მომზადებისათვის მოქალაქე უხდის: საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციას 25 მანეთს, ხოლო მისი რეგისტრაციაში გატარებისა და საინვენტარიზაციო მასალებში ასახვისათვის — ტექნიკური ინვენტარიზაციის ორგანიზაციას — 23 მანეთს.

16. ბინის, საცხოვრებელი სახლის უსასყიდლოდ საკუთრებაში მიღებისათვის მოქალაქემ წინასწარ უნდა გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი დაკავებული ფართობის ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურების (წყალსადენ-კანალიზაცია, ცენტრალური გათბობა, ცხელი წყალი, ელექტროენერგია და გაზი) გადასახადთა ორი წლის ოდენობით, ამასთან, მასზე არ უნდა ირიცხებოდეს გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა
სული პერიოდის ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურების გადასახადების დავალიანება.

17. სახელმწიფო ბაჟის გადასახადისაგან თავისუფლდებიან 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის, 1991-1992 წლების პერიოდში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების დროს დაღუპულ პირთა ოჯახები, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები, ამ ომში დაღუპულ პირთა ოჯახის წევრები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები.

18. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი (მათ შორის კოოპერატივი „ბინმშენის"), რომელმაც მთლიანად გადაიხადა დაკავებული ბინის (სახლის) მთლიანი ღირებულება, იძენს ბინაზე (საცხოვრებელ სახლზე) საკუთრების უფლებას; იდება ხელშეკრულება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრსა (მეპაიეს) და გამგეობას შორის, რაც დასტურდება სანოტარო წესით, რისთვისაც მოქალაქე იხდის სახელმწიფო ბაჟს დაკავებულ ბინაზე 50 მანეთის ოდენობით. ბაჟის გადასახადისაგან თავისუფლდებიან ამ დებულების მე-17 პუნქტში ჩამოთვლილი პირები.

აღნიშნული ვრცელდება იმ მართლურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიქმნა როგორც 1992 წლის 1 თებერვლის შემდეგ, ისე მანამდე (თუ 1992 წლის 1 თებერვლამდე მოქმედი საბინაო კანონმდებლობის შესაბამისად სხვა გადაწყვეტილება კოოპერატიული ბინის განაწილების შესახებ მიღებული არ ყოფილა).

19. ბინის (საცხოვრებელი სახლის) მოქალაქის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებული დავა განიხილება სასამართლო წესით.

20. საბინაო მეურნეობის საბაზრო ფორმირების გარდამავალ პერიოდში პრივატიზებული ბინების მესაკუთრეები საცხოვრებელი სახლების ტექნიკური მომსახურებისა და კომუნალური მომსახურების გადასახადებს ფარავენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის დამქირავებლებისათვის დაწესებული მოქმედი ტარიფებით, განაკვეთებით და პირობების დაცვით.

21. მესაკუთრეს ევალება საჭიროების მიხედვით თავის ხარჯზე ჩაატაროს ბინის შიდა რემონტი, აგრეთვე შიდასაინჟინრო კომუნიკაციების და მოწყობილობების მიმდინარე და საავარიო სარემონტო სამუშაოები, შეცვალოს ახლით ბინაში დადგმული და მწყობრიდან გამოსული საოჯახო გაზქურა (ელექტროქურა), წყალგამაცხელებელი და სხვ.

22. საცხოვრებელი სახლების კიბის უჯრედისა და სახლმფლობელობის ტერიტორიის განათებაზე, აგრეთვე ლიფტების ექსპლუატაციაზე დახარჯული ელექტროენერგიის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს საცხოვრებელი ფართობისათვის დაწესებულ ტარიფებს.

23. პრივატიზებულ საბინაო ფონდში მცხოვრებ მოქალაქეებს უნარჩუნდებათ კომუნალური მომსახურების გადასახადების დაფარვის საშეღავათო პირობები, თუ ისინი პრივატიზებამდე სარგებლობდნენ ამ უფლებებით.

24. კომუნალური მომსახურების გადასახადებისაგან 50 პროცენტის ოდენობით თავისუფლდებიან 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის, 1991-1992 წლების პერიოდში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების დროს დაღუპულ პირთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახები, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები, ამ ომში დაღუპულ პირთა ოჯახის წევრები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები.

25. მოქალაქეებზე გავრცელებული კომუნალური მომსახურების გადასახადების დაფარვის საშეღავათო პირობების კომპენსაცია ხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

26. პრივატიზებული საცხოვრებელი სახლების გარეთა საინჟინრო კომუნიკაციები რჩება შესაბამისი კომუნალური საწარმოების ბალანსზე, რომლებიც იწევიან მათ ტექნიკურ მომსახურებას და რემონტს თავიანთი შემოსავლების ხარჯზე.

27. პრივატიზებული საცხოვრებელი სახლების ბინების შიდასაინჟინრო კომუნიკაციების (წყალსადენ-კანალიზაციის, ცენტრალური გათბობის, ცენტრალიზებული ცხელი წყალმომარაგების, ელექტროქსელები და მოწყობილობები) ტექნიკური მომსახურების ხარჯებს შესაბამისი კომუნალური საწარმოები უნაზღაურებენ საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციებს იმ განაკვეთების მიხედვით, რომლებიც დამტკიცებული იყო ყოფილი საქართველოს რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ და ყოველწლიურად განისაზღვრება იგი საქართველოს რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სახელმწიფო გაერთიანების მიერ.

სახლის შიგა გაზის მოწყობილობების ტექნიკურ-პროფილაქტიკურ და სავარიო მომსახურებას ეწევიან გაზმიმწოდებელი ორგანიზაციები თავიანთი შემოსავლების ხარჯზე.

28. პრივატიზებული საცხოვრებელი სახლების ბინების ტექნიკურ მომსახურებას, როგორც წესი, ეწევიან ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციები (საბინაო კომუნალური მეურნეობის სამსახურები) მესაკუთრეებთან ან მესაკუთრეების მიერ შექმნილ საბინაო ამხანაგობებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე (დანართი №№ 1 და 2).

შენიშვნა: საბინაო ამხანაგობის შექმნა და მისი უფლებამოვალეობანი ასახულია ტიპობრივ წესდებაში (დანართი № 3).

29. პრივატიზებული საცხოვრებელი სახლების (ბინების) მესაკუთრეებს უფლება აქვთ თვითონ შეარჩიონ ის ორგანიზაცია, რომელიც ტექნიკურ მომსახურებას გაუწევს მათ სახლს — სახელმწიფო საბინაო-საექსპლუატაციო და სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების, კერძო ფირმების, კოოპერატივების და სხვა მეურნეობრივი სუბიექტების ჩათვლით.

30. პრივატიზებული საბინაო ფონდის ტექნიკურ მომსახურებაზე დასაქმებული საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციები თავისუფლდებიან არამწარმოებლური ხარჯებისაგან (საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსახლეობაში კულტ-მასობრივი, აღმზრდელობითი, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის ორგანიზაცია და მასთან დაკავშირებით ამ სფეროს პერსონალის შენახვა, ადმინისტრაციული და სხვა დანიშნულების შენობების ტექნიკური და კომუნალური მომსახურება და სხვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

31. სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქალაქებში, ქალაქის ტიპის დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან ან რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით პრივატიზებული საცხოვრებელი სახლების (ბინების) აღების დროს მოქალაქეებს და მათი ოჯახის წევრებს მიეცემათ ბინები არსებული ნორმების ფარგლებში სურვილისამებრ საკუთრების ან დამქირავებლის უფლებით, ასაღები შენობების (ბინების) ღირებულების აუნაზღაურებლად.

32. საქართველოს რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სახელმწიფო გაერთიანება ვალდებულია:

— ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციებს გაუწიოს მეთოდური ხელმძღვანელობა, კონსულტაციები და პრაქტიკული დახმარება საბინაო ფონდის (პრივატიზებული და არაპრივატიზებული) ტექნიკური მომსახურების, ექსპლუატაციისა და რემონტის წარმოების ორგანიზაციის, აგრეთვე მათი ღირებულების გაანგარიშების საკითხები და სხვ.;

— გეგმაზომიერად ჩაატაროს სახელმწიფო და საზოგადოებრივი, აგრეთვე კოოპერატიული საბინაო ფონდის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა, ავარიულობის სალიკვიდაციო გადაუდებელ სარემონტო სამუშაოთა მოცულობის დადგენით;

— შეიმუშაონ და აამოქმედონ ადგილებზე საბინაო ფონდის ტექნიკური მომსახურების, ექსპლუატაციისა და რემონტის წარმოების ორგანიზაციის ერთიანი მართვის სტრუქტურა ამჟამად მოქმედი საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციების რეორგანიზაციისა და მართვის ძირეული რგოლების უფლებამოვალეობათა გაფართოების გათვალისწინებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 11 აგვისტოს № 825
დადგენილებით
(დანართი № 1)

სანიმუშო ხელშეკრულება

პრივატიზებული ბინის ტექნიკური მომსახურებისა და სარემონტო სამუშაოების ჩატარებაზე

_____ „____“ _____ 199 წელი

ქალაქი, დაბა, სოფელი

ეს ხელშეკრულება დავდეთ _____

საბინაო-საექსპლუატაციო

_____

ორგანიზაციის დასახელება

_____

თანამდებობა

_____

სახელი, მამის სახელი, გვარი

შემდგომში „შემსრულებელმა“ და ბინის მესაკუთრემ, შემდგომში „მესაკუთრემ“ _____

სახელი, მამის სახელი, გვარი

გავაფორმეთ ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. „მესაკუთრე“ აბარებს, ხოლო „შემსრულებელი“ ღებულობს ტექნიკური მომსახურებისა და სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად _____ ოთახიან ბინას

_____

იზოლირებულს, არაიზოლირებულს, კეთილმოწყობილს, კეთილმოუწყობელს
(გაესვას ხაზი)

ბინის საერთო ფართობი შეადგენს _____ კვ. მეტრს
საცხოვრებელი _____ კვ. მეტრს
მისამართი _____

_____

ქუჩა, მიკრორაიონი, კვარტალი, კორპუსი, სახლის ნომერი,

_____

სადარბაზო, სართული, ბინის ნომერი

ბინაში ცხოვრობს მუდმივი ჩაწერით _____ სული
ბინაში განთავსებულია:

საცხოვრებელი ოთახები:

№ 1 _____ კვ. მეტრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2 ———————————— კვ. მეტრი
№ 3 ———————————— კვ. მეტრი
№ 4 ———————————— კვ. მეტრი
№ 5 ———————————— კვ. მეტრი

———————————————

———————————————

სამზარეულო ———————— კვ. მეტრი, რომელსაც აქვს ————
ქურატიანი ———————— ქურა, ————
(გაზის, ელექტრო) ნიჟარა, სარეცხელა და ა. შ.
სააბაზანო ———————— კვ. მეტრი, რომელსაც აქვს ————

———————————————

სანკვანძი ———————— კვ. მეტრი, რომელსაც აქვს ————

———————————————

დერეფნები ———————— კვ. მეტრი
შემინული ვერანდა ———————— კვ. მეტრი
შეუმინავი ვერანდა ———————— კვ. მეტრი
ზემინული ლოჯია ———————— კვ. მეტრი, ————
შეუმინავი ლოჯია ———————— კვ. მეტრი ————
აივანი ———————— კვ. მეტრი, ————
ანტრესოლი ———————— კვ. მეტრი
საკუჭნაო ———————— კვ. მეტრი

———————————————

———————————————

———————————————

სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული:
სხვენი ———————— კვ. მეტრი
სარდაფი ———————— კვ. მეტრი
ფარდული ———————— კვ. მეტრი

———————————————

———————————————

შემოქმედებითი სახელოსნო ———————— კვ. მეტრი
ბინას აქვს: ელექტროგანათება, ცენტრალური გათბობა, ღუმელი, წყალსადენ
კანალიზაცია, ნაგავგამტარი, ცხელი წყალმომარაგება და ა. შ.

———————————————
(გაესვას ხაზი)

ბინაში არის: ტელეფონი № ————
რადიოსატრანსლაციო ქსელი,
სატელევიზიო ქსელი

———————————————

———————————————

(გაესვას ხაზი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. „შემსრულებელი“ ღებულობს ვალდებულებას:

2.1. უზრუნველყოს ბინის ტექნიკური და კომუნალური მომსახურება ბინათ ფონდის ტექნიკური ექსპლუატაციის წესებისა და ნორმების დაცვით, სამუშაოთა იმ ნუსხის მიხედვით, რომელთა ღირებულებას იხდის „მესაკუთრე“. სახელდობრ:

— ბინის საშმენებლო კონსტრუქციების და საინჟინრო მოწყობილობის პროფილაქტიკური, ტექნიკური დათვალიერებები სათანადო გეგმიურ-გამაფრთხილებელი რემონტის ჩატარებით; გაზის მოწყობილობების გარდა, რომელსაც თავის ხარჯზე ასრულებს გაზმომწოდებელი ორგანიზაცია;

— სახლის და მისი საინჟინრო მოწყობილობების მიმდინარე რემონტი, ზამთრის გათბობის სეზონისათვის მომზადება;

—კიბის უჯრედისა და სახლმფლობელობის ტერიტორიის ელექტროგანათება;

— საოჯახო ნაგვის გატანა;

— სავენტილაციო საკვამლე არხების გაწმენდა-რემონტი;

— დერატიზაცია;

— ნაგავგამტარისა და ნაგავბუნკერის დეზინფექცია;

— საბინაო დავთრის წარმოება, მოთხოვნილების მიხედვით „შემკვეთის“ ოჯახის წევრების ჩაწერა-ამოწერა, სხვადასხვა სახის ცნობის გაცემა ოჯახის შემადგენლობასა და დაკავებულ ფართობზე, უმუშევრობაზე და სხვ.;

— ლიფტების ექსპლუატაცია და რემონტი

_____

_____

_____

_____

შენიშვნა: საბინაო მეურნეობის საბაზრო ფორმირების გარდამავალ პერიოდში პრივატიზებული ბინების მესაკუთრეები საცხოვრებელი სახლების ტექნიკური მომსახურებისა და კომუნალური მომსახურების გადასახადების დაფარვას ახდენენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის დამქირავებლებისათვის დაწესებული მოქმედი ტარიფებით, განაკვეთებით და პირობების დაცვით.

2.2. თავის ხარჯზე საჭიროების მიხედვით პერიოდულად შეასრულოს სახლის ძირითადი კონსტრუქციების და საინჟინრო მოწყობილობების კაპიტალური რემონტი.

2.3. „მესაკუთრის“ შეკვეთით და მის ხარჯზე შეასრულოს ბინის შიდა რემონტი და საინჟინრო მოწყობილობების მიმდინარე და საავარიო სარემონტო სამუშაოები.

2.4. „მესაკუთრეს“ აუნაზღაუროს თავისი მიზეზით ბინაში გამოწვეული ზარალი.

2.5. _____

„შემსრულებლის“ სხვა ვალდებულებები

_____

_____

_____

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. „მესაკუთრე“ ვალდებულია:

3.1. განუხრელად დაიცვას ბინის სარგებლობის, საცხოვრებელი სახლისა და სახლმფლობელობის ტერიტორიის მოვლა-პატრონობის წესები.

3.2. დროულად აუნაზღაუროს „შემსრულებელს“ საცხოვრებელი სახლის და ბინის ტექნიკური მომსახურებისა და სარემონტო სამუშაოების ღირებულება, აგრეთვე კომუნალური მომსახურების საფასური (წყალსადენ-კანალიზაცია, ცენტრალური გათბობა, ცენტრალიზებული წყალმომარაგება, ელექტროენერგია, გაზი) თანახმად „მესაკუთრისათვის“ მიცემული და შევსებული ანგარიშსწორების წიგნაკისა.

3.3. თავის ხარჯზე შეასრულოს ბინის მიმდინარე რემონტი, სანტექნიკური მოწყობილობების მიმდინარე და საავარიო სამუშაოები, რისთვისაც დროულად წარუდგინოს განაცხადი (წერილობით ან სიტყვიერი) „შემსრულებელს“, გამოცვალოს მწყობრიდან გამოსული საოჯახო გაზქურა (ელექტროქურა), წყალგამაცხელებელი და სხვა საინჟინრო მოწყობილობები (ონკანი, წყალშემრევი, პირსაბანი და სარეცხი ნიჟარა, უნიტაზი, აბაზანა და სხვ.).

3.4. დაასუფთაოს მის წილზე მოსული კიბის უჯრედი და მონაწილეობა მიიღოს სხვა მობინადრეებთან ერთად სახლმფლობელობის ტერიტორიის დასუფთავებაში.

---

4. გადასახადების არადროული დაფარვისათვის, ყოველი გადაცილებული დღისათვის „მესაკუთრეს“ ერიცხება 0,1 პროცენტი საურავი.

5. „შემსრულებლის“ მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის „მესაკუთრეს“ უფლება აქვს შეასრულოს ისინი „შემსრულებლის“ ხარჯზე ან მოსთხოვოს მას მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

6. ეს ხელშეკრულება შედგა ორ ეგზემპლარად: ერთი ინახება „მესაკუთრესთან“, მეორე — „შემსრულებელთან“.

7. ხელშეკრულება დადებულია 19 წლის „ “ ——— და ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან.

ბ. ა. ——————— ———————

„შემსრულებელი“
ხელის მოწერა

„მესაკუთრე“
ხელის მოწერა

ДАМТКИЦЕБУЛИА
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 11 აგვისტოს № 825
დადგენილებით
(დანართი № 2)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანიმუშო ხელშეკრულება

პრივატიზებული საცხოვრებელი სახლის ტექნიკურ მომსახურებასა და სარემონტო სამუშაოების ჩატარებაზე

_____ „ “ _____ 19 წ.

ქალაქი, დაბა, სოფელი

ეს ხელშეკრულება დავდეთ _____

საბინაო-საექსპლუატაციო

_____

ორგანიზაციის დასახელება

_____

თანამდებობა

_____ სახით

გვარი, სახელი, მამის სახელი

შემდგომში „შემსრულებელმა“ და საბინაო ამხანაგობამ მისი თავმჯდომარის _____ სახით

გვარი, სახელი, მამის სახელი

1. „დამკვეთი“ აბარებს, ხოლო „შემსრულებელი“ იბარებს ტექნიკური მომსახურების და სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად საცხოვრებელ სახლს მდებარე _____

მისამართი

_____

სახლი არის _____ სართულიანი, _____ სექციიანი, შედგება _____ ბინისაგან, საერთო ფართობით _____ კვ. მეტრი
საცხოვრებელი _____ კვ. მეტრი, მათ შორის:
ერთოთახიანი _____ ბინა
ოროთახიანი _____ ბინა
სამოთახიანი _____ ბინა
ოთხოთახიანი _____ ბინა
ხუთოთახიანი _____ ბინა

2. „შემსრულებელი“ ვალდებულებას ღებულობს:

2.1. უზრუნველყოს „შემკვეთის“ საცხოვრებელი სახლის ტექნიკური და კომუნალური მომსახურება, აგრეთვე სარემონტო სამუშაოების შესრულება საბინაო ფონდის ტექნიკური ექსპლუატაციის წესებისა და ნორმების დაცვით, სახელდობრ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სახლის სამშენებლო კონსტრუქციების და საინჟინრო მოწყობილობების პროფილაქტიკური, ტექნიკური დათვალიერებები (გაზის მოწყობილობების გარდა, რომელსაც თავის ხარჯზე და ძალებით ასრულებს გაზმომწოდებელი ორგანიზაცია გეგმიურ-გამაფრთხილებელი მიმდინარე რემონტის ჩატარებით).

— სახლის და მისი საინჟინრო მოწყობილობების რემონტი, ზამთრის გათბობის სეზონისათვის მომზადება;

—კიბის უჯრედისა და სახლმფლობელობის ტერიტორიის ელექტროგანათება;

— საოჯახო ნაგვის გატანა;

— სავენტილაციო და საკვამლე არხების გაწმენდა (რემონტი);

— დერატიზაცია;

— ნაგავგამტარისა და ნაგავბუნკერის დეზინფექცია;

— ლიფტების ექსპლუატაცია და რემონტი;

— საბინაო დავთრის წარმოება, მოთხოვნილების მიხედვით სახლში მცხოვრებ ოჯახთა წევრების ჩაწერა-ამოწერა, სხვადასხვა სახის ცნობის გაცემა.

_____

_____

_____

_____

2.2. თავის ხარჯზე საჭიროების მიხედვით შეასრულოს სახლის ავარიულ მდგომარეობაში არსებული ძირითადი კონსტრუქციების და საინჟინრო მოწყობილობების შერჩევითი კაპიტალური რემონტი.

2.3. მობინადრეთა შეკვეთით და მათ ხარჯზე შეასრულოს ბინების შიდა რემონტი და საინჟინრო მოწყობილობების მიმდინარე და საავარიო სამუშაოები.

2.4. „შემკვეთს“ აუნაზღაუროს „შემსრულებლის“ მიზეზით გამოწვეული ზარალი.

2.5. _____

„შემსრულებლის“ სხვა ვალდებულებები

_____

_____

_____

3. „შემკვეთი“ ვალდებულია:

3.1. განუხრელად დაიცვას საცხოვრებელი სახლის და სახლმფლობელობის ტერიტორიის სარგებლობისა და მოვლა-პატრონობის წესები.

3.2. დროულად აუნაზღაუროს „შემსრულებელს“ საცხოვრებელი სახლის ტექნიკური და კომუნალური მომსახურებისა და სარემონტო სამუშაოების ღირებულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3.3. მობინადრეთა (მესაკუთრეთა) ხარჯზე შეასრულოს ბინების მიმდინარე რემონტი, სანტექნიკური მოწყობილობების მიმდინარე და საავარიო სარემონტო სამუშაოები, რისთვისაც დროულად წარუდგინოს განაცხადი (წერილობით ან სიტყვიერი) „შემსრულებელს“, გამოცვალოს მწყობრიდან გამოსული საოჯახო გაზქურები (ელექტროქურები), წყალგამაცხელებლები და სხვა საინჟინრო მოწყობილობები.

3.4. მობინადრეთა (მესაკუთრეთა) ხარჯზე დაასუფთაოს კიბის უჯრედი და სახლმფლობელობის ტერიტორია. ამასთან, ამ ტერიტორიაზე ჩაატაროს გამწვანების სამუშაოები, მოაწყოს ბავშვთა სათამაშო და სპორტული მოედნები და სხვ. დააყენოს საფარბაზოს კარის ავტომატური გამღები და სალაპარაკო კავშირის აპარატურა.

3.5. _____

შემკვეთის სხვა ვალდებულებები

_____

_____

_____

4. „შემსრულებლის“ მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის „შემკვეთს“ უფლება აქვს შეასრულოს ისინი „შემსრულებლის“ ხარჯზე ან მოსთხოვოს მას მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

5. ეს ხელშეკრულება შედგება ორ ეგზემპლარად: ერთი ინახება „შემკვეთთან“, მეორე — „შემსრულებელთან“.

6. ხელშეკრულება დადებულია 19 წლის „ “ _____ დან და ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან.

ბ. ა. _____ ბ. ა. _____

„შემსრულებელი“
ხელის მოწერა

„შემკვეთი“
ხელის მოწერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 11 აგვისტოს № 825
დადგენილებით
(დანართი № 3)

საბინაო ამხანაგობის სანიმუშო

წესდება

1. პრივატიზებული საცხოვრებელი სახლის (სახლების), ბინების მესაკუთრეებს შეუძლიათ შექმნან საბინაო ამხანაგობა.

საბინაო ამხანაგობა შეიძლება შეიქმნას იმ შემთხვევაშიც, როდესაც საცხოვრებელ სახლში პრივატიზებულია მასში განთავსებული ბინების რაოდენობის ნახევარზე მეტი.

2. მესაკუთრეთა საერთო კრება ირჩევს საბინაო ამხანაგობის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს, ბუღალტერს, მოლარე-მოანგარიშეს და სხვა წევრებს, აგრეთვე სარევიზიო კომისიას სამი კაცის შემადგენლობით.

3. საბინაო ამხანაგობა თავის საქმიანობას წარმართავს მის მიერ შედგენილი და დამტკიცებული წესდების შესაბამისად, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს მისი წევრების უფლება-მოვალეობანი, სახლმფლობელობის მოვლა-პატრონობის, ექსპლუატაციისა და სარემონტო სამუშაოების დროულად ჩატარების პირობები და მისი ღირებულების ანაზღაურების წესები.

4. მესაკუთრეთა საერთო კრება უფლებამოსილია საბინაო ამხანაგობის წარდგინებით გადაწყვიტოს შემდეგი საკითხები:

ა) საცხოვრებელი სახლის რემონტის, ექსპლუატაციის და ზამთრის გათბობის სეზონისათვის მზადების ხარჯთაღრიცხვის, აგრეთვე წლიური სამეურნეო-საფინანსო გეგმების დამტკიცების შესახებ;

ბ) მესაკუთრეთა მონაწილეობა სარემონტო-საექსპლუატაციო ხარჯებში, მათ მიერ დაკავებული ფართობისა და ოჯახის წევრთა რაოდენობის პროპორციულად.

5. საბინაო ამხანაგობა იწვევს მესაკუთრეთა საერთო კრებას წელიწადში ორჯერ.

6. გადაწყვეტილებას ღებულობს საერთო კრება დამსწრე მესაკუთრეთა ხმების უმრავლესობით, ხოლო შესატანი თანხის, საცხოვრებელი სახლის სარემონტო-საექსპლუატაციო ხარჯების ოდენობის საკითხების გადაწყვეტა მიიღება ხმების ორი მესამედით.

7. საბინაო ამხანაგობის მოვალეობაში შედის:

ა) გეგმების, ხარჯთაღრიცხვებისა და ანგარიშების შედგენა-დამტკიცება;

ბ) მესაკუთრეთა სახელით მოიჯარე ორგანიზაციის შერჩევა, რომელიც საცხოვრებელ სახლს გაუწევს ტექნიკურ მომსახურებას და რემონტს; მასთან ხელშეკრულების გაფორმება;

გ) გეგმით და ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებული ხარჯების დაფარვაში მესაკუთრეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) მუშა-მოსამსახურეთა დაქირავება შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურებით;

ე) მესაკუთრეთა მიერ ბინების ტექნიკური და კომუნალური მომსახურების გადასახადების დროული გადახდის უზრუნველყოფა;

საბინაო ამხანაგობას შეუძლია იყოს შემკვეთი კომუნალური მომსახურების საკითხებში (წყალსადენ-კანალიზაცია, გათბობა, ელექტროგანათება, გაზი და სხვ.) და ამისათვის გააფორმოს ხელშეკრულებები შესაბამის კომუნალურ საწარმოებთან.

ვ) კიბის უჯრედის, საერთო სარგებლობის ადგილების, ეზოს და სახლმფლობელობის ტერიტორიის სანიტარიული დასუფთავების, გამწვანების, მათ შორის მესაკუთრეთა შრომითი მონაწილეობით უზრუნველყოფა.

8. საბინაო ამხანაგობა ხდება იურიდიული პირი მისი წესდების ადგილობრივი მმართველობის ორგანოში რეგისტრაციაში გატარების დროიდან, სარგებლობს ბეჭდით, რომელზეც აღნიშნული იქნება მისი სახელწოდება.

9. საბინაო ამხანაგობა პასუხს აგებს თავის ვალდებულებებზე ყველა მისი კუთვნილი ქონებით.

10. საბინაო ამხანაგობას შეუძლია მოაწყოს მესაკუთრეთა და მათი ოჯახის წევრთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება (სამრეცხაოები, ბიბლიოთეკები, ბაგები, და სხვ), მოაწყოს საბავშვო სათამაშო და სპორტული მოედნები, ავრეთვე დასასვენებელი ადგილები, შექმნას ჯგუფები წრეობრივი მუშაობისათვის, ჩაატაროს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები სათანადო ცოდნის და გამოცდილების პედაგოგების და მწვრთნელების მოწვევით.

11. საბინაო ამხანაგობა თავის საქმიანობას წარმართავს იმ ადგილობრივი მმართველობის ორგანოს მეთვალყურეობით და კონტროლით, რომელმაც რეგისტრაციაში გაატარა მისი წესდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

179 საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამის შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მოთხოვნების შესაბამისად რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. მოწონებულ იქნეს და წარედგინოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დასამტკიცებლად საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამა დანართის თანახმად.

2. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტს.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი **კ. გელაშვილი**

ქ. თბილისი, 1992 წ. 11 აგვისტო, № 829

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწონებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 11 აგვისტოს № 829
დადგენილებით

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამა

I. შესავალი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამის საფუძვლები (შემდგომში, „პროგრამა“) შედგენილია „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 9 აგვისტოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით და განსაზღვრავს პრივატიზაციის მიზნებს, ამოცანებს, აგრეთვე შეღავათებსა და შეზღუდვებს, დარგობრივ და ტერიტორიულ პრიორიტეტებს ამ სფეროში.

სახელმწიფო საკუთრების გარდაქმნის წესსა და პროცედურას განსაზღვრავენ დებულებები სახელმწიფო საკუთრების აუქციონზე და საკონკურსო გაყიდვის და აქციონირების შესახებ. პროგრამა შეიცავს ერთიან მიდგომებს ობიექტების ღირებულების შეფასებისა და პრივატიზაციის ფორმებისადმი.

სახელმწფო საწარმოთა პრივატიზაციის ძირითადი მიზნებია:

1. სახელმწიფო საკუთრების გარდაქმნა საკუთრების სხვა ფორმებად, მოქალაქეთა მიერ სახელმწიფო საწარმოთა ქონების (ფასიანი ქაღალდების) შეძენა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური სისტემის შეცვლა.

2. ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაცია.

3. მეურნეობის ყველა ძირითად დარგში სახელმწიფო მონოპოლიის ლიკვიდაცია, საკუთრების მრავალფეროვნების, მათ შორის უპირატესად კერძო საკუთრების დამკვიდრება, კონკურენციული გარემოს შექმნა, კერძო მეწარმეთა ფენის ჩამოყალიბება, საბაზრო მეურნეობაზე რეალური გადასვლა.

4. მცირე ბიზნესის განვითარება და მთლიანად ეკონომიკის რეანიმაცია, ნისი გამოყვანა გაჭიანურებული კრიზისიდან, პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის ამაღლება, სამომხმარებლო ბაზრის გაუმჯობესება.

5. ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება.

6. არარენტაბელური საწარმოების დიდი ნაწილის პრივატიზაციით სახელმწიფო ბიუჯეტის გათავისუფლება მათი დოტაციისაგან;

7. საკუთრების მრავალფეროვნების დამკვიდრებით მატერიალური წარმოებისა და მომსახურების სფეროში რეალური მეურნეების აღმოცენება და მაღალმწარმოებლური შრომისადმი მოტივაციის შექმნა.

8. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების განთავისუფლება მათთვის არათვისებრივი ფუნქციისაგან — მეურნეობრიობისაგან.

9. უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

პრივატიზაციით უნდა განხორციელდეს არაეფექტიანად ფუნქციონირებადი სახელმწიფო საკუთრების გარდაქმნა ეფექტიანად მოქმედ კერძო საკუთრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბად, ძირითადად გაყიდვით. მას შედეგად უნდა მოჰყვეს წარმოებისა და მიმოქცევის სფეროში სახელმწიფო სექტორის შეცვლა კერძო მეწარმეობით იმ ზომით, რა ზომითაც ეს უკანასკნელი რეალურად დაამტკიცებს თავის უპირატესობებს სახელმწიფო სექტორთან შედარებით. ამასთან ერთად, უნდა მოხდეს თვით სახელმწიფო სექტორის გადაყვანა კომერციულ საწყისებზე.

პრივატიზაციის პროცესში დღეს არსებული ლეგალური და არალეგალური კაპიტალი ჩაერთვება სამეურნეო საქმიანობაში ძირითადად საკონკურსო წესით და აუქციონებზე სახელმწიფო საწარმოების და ობიექტების გაყიდვით.

პრივატიზაციის სოციალურ ბაზას გააფართოებს სახელმწიფო ქონების ღირებულების მნიშვნელოვანი ნაწილის უფასოდ გადაცემა მოსახლეობაზე საპრივატიზაციო ბარათების სახით, რაც, იმავე დროს, მოსახლეობის ყველაზე ნაკლებუზრუნველყოფილი ფენების სოციალური დაცვისა და საპრივატიზაციო ბარათებზე აქციების შეძენით გარკვეულწილად ბიზნესში მათი ჩართვის საშუალება იქნება.

საწარმოთა აქციონირება და აქციების გაყიდვა ღია ბაზარზე ხელს შეუწყობს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირებას.

პრივატიზაცია ეტაპობრივად განხორციელდება.

პრივატიზაციის პირველ ეტაპზე (1992 წლის მეორე ნახევარი — 1993 წლის პირველი ნახევარი) ძირითადად განხორციელდება ე. წ. მცირე პრივატიზაცია: ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების და კომუნალური მეურნეობის, მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის სხვა დარგების წვრილ საწარმოთა, აგრეთვე დაბალრენტაბელური და ზარალიანი საწარმოების პრივატიზაცია, რამაც მძლავრი ბიძგი უნდა მისცეს მცირე ბიზნესს და გამოაცოცხლოს ეკონომიკა. ამავე ეტაპზე მცირე პრივატიზაციის პარალელურად მოხდება მსხვილი საწარმოების ღია ტიპის სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნა. ყოველივე ამით მომდევნო პერიოდში შეიქმნება რეალური წინამძღვრები და ორგანიზაციული სტრუქტურები სრულმასშტაბიანი პრივატიზაციისათვის.

პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამა განსაზღვრავს სახელმწიფო მმართველობის ორგანოების როლსა და ურთიერთმოქმედებას ამ პროცესში. აქედან გამომდინარე, პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, დეპარტამენტების, კომიტეტების აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ადგილობრივი და სახელმწიფო მმართველობის სხვა ორგანოებისათვის, ყველა ტიპის სახელმწიფო საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულებებისათვის, აგრეთვე იმ პირთათვის, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებს სახელმწიფო ქონების მონაწილეობით შექმნილ სამეურნეო ორგანიზაციებში.

ქვეყანაში პრივატიზაციის ერთიან პოლიტიკას წარმართავს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტი, რომელიც მასზე დაკისრებულ ამოცანებს ახორციელებს აფხაზეთისა და აჭარის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ქონების მართვის, შესაბამისი ორგანოების, ტერიტორიული სამმართველოებისა და განყოფილებების მეშვეობით. იგი ამზადებს სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამას რესპუბლიკის სამინისტროებთან, კომიტეტებთან, დეპარტამენტებთან, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო მმართველობის ორგანოებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მჭიდრო ურთიერთქმედებით.

საჭიროების მიხედვით საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტი წარმოუდგენს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამაში შესატან ცვლილებებს და დამატებებს.

პროგრამის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტი პერიოდულად წარმოუდგენს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხას. ეს პროგრამა არ არეგულირებს მიწისა და საბინაო ფონდის პრივატიზაციას.

II. სახელმწიფო საწარმოები და ობიექტები, რომელთა პრივატიზაცია ამჟამად არ არის გათვალისწინებული

პრივატიზაციის განხორციელების მოცემულ ეტაპზე არ არის გათვალისწინებული შემდეგი ობიექტების და საწარმოების პრივატიზაცია:

— წიაღისეული, წყლის რესურსები, ტყის ფონდი, საჰაერო სივრცე, ტერიტორიული წყლები და საქართველოს რესპუბლიკის საზღვაო ეკონომიკური და სასაზღვრო ზონები;

— დაცული ან განსაკუთრებული წესით გამოსაყენებელი ბუნებრივი ტერიტორიები;

— ისტორიულ-კულტურული და მხატვრული ფასეულობის ობიექტები (მათ შორის ისტორიული და კულტურის სახელმწიფო არქივები და მათი ფილიალები რესპუბლიკის ტერიტორიაზე, სახელმწიფო კინო-ფოტო და ფონოდოკუმენტების სახელმწიფო ფონდი), სახელმწიფო მუზეუმები;

— საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხაზინა, რესპუბლიკის ბიუჯეტის სახსრები, სავალუტო რეზერვები, სოციალური უზრუნველყოფის და სამედიცინო დაზღვევის ფონდი, სახელმწიფო ბიუჯეტგარეშე ფონდები, ეროვნული ბანკი, ოქროს მარაგი;

— გეოლოგიური, კარტოგრაფიულ-გეოდეზიური, ჰიდრომეტეოროლოგიური, გარემოს დაცვის და ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის მაკონტროლებელი სამსახურების საწარმოები და დაწესებულებები;

— ჯანმრთელობის დაცვის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური, ვეტერინარულ, მცენარეთა დაცვის სამსახურებისა და სატყეო მეურნეობის საწარმოები და დაწესებულებანი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საპატენტო სამსახურების, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სამსახურების საწარმოები, მანქანათსაცდელი სადგურები და საგამოცდო ცენტრები;

— ელექტროენერგეტიკის მსხვილი საწარმოები და ობიექტები (10 მეგამეტზე მეტი სიმძლავრის).

— მილსადენი ტრანსპორტის საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტი, მეტროპოლიტენი, საქართველოს რკინიგზა და მათი სარემონტო საწარმოები;

— სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საძიებო დაწესებულებები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს რესპუბლიკის მენციერებისა და ტექნიკის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, სხვა დარგობრივი სამინისტროების სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებანი, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების არქივები და ფონდები;

— სავაჭრო ობიექტები, რომლებიც ემსახურებიან საბიუჯეტო ორგანიზაციებს (საავადმყოფოები, ბაგა-ბაღები), სასკოლო კვების კომბინატები;

— სტრატეგიული დანიშნულების კავშირგაბმულობის საწარმოები და ობიექტები, სატელევიზიო და რადიოგადაცემის ცენტრები;

— საერთო სარგებლობის საავტომობილო გზები;

— საიუველირო ნაკეთობათა საწარმოები, საწარმოები, რომლებიც მოიპოვებენ და გადაამუშავებენ ძვირფას ლითონებს, ძვირფას და ნახევრად ძვირფას ქვებს, ნარკოტიკებისა და შხამიანი ნივთიერებების დამამზადებელი, აგრეთვე ნარკოტიკული და შხამიანი ნივთიერებების შემცველი კულტურების თესვის, მოყვანისა და გადამმუშავებელი საწარმოები;

— სასწავლო და სამაშველო სამსახურის ფლოტები, სანაოსნო ინსპექცია;

— სამობილიზაციო მარაგი;

— საინჟინრო ინფრასტრუქტურის (ელექტრო-თბო და გაზმომარაგების, წყალ-საკანალიზაციო მეურნეობის, ქალაქების გარე განათებისა და ქალაქების გარე კეთილმოწყობის) ობიექტები, აგრეთვე საწარმოები, რომლებიც ახორციელებენ ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტების ექსპლუატაციას, მომსახურებას, მოვლა-პატრონობას და შეკეთებას;

— პანთეონები, სასაფლაოები;

— საწარმოები, რომლებიც ამზადებენ რადიოაქტიურ და სამხედრო დანიშნულების მასალებს, მათი საცდელ-საკონსტრუქტორო და სამეცნიერო დაწესებულებები;

— საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო ბიუროსა და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საშტატო და სარეზერვო ქონება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სანაშენე-საჯიშე, მეთესლეობის, სანერგე, საკარანტინე, ჯიშთგამოცდის მეურნეობები (ნაკვეთები);

— გაზმომარაგების, გაზიფიკაციის, გაზის მეურნეობის საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც ქმნიან საქართველოს რესპუბლიკის გაზმომარაგების ერთიან სისტემას;

— სპეციალიზებული ელევატორები, მაცივრები, სასაწყობო მეურნეობები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო რეზერვს და სამობილიზაციო მარაგს;

— მოსახლეობის სოციალური დაცვის ობიექტები.

III. 1992-1993 წლებში საპრივატიზაციო ობიექტები და საწარმოები, მათი პრივატიზაციის წესები და შეღავათები

1992-1993 წლებში სავალდებულო წესით განხორციელდება იმ საწარმოთა და ობიექტების პრივატიზაცია, რომლებიც ყველაზე მეტ ზეგავლენას მოახდენენ ეკონომიკის საბაზრო სტრუქტურების ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაზე, აგრეთვე იმ საწარმოებისა და ობიექტებისა, რომელთა არაეფექტიანი მოქმედება ხელს უშლის ეკონომიკის გამოყვანას კრიზისიდან და ბაზრის ჩამოყალიბებას.

ასეთ ობიექტებს და საწარმოებს მიეკუთვნება:

საბითუმო და საცალო ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების და საყოფაცხოვრებო მომსახურების, მშენებლობისა და საშენი მასალების მრეწველობის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების და სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავებელი კვებისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოები და ობიექტები.

სავალდებულო პრივატიზაციას დაექვემდებარება ზარალიანი საწარმოების უმრავლესობა ეკონომიკის ყველა ძირითად დარგში, დაკონსერვებული და დაუმთავრებელი მშენებლობის ობიექტები, რომელთა მშენებლობის ნორმატიული ვადები გასულია და სხვ.

1992-1993 წლებში გათვალისწინებულია სახელმწიფო საწარმოთა ქონების პრივატიზაციის შემდეგი ფორმების გამოყენება:

— საწარმოთა გაყიდვა აუქციონზე;

— საწარმოთა საკონკურსო გაყიდვა;

— ღია სააქციო საზოგადოების აქციების გაყიდვა;

— საჯარო ქონების გამოსყიდვა.

ცალკეულ საწარმოთა ქონების პრივატიზაციის ინიციატორები შეიძლება იყვნენ:

— საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტი ან მისი ტერიტორიული ორგანო;

—საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროები, უწყებები, საწარმოთა შრომითი კოლექტივები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკური და არასახელმწიფოებრივი იურიდიული პირები, რომლებიც ეწევიან კერძო მეწარმეობას;

— უცხოელი ინვესტორები;

აუქციონებზე, როგორც წესი, შეიძლება გაიყიდოს მცირე საწარმოები.

დიდი საწარმოები, როგორც წესი, პრივატიზაციას ექვემდებარებიან მათი ღია ტიპის სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის გზით. საწარმოთა დანარჩენი კატეგორია შეიძლება დაექვემდებაროს პრივატიზაციის ნებისმიერ ფორმას.

პრივატიზაციის ფორმას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტი და მისი ტერიტორიული ორგანო საწარმოს საპრივატიზაციო კომისიის დასკვნის, „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ“ კანონის ამ პროგრამის, სხვა ნორმატიული აქტების და საპრივატიზაციო საწარმოს მუშაკთა აზრის გათვალისწინებით.

აქციები წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და გაიყიდება ღია ბაზარზე.

უცხოელ ინვესტორთა მონაწილეობა აქციების შეძენაში რეგულირდება სპეციალური დებულების საფუძველზე.

სახელმწიფო საწარმოთა ღია ტიპის სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის პროცესში, საწარმოს პრივატიზაციის შესახებ კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული შეღავათები განხორციელდება შემდეგი წესით:

1. საპრივატიზაციო საწარმოს ყველა მუშაკს უსასყიდლოდ ერთდროულად გადაეცემა საწესდებო კაპიტალის 20 პროცენტამდე ოდენობის სახელობითი პრივილეგირებული (ხმის უფლების გარეშე) აქციები, მაგრამ საერთო ჯამში არაუმეტეს საქართველოს რესპუბლიკაში მინიმალური ხელფასის ათმაგი ოდენობისა საშუალოდ ერთ მუშაკზე გაანგარიშებით.

2. საწესდებო კაპიტალის 10 პროცენტამდე ოდენობის ჩვეულებრივი აქციები, მაგრამ საერთო ჯამში არაუმეტეს საქართველოს რესპუბლიკაში მინიმალური ხელფასის ხუთმაგი ოდენობისა საშუალოდ ერთ მუშაკზე გაანგარიშებით, იყიდება ხელმოწერით საწარმოს მუშაკებზე ნომინალური ღირებულების 20 პროცენტის ფასდაკლებით და ორი წლის განვადებით, ამასთან აქციის გამოსასყიდი პირველადი გადასახადი არ უნდა იყოს აქციის ნომინალური ღირებულების 20 პროცენტზე ნაკლები.

3. საპრივატიზაციო საწარმოს მუშაკებს ჩვეულებრივი აქციების შეძენისათვის შეუძლიათ გამოიყენონ საწარმოს ეკონომიური სტიმულირების ფონდში დარჩენილი სახსრები.

4. თუ კონკურსის ან აუქციონის მეშვეობით სახელმწიფო საწარმო შეიძინა მისი მუშაკების მიერ ჩამოყალიბებულმა ამხანაგობამ, მაშინ მასზე ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული შეღავათები.

5. შეღავათებით გადასაცემი აქციების განაწილების წესს განსაზღვრავს საწარმოს მუშაკთა საერთო კრება (კონფერენცია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. აქციების შეღავათიანი მიყიდვა საწარმოს მუშაკთათვის, რომელიც განსაზღვრულია ამ პროგრამით, ხორციელდება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტი.

თუ ხელმოწერის ჯამი აღემატება ზემოაღნიშნულ ოდენობას, საწარმოს საპრივატიზაციო კომისია ამცირებს ყველა მუშაკის წილს ერთნაირი პროპორციით, რათა დაცულ იქნეს აღნიშნული შეზღუდვები.

7. აღნიშნული შეღავათები ვრცელდება იმ მუშაკებზე, რომლებისთვისაც საწარმო წარმოადგენს ძირითად სამუშაო ადგილს; იმ პირებზე, რომელთაც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით უფლება აქვთ დაბრუნდნენ ამ საწარმოში; პენსიონერებზე, რომლებიც გავიდნენ პენსიაზე საწარმოდან და იმ პირებზე, რომლებიც 1992 წლის 1 იანვრიდან მოხვდნენ შემცირებაში და რეგისტრირებული არიან როგორც უმუშევრები.

საწარმოთა საკონკურსო გაყიდვები ხორციელდება დახურული აუქციონის პრინციპით იმ შემთხვევებში, როცა საპრივატიზაციო ობიექტების შემძენთ მოეთხოვებათ გარკვეული პირობების შესრულება (ობიექტის პროფილის სამუშაო ადგილების, საქონლისა და მომსახურების მოცულობის შენარჩუნება, ინვესტიციების გაწევა და სხვ.).

კომერციულ კონკურსზე ობიექტის მესაკუთრე ხდება ის მყიდველი, რომელიც გადაიხდის მაქსიმალურ ფასს.

საპრივატიზაციო საწარმოს მუშაკთა ინტერესების დაცვის მიზნით, საწარმოს პრივატიზაციის შესახებ განაცხადის წარდგენის შემდეგ (განაცხადის ინიციატორის მიუხედავად) და მყიდველის მიერ საკუთრების უფლების შეძენამდე აქციონერთა პირველი კრების ჩატარებამდე) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმების გარეშე აკრძალება:

— საწარმოს რეორგანიზაცია, მისი სტრუქტურების ლიკვიდაცია და შეცვლა;

— საპრივატიზაციო საწარმოს მიერ დაკავებული შენობების, ნაგებობების და სათავსების გამოყენებაზე ადრე დადებული საიჯარო ხელშეკრულებების ოქმედების შეცვლა და შეწყვეტა.

ამავე პერიოდში აგრეთვე იკრძალება საწარმოს საშტატო განრიგის ცვლილება და მუშაკთა რიცხოვნობის შემცირება საწარმოს (ქვედანაყოფის) მუშაკთა საერთო კრების ან მის მიერ უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების გარეშე.

IV. საპრივატიზაციო ბარათების გამოყენება 1992-1993 წლებში

1. მოსახლეობის სოციალური ინტერესების დაცვის მიზნით საქართველოს ყოველ მოქალაქეს საშუალება ექნება უსასყიდლოდ მიიღოს სახელმწიფო საკუთრების წილი, რისთვისაც 1993 წლის 1 იანვრიდან შემოღებული იქნება საპრივატიზაციო ბარათები (ცნობარები). საქართველოს მთავრობა საპრივატიზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციო ბარათების დარიგებამდე ერთი თვით ადრე განსაზღვრავს საპრივატიზაციო ბარათებზე გასაცემი საერთო თანხის მოცულობას და ერთ მოქალაქეზე გადასაცემი თანხის ოდენობას.

2. საპრივატიზაციო ბარათების მიმოქცევის მომსახურების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტი ეხმარება და ხელს უწყობს სპეციალური საფინანსო ინსტიტუტების (საინვესტიციო კომპანიების, ფონდების და სხვ.) ჩამოყალიბებას და უზრუნველყოფს ამაში სამეწარმეო სტრუქტურების ფართო მონაწილეობას.

3. მოქალაქეთა მიერ საპრივატიზაციო ბარათებით საპრივატიზაციო ქონების შეძენის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტი 1992 წლის 1 დეკემბრამდე უზრუნველყოფს მსხვილ საწარმოთა (1992 წლის 1 იანვრისათვის 20 მლნ. მანეთზე მეტი საბალანსო ღირებულებით ღია ტიპის სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნას. ამგვარ საწარმოთა ხელმძღვანელებს ევალებათ შეიმუშაონ სააქციო საზოგადოებების დასაფუძნებელი დოკუმენტების პროექტები და მათი პრივატიზაციის გეგმები „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ“ კანონის, ამ პროგრამის და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დამტკიცებული დებულებების მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული გეგმა, საწარმოს მუშაკებთან შეთანხმებული, ხელმძღვანელებმა უნდა წარმოადგინონ სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტში ორაუგვიანეს 1992 წლის 1 ნოემბრისა.

V. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტისა და მისი ორგანოების ურთიერთობა სახელმწიფო მმართველობის და სხვა ორგანოებთან პრივატიზაციის განხორციელების პროცესში

სახელმწიფო საკუთრების ობიექტთა გამყიდველად გამოდის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტი ან მისი ტერიტორიული ორგანო.

სახელმწიფო ვაჭრობის (გარდა რეგიონთაშორისი ობიექტების); საზოგადოებრივი კვების; მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების; საბინაო-კომუნალური მეურნეობის დარგების; ქვემდებარე ტერიტორიაზე განლაგებული იმ საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, რომელთა დანიშნულებაა ადგილობრივი მოსახლეობის საწარმოო საჭიროებისა და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სარემონტო-სამშენებლო, სპორტული, ტურისტული საწარმოების, რომელთა საბალანსო ღირებულება არ აღემატება ერთ მილიონ მანეთს (1982 წლის ფასებში) ან მომუშავეთა რაოდენობა 100 კაცამდეა, პრივატიზაციას, მიუხედავად დაქვემდებარებისა, ახდენს, როგორც წესი, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტის ტერიტორიული ორგანოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები შეიმუშავებენ რესპუბლიკური საკუთრების ობიექტთა პრივატიზაციის დარგობრივ საინვესტიციო პროგრამებს, რომლებსაც საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან კონსულტაციის შემდეგ წარადგენენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტში.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტის ტერიტორიული ორგანოები სამინისტროებთან და უწყებებთან კონსულტაციების საფუძველზე შეიმუშავებენ ქონების პრივატიზაციის ტერიტორიულ პროგრამებს, რომლებსაც წარადგენენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტში.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტი შეიმუშავებს საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო (მუნიციპალური) ქონების პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამას, რომელსაც ყოველწლიურად აზუსტებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო.

პრივატიზაციის ადგილობრივი პროგრამა მუშავდება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტის ადგილობრივი ორგანოს მიერ რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან კონსულტაციის საფუძველზე. კომიტეტთან შეთანხმების შემდეგ პროგრამას ამტკიცებს ადგილობრივი მმართველობის ორგანო, რის შემდეგაც იგი იქცევა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამის შემადგენელ ნაწილად.

პრივატიზაციის ტერიტორიული პროგრამა შემუშავებული და დამტკიცებული უნდა იქნეს არაუგვიანეს ერთი თვის განმავლობაში ამ პროგრამის დამტკიცებიდან.

პრივატიზაციის ადგილობრივი პროგრამა უნდა გამოქვეყნდეს ადგილობრივ პრესაში

პრივატიზაციის ადგილობრივი პროგრამა:

— არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ პროგრამის ძირითად დებულებებს;

— უნდა შეიცავდეს პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული კონკრეტული ობიექტების ნუსხას.

ადგილობრივი პროგრამები მუშავდება 1 წლის ვადით.

პროგრამის მიხედვით დასახული ამოცანების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ფორმები და ვადა განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ.

პრივატიზაციის ადგილობრივი პროგრამის შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტის შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს.

პრივატიზაციის ადგილობრივი პროგრამების შესრულების საერთო კონტროლი ეკისრება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

180 საქართველოს რკინიგზის მატერიალური პასუხიმგებლობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა აღნიშნავს, რომ 1991 წლის დეკემბრიდან რესპუბლიკაში შექმნილმა არასტაბილურმა მდგომარეობამ, რკინიგზის ხიდებისა და სხვა საინჟინრო ნაგებობათა აფეთქებებმა გამოიწვია მატარებელთა მოძრაობის შეფერხება (შეწყვეტა), დიდძალი ტვირთის დატაცება და მისი ადგილზე მიტანის ვადების დარღვევა.

იმასთან დაკავშირებით, რომ ზემოაღნიშნული შემთხვევები არ მომხდარა საქართველოს რკინიგზის მიზეზით, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ადგენს:

1. განთავისუფლდეს საქართველოს რკინიგზა რკინიგზის წესდების 153-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმებისაგან ტვირთის დაგვიანებით გადაზიდვისათვის.

2. განთავისუფლდეს საქართველოს რკინიგზა რკინიგზის წესდების 148-ე მუხლით გათვალისწინებული მატერიალური პასუხისმგებლობიდან და მატერიალური პასუხისმგებლობა დაეკისროს რეგიონს, სადაც მოხდა ტვირთის დატაცება.

3. დაევალოთ რეგიონების სამართალდამცველ ორგანოებს გააძლიერონ დამნაშავეთა ძებნა და მათ მიერ რეგიონისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

4. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საარბიტრაჟო და სახალხო სასამართლოებმა იხელმძღვანელონ ამ დადგენილებით.

5. დადგენილება ძალაშია 1992 წლის ბოლომდე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი **კ. გელაშვილი**

ქ. თბილისი, 1992 წ. 12 აგვისტო, № 832

181 საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის სისტემაში ახალი საბაჟო ორგანოების შექმნის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის (საქსახსაბაჟოს) და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის დელეგაციების 1992 წლის 29 ივლისის შეხვედრის ოქმის შესაბამისად შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის საზღვარზე საქსახსაბაჟოს სტრუქტურაში შემდეგი ახალი საბაჟო ორგანოები:

— ქუთაისის საბაჟო საბაჟო საგუშაგოებით — „სამტრედია“ (ქალაქი სამტრედია), „მამისონი“ (მამისონის უღელტეხილი);

— გორის საბაჟო საბაჟო საგუშაგოთი — „როკი“ (როკის უღელტეხილი);

— თბილისის საბაჟოს დაქვემდებარებაში საბაჟო საგუშაგო — „ყაზბეგი“ (ყაზბეგის რაიონი);

— გაგრის საბაჟო საბაჟო საგუშაგოთი — „განთიადი“ (გაგრის ზონა).

შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილებები საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 10 მარტის № 294 დადგენილების პირველ პუნქტში.

2. საქსახსაბაჟოსა და სომხეთის რესპუბლიკის საბაჟო სამმართველოს წარმომადგენლების მიერ 1992 წლის 4 აგვისტოს ხელმოწერილი საინიციატივო ოქმის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკისა და სომხეთის რესპუბლიკის საზღვარზე შეიქმნას საქსახსაბაჟოს სტრუქტურაში შემდეგი ახალი საბაჟო ორგანოები:

— ბოლნისის საბაჟო საბაჟო საგუშაგოებით — „ნინოწმინდა“ (ნინოწმინდის რაიონი), „გუგუთი“ (დმანისის რაიონი), „ახკერპი“ (მარნეულის რაიონი),

— თბილისის საბაჟოს დაქვემდებარებაში საბაჟო საგუშაგო — „სადახლო“ (მარნეულის რაიონი).

3. დაევალოს საქსახსაბაჟოს აწარმოოს მოლაპარაკება აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტთან, საქართველოს რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარზე საბაჟო-გამშვები პუნქტების შესაქმნელად.

აღნიშნული მოლაპარაკებების შედეგები ეცნობოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას მიმდინარე წლის 15 სექტემბრამდე.

4. ბათუმის საბაჟოს საბაჟო-საგუშაგო „სარფის“ განტვირთვისა და მუშაობის მოწესრიგების მიზნით, ბათუმის საბაჟოს დაქვემდებარებაში, სოფელ გონიოსთან, შეიქმნას დამხმარე საბაჟო-გამშვები პუნქტი — „ადლია“.

5. დამატებით გამოეყოს საქსახსაბაჟოს ახლადშექმნილი საბაჟო ორგანოებისა და საბაჟო დაცვის სამსახურის დასაკომპლექტებლად 630 საშტატო ერთეული, მათ შორის ცენტრალური აპარატისათვის 13 საშტატო ერთეული (შენობის დაცვისა და მომსახურე პერსონალის გარეშე) და განისაზღვროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქსახსაბაჟოს სისტემის მუშაკთა ზღვრული რიცხოვნობა — 1133 ერთეულით, მათ შორის ცენტრალური აპარატისა — 73 ერთეულით.

6. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს გამოუყოს სახელმწიფო-საბაჟო დეპარტამენტს შესაბამისი დაფინანსება ახლადშექმნილი სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის გასაძლიერებლად გამოყოფილი საშტატო ერთეულის შესანახად სათანადო გაანგარიშებების წარდგენის შემდეგ.

7. ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა, რომელთა ტერიტორიაზეც იქმნება საქსახსაბაჟოს ახალი ქვედანაყოფები, გამონახონ საშუალება და საბაჟო სამსახურების მოსაწყობად გადასცენ ბალანსიდან ბალანსზე უსასყიდლოდ სათანადო ტერიტორია, სასამსახურო ფართობი და სატრანსპორტო საშუალებანი.

8. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ, როგორც გამონაკლისი, 1992 წლის ბოლომდე, ახლად გახსნილი საბაჟოებიდან საქართველოს რესპუბლიკაში საბაჟო ანაკრებების სახით მიღებული მთელი შემოსავალი, რომელიც მოხმარდება საბაჟოს ორგანოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას დატოვოს საქსახსაბაჟოს განკარგულებაში.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი **კ. გელაშვილი**

ქ. თბილისი, 1992 წ. 13 აგვისტო, № 833

182 საქართველოს რესპუბლიკაში ლატარიებისა და სხვა მომგებიანი საპრიზო თამაშობების მოწყობის სრულყოფის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა აღნიშნავს, რომ დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარების პერიოდში გახშირდა ორგანიზაციების, დაწესებულებების, კოოპერატივების, ფირმების, ფონდების და სააქციო საზოგადოებების შრომითი კოლექტივების თხოვნა ლატარიებისა და სხვადასხვა მსგავსი მომგებიანი საპრიზო თამაშობების ჩატარების შესახებ. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებებით 1991-1992 წლებში ნება დაერთო სხვადასხვა ორგანიზაციას 18 ლატარიის, სპორტლოტოსა და ლატარია-სპრინტის ჩატარებაზე.

1991 წელს საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსავლები ჩატარებული ლატარიებიდან შეადგენს 7,4 მლნ. მანეთს, ნაცვლად 5,9 მლნ. მანეთისა.

1992 წელს ლატარიების ჩატარებიდან მიღებული მოგების საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტის კუთვნილი წილი საორიენტაციოდ შეადგენს 59,5 მლნ. მანეთს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ლატარიის ჩატარებაზე ნებართვის მიღების დღეისათვის მოქმედი წესი ძალზე გართულებულია მთავრობის დადგენილების — მომზადება-მიღებასთან დაკავშირებით.

აქედან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ზოგადი პირობები „საქართველოს რესპუბლიკაში ლატარიების, სპორტლოტოს, ლატარია-სპრინტისა და სხვა მსგავსი მომგებიანი საპრიზო თამაშობების ჩატარების შესახებ“.

2. დაწესდეს, რომ:

— ამ დადგენილების მიღების დღიდან, საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის მიზნით, რესპუბლიკაში ლატარიების, სპორტლოტოს, ლატარია-სპრინტისა და სხვა მსგავსი მომგებიანი საპრიზო თამაშების ჩატარება, მათ ჩატარებაზე ნებართვის გაცემა საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს პრეროგატივაა;

— ორგანიზაციები, დაწესებულებები, სააქციო საზოგადოებები, ფირმები, ფონდები და სხვა იურიდიული პირები ლატარიებისა და სხვა თამაშობების ჩატარების მსურველები, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს წარუდგენენ საჭირო დოკუმენტაციას თამაშის ჩატარების შესახებ, თანახმად თანდართული ზოგადი პირობებისა;

— უკანონოდ, ნებართვის გარეშე ჩატარებული ღონისძიებების შედეგად მიღებული შემოსავლები მთლიანად ამოიღება სახელმწიფო ბიუჯეტში, სათანადო საჯარიმო სანქციების გამოყენებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ზოგადი პირობების თანახმად, ლატარიის ჩატარების შედეგად მიღებული მოგების არანაკლებ 35 პროცენტი გადაირიცხება საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტში;

— საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სხვა რესპუბლიკებიდან შემოტანილი ლატარიისა და მომგებიანი საპრიზო თამაშობების ბილეთების რეალიზაცია ხორციელდება მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ნებართვით;

— საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ნებართვით გამოშვებული ლატარიების ან სხვა მომგებიანი საპრიზო თამაშობების ბილეთების რეალიზაცია სხვა სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელდება იმ სახელმწიფოს ხელისუფლებასთან (ფინანსთა სამინისტროსთან) შეთანხმებით, ვის ტერიტორიაზეც ხორციელდება ბილეთების რეალიზაცია;

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს:

— შეაჩეროს ან უარყოს ამა თუ იმ ლატარიის ჩატარება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტისა და მოსახლეობის სოციალური ინტერესებიდან გამომდინარე;

— საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის ინტერესებიდან გამომდინარე, დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშაოს და დაამტკიცოს ინსტრუქციული მასალები თამაშების ჩატარების წესების შესახებ;

— დააწესოს მკაცრი კონტროლი მიღებული გადაწყვეტილებებისა და ინსტრუქციების მოთხოვნების შესრულებაზე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 25 აგვისტო, № 348

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 25 აგვისტოს № 848
დადგენილებით

საქართველოს რესპუბლიკაში ლატარიებისა და სხვა მსგავსი მომგებიანი საპრიზო თამაშობების ჩატარების ზოგადი

პ ი რ ო ბ ე ბ ი

I. ლატარიის ან სხვა მსგავსი მომგებიანი საპრიზო თამაშების ჩატარება სათანადო ნებართვის აღების შემდეგ შეუძლიათ ყველა იურიდიულ პირს (კოოპერატივებისა და ინდივიდუალური პირების გარდა), რომელთა საწესდებო ფონდი ან საკუთარი ძირითადი ფონდები და საბრუნავი საშუალებების ღირებულება აღემატება ჩასატარებელი ლატარიის საერთო თანხის მოცულობას.

II. ნებართვის მიღებისათვის საჭირო მონაცემები:

1. ლატარიის ჩამტარებელი ორგანიზაციის დასახელება, ლატარიის გამოშვების მიზანი;

2. მოგებათა ტირაჟის ჩატარების თარიღი და ადგილი;

3. ლატარიის გამოშვების საერთო თანხა, მათ შორის მოგებათა განაღდებაზე მიმართული თანხა, მაგრამ ლატარიის გამოშვების თანხიდან არანაკლებ 50 პროცენტისა;

4. გამოშვებული ბილეთების რაოდენობა, მათი ნუმერაცია;

5. ერთი ბილეთის ღირებულება;

6. მოგებათა დასახელება, მათი რაოდენობა და ღირებულება;

7. ნივთების (არაფულად) მოგებათა მფლობელებისათვის მათი სურვილისამებრ ნაღდი ფულის გაცემის უფლების მიცემა;

8. ფულადი მოგებების რაოდენობა და თანხა;

9. მოგებათა მიღების წესი;

10. ლატარიის ჩატარების შედეგად მიღებული შემოსავლის განაწილება. ამასთან, გაითვალისწინება, რომ ლატარიის ჩატარების შედეგად მიღებული მოგების ნაწილი ექვემდებარება შესაბამისი ბიუჯეტის შემოსავალში გადარიცხვას.

11. მოგებული ლატარიის ბილეთების განაღდების ზღვრული ვადა, ლატარიის ჩატარების შესახებ ანგარიშგების წარდგენა საფინანსო და საგადასახადო ორგანოებში, რომელიც უნდა შეიცავდეს ამ პირობების პირველ, მესამე და მე-10 პუნქტებს.

12. ცნობა ჩამტარებელი ორგანიზაციის, დაწესებულების ან სხვა იურიდიული პირის საწესდებო ფონდის, ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი საშუალებების ღირებულების მონაცემების შესახებ.

III. 1. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხება ლატარიებისა და თამაშობების ჩატარების შედეგად მიღებული შემოსავლების (საპრიზო ფონდის, ბილეთების დამზადების, ტრანსპორტირების, რეალიზაციის, რეკლამის და საოპერაციო ხარჯების გამოკლებით) არანაკლებ 35 პროცენტისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ლატარიებისა და სხვა მსგავსი მომგებიანი საპრიზო თამაშებში გასათამაშებლად გათვალისწინებულ ნივთებზე ფასების გაზრდის ან შემცირების პირობებში ნივთები ან მათი ღირებულება ჩამტარებელი ორგანიზაციის მიერ გაიცემა მოქალაქეებზე გათამაშების პერიოდში მოქმედ ფასებში.

3. ლატარიის ბილეთების რეალიზაცია მოსახლეობაზე წარმოებს ნაღდ ფულზე ნებაყოფლობის პრინციპების აუცილებელი დაცვით. ამასთან, ლატარიის ბილეთების გამყიდველ პირებზე გაიცემა გასამრჯელო, მაგრამ გაყიდული ბილეთების თანხიდან არა უმეტეს 5 პროცენტისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

183 ავღანეთისა და სხვა ლოკალურ ომებში მონაწილეთა და მათი ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ

ავღანეთის რესპუბლიკაში, სხვა ქვეყნებში, აგრეთვე საქართველოში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა ოჯახების, ინვალიდებისა და ომებში მონაწილეთა ინტერესებიდან გამომდინარე, მათი სოციალური დაცვის უზრუნველსაყოფად, ამ კუთხით საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს, ავღანეთის ვეტერანთა კავშირისა და ომის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს პატრიოტული, ჰუმანური და საქველმოქმედო მოღვაწეობის გასაფართოებლად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსა და ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის წინადადება მოქალაქეთა და იმ მოძრაობათა გაერთიანების შესახებ, რომლებიც მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებებში როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ავღანეთის ვეტერანთა კავშირმა, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან ერთად ერთი თვის განმავლობაში შეიმუშაონ და წარმოუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას ამ ომებში დაღუპულთა ოჯახების, ომის ინვალიდთა და ომის მონაწილეთა სამედიცინო და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსების კონკრეტული წყაროების ჩვენებით.

2. მიღებულ იქნეს ავღანეთის ვეტერანთა კავშირის წინადადება და მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა შეღავათები გავრცელდეს სხვა ომებში მონაწილეთა, ინვალიდთა და დაღუპულთა ოჯახებზე.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ ერთი თვის განმავლობაში წარმოადგინოს შესაბამისი საკანონმდებლო აქტები სახელმწიფო საბჭოში წარსადგენად.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ:

ა) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით ავღანეთის ვეტერანთა კავშირს გადაეცა ქალაქ თბილისში გერგეთის გასასვლელის № 8-ში მდებარე ყოფილი სამხედრო კომისარიატის კუთვნილი შენობა, დასუფთავების ტრესტის ავტოფარეხის იზოლირებული ნაწილი და აგრეთვე დროებით სარგებლობაში თბილისის სამოქალაქო თავდაცვის ყოფილი მართვის პუნქტის ერთი გვირაბი.

ქალაქ თბილისის მერიამ, მთაწმინდის რაიონის გამგეობამ, როგორც გამონაკლისი, გადაწყვიტონ მთაწმინდის რაიონის სამხედრო განყოფილების განთავსებისა და აღნიშნული შენობების ავღანელთა კავშირისათვის მიყიდვის საკითხი.

ბ) საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა ყველა ზომა მიიღონ ავღანეთის ვეტერანთა და მათი ოჯახების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1990 წლის 29 სექტემბრის № 560 დადგენილებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათვალისწინებული დავალებების შესასრულებლად. აღნიშნული დადგენილების მუხლები მთლიანად გავრცელდეს ყველა სახის ომებში დაღუპულთა ოჯახებსა და ინვალიდებზე.

ავღანეთის ვეტერანთა კავშირმა:

1992 წლის 1 ოქტომბრამდე მოამზადოს ინფორმაცია აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ და წარმოუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას განსახილველად;

გ) დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოველმხრივ შეუწყოს ხელი საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 16 აპრილის № 292 დადგენილებით რეგისტრირებულ საზოგადოება „დეტას" ფუნქციონირებასა და გამოიყენოს მისი შესაძლებლობანი სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

4. საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ ავღანეთის ვეტერანთა კავშირს, მასში შემავალ და მის მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციებს, რისთვისაც:

ა) პირველ რიგში გაითვალისწინონ მათი განაცხადები ძირითადი საწარმოო და არასაწარმოო ფონდების შეძენის შესახებ სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის განხორციელების დროს;

ბ) ომებში დაღუპულთა ოჯახები, ინვალიდები და ომის მონაწილენი პირველ რიგში უზრუნველყონ მიწის ნაკვეთებით ინდივიდუალური და კოოპერატიული ბინათმშენებლობისათვის, სამშენებლო მასალებითა და ფულადი სახსრებით;

გ) გავრცელდეს ომებში დაღუპულთა ოჯახებზე, ინვალიდებსა და ომის მონაწილეებზე ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურების (გათბობა ელექტროენერგია, გაზი, წყალმომარაგება) გადასახადის შეღავათები ყოფილი საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 23 თებერვლის № 209 დადგენილებით;

დ) ხელი შეუწყონ ავღანეთის ვეტერანთა კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციების საქმიანობას გამოუყონ მათ შესაბამისი სამუშაო ფართობები;

5. დაკმაყოფილდეს ავღანეთის ვეტერანთა კავშირის გამგეობის თხოვნა ომების ვეტერანთა (ომის ინვალიდთა), ომში დაღუპულთა (უგზო-უკვლოდ დაკარგულთა) ოჯახების სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად ქალაქ თბილისში სამი ასბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის თაობაზე.

ქალაქ თბილისის მერიამ უმოკლეს დროში გამოყოს მიწის ნაკვეთები აღნიშნული საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის დედაქალაქის ტერიტორიაზე.

გამოეყოს ავღანეთის ვეტერანთა კავშირს ქალაქ თბილისში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე 4 ჰექტარი მიწა მათი საწარმოთა და დაწესებულებათა განთავსებისათვის სასაწყობო მეურნეობის მოსაწყობად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. საქართველოს რესპუბლიკურმა ბანკებმა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ავღანეთის ვეტერანთა კავშირს სხვადასხვა სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობისა და ობიექტების აშენებისათვის შეღავათიანი წესით დაფინანსებაში გრძელვადიანი კრედიტების ხარჯზე.

7. 1992-1993 წლებში ავღანეთის ვეტერანთა კავშირი, მის საკუთრებაში მყოფი საწარმოები გათავისუფლდნენ საბაჟო გადასახადისაგან და სახელმწიფო სავალუტო ფონდში ანარიცხების შეტანისაგან, მიღებული საგარეო ეკონომიკური საქმიანობისაგან იმ გასავლის ნაწილში, რომელიც წარიმართება წესდებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებისათვის ავღანეთის ვეტერანებზე, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახებზე, ყველა სახის ომებში დაღუპულთა ოჯახებზე და ამ ომების ინვალიდთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო პრობლემების გადასაწყვეტად.

8. ნება დაერთოს ავღანეთის ვეტერანთა კავშირს სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისას აწარმოოს მოსახლეობისა და უცხოური ფირმებისაგან ვალუტის შესყიდვისა და გაყიდვის ოპერაციები. აგრეთვე მიეცეს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ვალუტით საცალო ვაჭრობისა და მომსახურების ორგანიზაციის უფლება ეროვნული ბანკის შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე;

9. საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტმა, საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ ავღანეთის ვეტერანთა კავშირს, მასში შემავალ და მის მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციებს საექსპორტო პროდუქციის ლიცენზირებაში და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობაში.

10. საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ გადასცეს ავღანეთის ვეტერანთა კავშირს ქალაქ თბილისის ცენტრალურ ნაწილებში განლაგებული ხუთი სავაჭრო ობიექტი, სადაც ომებში დაღუპულთა ოჯახებსა და ინვალიდებს შეღავათიან ფასებში მიეყიდებათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და სამრეწველო საქონელი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი თ. სიგუა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი გ. გერიძე

ქ. თბილისი, 1992 წ. 25 აგვისტო, № 849

ეროვნული ბიბლიოთეკა

184 საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 28 აპრილის № 474 დადგენილების № 2 დანართის დამატების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის წინადადება მის დაქვემდებარებაში დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული სატყეო ინსპექციის აღდგენის შესახებ.

2. „საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 28 აპრილის № 474 დადგენილების № 2 დანართის ნუსხას დაემატოს სიტყვები „სატყეო ინსპექცია“.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 25 აგვისტო, № 353

185 საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 4 მაისის № 525 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს თხოვნა და „1991 წლის დეკემბერში, 1992 წლის იანვარსა და შემდგომ პერიოდში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების შედეგად დაინვალიდებულ და დაღუპულ მოქალაქეთა ოჯახების წევრთა პენსიებით უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 4 მაისის № 525 დადგენილებას დაემატოს შემდეგი აბზაცი:

„დაევალოთ ქალაქ თბილისის მერიას, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს (გამგეობებს) შექმნან კომისიები ქალაქ თბილისის მერის მოადგილისა და გამგეობათა თავმჯდომარეების მოადგილეების ხელმძღვანელობით. ამ კომისიებმა საჭიროების შემთხვევაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასცენ ცნობები 1991 წლის დეკემბერში, 1992 წლის იანვარსა და შემდგომ პერიოდში ტრაგიკული მოვლენების შედეგად მოქალაქეთა დასახიჩრების ან გარდაცვალების შესახებ“.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 25 აგვისტო, № 854

186 საქართველოს რესპუბლიკის მაგისტრალური მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის მაგისტრალური მნიშვნელობის საავტომობილო გზების თანდართული ნუსხა.

2. დაწესდეს, რომ მაგისტრალური მნიშვნელობის საავტომობილო გზების სიგრძე საჭიროების შემთხვევაში გადაისინჯება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონცერნ „საქავტოგზის“ მიერ სათანადო ქალაქების მმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 25 აგვისტო, № 856

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 25 აგვისტოს № 856
დადგენილებით

ნუსხა

საქართველოს რესპუბლიკის მაგისტრალური მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა

საავტომობილო გზების ინდექსი და ნომერი	საავტმოობილო გზების დასახელება	საავტომობილო გზების სიგრძე (კილომეტრი)		
		სულ	მ-თ შორის	
			„საქავტოგზის“ ბალანსზე არსებული	ქალაქებ ს და-ურგლებში არსებული
მ – 1	თბილისი-სენაკი-ლესელიძე (რუსეთის საზღვარი)	553	510	43
მ 2	სენაკი-ფოთი-სარფი (თურქეთის საზ-ღვარი)	119	106	13
მ—3	მცხეთა-ყაზბეგი-ლარსი (რუსეთის საზღვარი)	139	139	—
მ 4	თბილისი-წითელი ხიდი (აზერბაი-ჯანის საზღვარი)	58	47	11
მ—5	თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი (აზერ-ბაიჯანის საზღვარი)	160	145	15
მ 6	თბილისი-მარნეული-გუგუთი (სომხეთის საზღვარი)	106	97	9
მ—7	მარნეული-სადახლო (სომხეთის საზ-ღვარი)	34	34	—
მ—8	ხაშური-ვალე (თურქეთის საზღვარი)	103	103	—
მ—9	თბილისის შემოსავლელი	48	48	--
	სულ	**1320**	**1229**	**91**

ეროვნული ბიბლიოთეკა

187 საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს ზღვის თევზის მეურნეობისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ამავე სამინისტროს შავი ზღვის ეკოლოგიისა და თევზის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად გარდამნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა აღნიშნავს, რომ გარემოს დაცვის სამინისტროს ზღვის თევზის მეურნეობისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ერთადერთი სამეცნიერო დაწესებულებაა რესპუბლიკაში, რომელიც ეწევა შავი ზღვის საქართველოს სანაპირო შელფის რეგიონალურ ეკოლოგიურ-ჰიდრობიოლოგიურ და იქთიოლოგიურ კვლევას მისი ბიოლოგიური რესურსების რაციონალურად გამოყენების მიზნით. აქვე მიმდინარეობს შავი ზღვის ტოქსიკოლოგიური ასპექტების შესწავლა, ზღვის პროდუქტების კულტივირების ბიოტექნოლოგიის შემუშავება და სხვა. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კვლევის ობიექტია აგრეთვე რესპუბლიკის შინაწყალსატევები: მდინარეები, ტბები, წყალსაცავები (მათი კომპლექსური შესწავლა და რაციონალური თევზის მეურნეობების ჩამოყალიბება).

საქართველოს რესპუბლიკის მიერ ხელმოწერილ შავი ზღვის გაჭუჭყიანებისაგან დაცვის კონვენციაში ზღვის თევზის მეურნეობისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარების მოთავე ორგანიზაციაა და შავი ზღვის ამ ნაწილში მინიჭებული აქვს სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის ფუნქცია რეგიონალური მასშტაბით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა

დ გ ე ნ ს:

საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს ზღვის თევზის მეურნეობისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი გარდაიქმნას ამავე სამინისტროს შავი ზღვის ეკოლოგიისა და თევზის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

თბილისი, 1992 წ. 25 აგვისტო, № 859

ეროვნული ბიბლიოთეკა

188 სახელმწიფო სავაჭრო ქსელში ვაჭრობის თავისუფლების მიმართულებით ექსპერიმენტის ჩატარების შესახებ

უკანასკნელ პერიოდში, რესპუბლიკაში მასობრივი ხასიათი მიიღო კერძო სავაჭრო ობიექტების (განსაკუთრებით ჯიხურების) გახსნამ, რაც სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად განაპირობა ამ ობიექტებში ვაჭრობის თავისუფლების თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილების სრული ძალით ამოქმედებამ და აქ მომუშავეთა პირადი დაინტერესებისა და ინიციატივის გამოვლენის შესაძლებლობამ. ამასთან, სახელმწიფო სავაჭრო ქსელში ჯერ კიდევ მოქმედმა ცალკეულმა შეზღუდვებმა და ხელოვნურმა ბარიერებმა გამოიწვიეს მათი სრული დაცარიელება, საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლებისა და მუშაკთა სოციალური პირობების მკვეთრი გაუარესება. ყოველივე ამის შედეგად სახელმწიფო სავაჭრო ობიექტების მასობრივად დახურვის რეალური საფრთხე შეიქმნა, რაც გამოიწვევს მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების შემდგომი გაუარესების გამოუსწორებელ შედეგებს.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს ექსპერიმენტის წესით მომუშავე სახელმწიფო სავაჭრო ობიექტის ნუსხა.

2. ექსპერიმენტის წესით მომუშავე სახელმწიფო სავაჭრო ობიექტის საქმიანობა განისაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის კანონით „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“, აგრეთვე რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის, ვაჭრობის თავისუფლების, ფასებისა და საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაციის შესახებ.

3. ობიექტები მოქმედებენ დამოუკიდებელი იურიდიული პირის უფლებით, მუშაობენ სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პრინციპით. მათზე ვრცელდება „არასახელმწიფო სავაჭრო საწარმოების ვადებითი საფირმო გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 23 ივნისის № 665 დადგენილებით განსაზღვრული წესი, ობიექტის სავაჭრო ფართიდან გამომდინარე გაანგარიშებული გადასახადის განაკვეთის 1,5-ჯერ გაზრდილი ოდენობით. საკომპენსაციოდ ეს ობიექტები ექსპერიმენტის ჩატარების პერიოდში განთავისუფლდნენ ზემოაღნიშნული დადგენილების მე-4 პუნქტით განსაზღვრული გადასახადისაგან.

4. ექსპერიმენტის წესით მომუშავე ობიექტების დამფუძნებლად და უფლებამოსილ სახელმწიფო მმართველობის ორგანოდ ჩაითვალოს ადგილობრივი მმართველობის ტერიტორიული ორგანო და რეგისტრაციაში გატარდეს არსებული წესის მიხედვით, როგორც სახელმწიფო საკუთრების ბაზაზე შექმნილი „სახელმწიფო საწარმო“.

5. ექსპერიმენტის წესით მომუშავე ობიექტებს ნება დაერთოთ: პროდუქციის რეალიზაცია მოახდინონ თავისუფალი ფასებით; იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ანგარშსწორება აწარმოონ როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე უნაღდო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანგარიშსწორებით; დამოუკიდებლად განსაზღვრონ სალაროს ნაშთის ყოველ-
დღიური ლიმიტი, დაამტკიცონ საშტატო განრიგი და განსაზღვრონ ხელფასის
ნორმები შრომის ანაზღაურების მინიმუმისა და მუშაკთა სოციალური დაცვის
გათვალისწინებით; თავანთი შეხედულებით არეგულირონ ცალკეული საქონ-
ლის რეალიზაციის დრო და მოგებიდან დარჩენილი თანხის გამოყენების მი-
მართულებები. ობიექტების ძირითადი პროფილის შენარჩუნების პირობებში,
ვაჭრობის წესების დაცვის გათვალისწინებით, დამოუკიდებლად გადაწყვიტონ
ვაჭრობის ორგანიზაციის ფორმები და სასაქონლო ჯგუფების განსაზღვრის სა-
კითხები.

6. საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ (ნ. შარაშენიძე)
და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო კანცელარიის მთა-
ვარმა სახელმწიფო მრჩეველმა ვაჭრობისა და მომსახურების საკითხებში ა. ბა-
ბუხადიამ პერიოდულად შეისწავლონ ექსპერიმენტის წესით მომუშავე სა-
ხელმწიფო სავაჭრო ობიექტების მუშაობის შედეგები და 1993 წლის ივლისში
წარმოადგინონ წინადადება მისი შემდგომი გავრცელების მიზანშეწონილობის
თაობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 25 აგვისტო, № 860

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 25 აგვისტოს № 860
დადგენილებით

ნუსხა

ექსპერიმენტის წესით მომუშავე სახელმწიფო სავაჭრო ობიექტებისა

1. „თბილქსოვილტანსაცმელფეხსაცმელვაჭრობის“ № 43 მაღაზია — ლესელიძის ქ. № 2
2. „თბილქსოვილტანსაცმელფეხსაცმელვაჭრობის“ № 1 გაერთიანების სათაო მაღაზია — თამარ მეფის გამზირი № 18
3. ყოფილი „თბილსამეურნეოვაჭრობის“ № 8 მაღაზია — ბარათაშვილის ქ. № 6
4. ყოფილი „თბილმრეწვავაჭრობის“ მაღაზია „გედი“ — დავით აღმაშენებლის პრ. № 3
5. რესპუბლიკური გაერთიანება „საქსურსათსაბითუმოვაჭრობის“ საფირმო მაღაზია „ოკეანე“ — თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. № 139
6. რესპუბლიკური გაერთიანება „საქსურსათსაბითუმოვაჭრობის“ საფირმო მაღაზია „არმაზი“ — თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 46/52
7. რესპუბლიკური გაერთიანება „საქხილბოსტანვაჭრობის“ ისნის რაიონული გაერთიანების № 17 მაღაზია — ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის ქ. № 39
8. თბილისის ცენტრალური უნივერმაღის ყოფილი № 6 ფილიალი-მაღაზია „იბერია“ — გურამიშვილის პრ. № 36.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

189 საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1993 წლის პროგნოზის პროექტის დამუშავების ორგანიზაციის შესახებ

ეროვნული მეურნეობის განვითარების 1993 წლის პროგნოზის პროექტის ორგანიზებულად და სათანადო დონეზე დამუშავების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ შეიმუშაოს და მიმდინარე წლის 5 სექტემბრამდე დაუგზავნოს რესპუბლიკის სამინისტროებს, კომიტეტებს, დეპარტამენტებს, სახელმწიფო კონცერნებს, უწყებებს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ქალაქებისა და რაიონების მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1993 წლის პროგნოზის ფორმები და მაჩვენებლები, აგრეთვე სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის განკუთვნილი უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის, სამუშაოებისა და მომსახურების სავარაუდო მოცულობანი.

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტრო, საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრო და საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტრო დამოუკიდებლად შეიმუშავებენ პროგნოზის შესაბამისი განყოფილების ფორმებსა და მაჩვენებლებს და საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმების შემდეგ დაუგზავნიან მათ რესპუბლიკის სამინისტროებს, კომიტეტებს, დეპარტამენტებს, სახელმწიფო კონცერნებს, უწყებებს, აფხაზეთისა და აჭარის მინისტრთა საბჭოებს, ქალაქებისა და რაიონების მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს.

2. საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებმა, კომიტეტებმა, დეპარტამენტებმა, სახელმწიფო კონცერნებმა, ასოციაციებმა, უწყებებმა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, ქალაქებისა და რაიონების მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა დაუშვებელი ფორმებისა და მაჩვენებლების მიხედვით მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე წარუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს, ხოლო შესაბამის ნაწილში — საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს, აგრეთვე სხვა დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებს თავიანთი წინადადებანი და საპროგნოზო გაანგარიშებები 1993 წლისათვის საკუთრების ფორმების (სახელმწიფო, კომერციული, კერძო) გამოყოფით.

ზემოთ აღნიშნული წინადადებების მომზადებისას სამინისტროებმა, კომიტეტებმა, დეპარტამენტებმა, სახელმწიფო კონცერნებმა, უწყებებმა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, ქალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქებისა და რაიონების მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნები, საკუთრების სხვადასხვა ფორმების თანაარსებობის პრინციპები, პრივატიზაციის პროცესის დაჩქარების აუცილებლობა და მისი მოსალოდნელი შედეგები არსებული ხელსაყრელი სამეურნეო კავშირების შენარჩუნებისა და ახალ ურთიერთობათა დამყარების შესაძლებლობები როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან, ისე საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, რეკონსტრუქციის და განვითარების მსოფლიო ბანკის და სხვა იმ საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციათა რეკომენდაციები, რომელთა წევრიც არის საქართველოს რესპუბლიკა.

3. საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტრო, საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრო და საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტრო პროგნოზის შესაბამის განყოფილებებს მათ მიერ შემუშავებული ფორმებისა და მაჩვენებლების მიხედვით მიმდინარე წლის 15 ოქტომბრამდე წარუდგენენ საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს.

4. მიზანშეწონილად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, კომიტეტების, დეპარტამენტების, სახელმწიფო კონცერნების, უწყებების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ქალაქებისა და რაიონების მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1993 წლის პროგნოზის პროექტის შესახებ წინადადებებისა და გაანგარიშებების წარმოდგენა სულ ცოტა ორი — მინიმალური და მაქსიმალური ვარიანტით.

5. სამინისტროებმა და უწყებებმა პროგნოზის შესადგენად აუცილებელი ინფორმაციის მოპოვებისა და მათი საიმედობის ამაღლების მიზნით ჩაატარონ სპეციალური გამოკითხვები, სოციოლოგიური და ანკეტური გამოკვლევები, ხოლო საპროგნოზო გაანგარიშებებში ფართოდ გამოიყენონ სტატისტიკური, ექსპერტული შეფასებისა და საბალანსო მეთოდები.

6. საწარმოები და ორგანიზაციები, მათ შორის სახელმწიფო საწარმოები, წინადადებებსა და გაანგარიშებებს საკუთარი მეურნეობის განვითარების შესახებ წარუდგენენ რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროს იმ მიზნით, რომ მათი მოთხოვნილებები და ინტერესები პრიორიტეტულად იქნეს გათვალისწინებული შესაბამის საპროგნოზო გაანგარიშებებსა და სახელმწიფოებრივ ეკონომიკურ ღონისძიებებში (პროდუქციის გასაღება, ტრანსპორტით, ენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოფა და ა. შ.).

7. 1993 წლისათვის საინვესტიციო პოლიტიკის ძირითად პრინციპებად მიჩნეულ იქნეს: სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა პრიორიტეტული წარმართვა მიწისძვრისა და რესპუბლიკის ტერიტორიაზე პოლიტიკური დესტაბილიზაციის შედეგად დანგრეული და დაზიანებული ობიექტების აღდგენა-მშენებლობაზე, აგრეთვე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მაღალი ტექნიკური მზადყოფნის მქონე ობიექტების მშენებლობის დამთავრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზე. საწარმოებისა და ორგანიზაციების განვითარების დაფინანსება უპირატესად განხორციელდეს საკუთარი სახსრების ხარჯზე. ამასთან, პირველ რიგში ეს სახსრები უნდა მოხმარდეს მშენებარე სიმძლავრეების დროულად ამოქმედებას.

დაწესდეს, რომ მრავალრიცხოვან მშენებლობებზე კაპიტალურ დაბანდებათა დაქსაქსვის თავიდან აცილების მიზნით ყოველგვარი ახალი მშენებლობა სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე დაიწყოს მხოლოდ რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით.

8. დაწესდეს, რომ საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით უზრუნველყოფს ეროვნული მეურნეობის განვითარების 1993 წლის პროგნოზის დამუშავებისათვის აუცილებელი ამოსავალი საღრიცხვო-სტატისტიკური მასალების ხარისხიანად მომზადებას და ეკონომიკის სამინისტროსათვის მიწოდებას. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კერძო სექტორის განვითარების მაჩვენებელთა მოპოვება-დაზუსტებას, დამუშავებასა და მომზადებას.

დაწესდეს, რომ საჭირო ინფორმაციის მოპოვებისას, განსაკუთრებით კერძო სექტორის განვითარების შესახებ, ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული მმართველობის ადგილობრივი ორგანოების, საგადასახადო ინსპექციისა და საბაჟო სამსახურების მასალები.

9. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ რესპუბლიკის სამინისტროების, დეპარტამენტების, კომიტეტების, კონცერნების, ასოციაციების, უწყებების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისაგან მიღებული მაჩვენებლებისა და წინადადებების საფუძველზე მოამზადოს და მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე წარმოუდგინოს რესპუბლიკის მთავრობას საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1993 წლის პროგნოზის პროექტი.

10. მმართველობის ადგილობრივი ორგანოები საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს მიერ დაშვებული ფორმებისა და დადგენილი ვადების შესაბამისად დამოუკიდებლად შეიმუშავებენ ქვემდებარე ტერიტორიის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზებს 1993 წლისათვის.

მოცემულ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოები, გაერთიანებები, კონცერნები, ფირმები, უწყებები და ორგანიზაციები არსებული კანონმდებლობის თანახმად სავალდებულო წესით უთანხმებენ მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს ღონისძიებებს, რომელთა განხორციელებამაც შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი ეკოლოგიური, სოციალურ-დემოგრაფიული ან სხვა შედეგები. ამასთან, ისინი მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს აწვდიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაბამის წინადადებებსა და გაანგარიშებებს იმ მიზნით, რომ ისინი გათვალისწინებული იქნება რეგიონის სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროგნოზში.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 26 აგვისტო, № 368

190 საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო კინოკორპორაციის რეორგანიზაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 25 იანვრის № 74 დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკაში კინემატოგრაფიის სფეროს მართვის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ადგენს:

1. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო კინოკორპორაცია, გამოვიდეს იგი საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს სისტემიდან და მის ბაზაზე სახელმწიფო საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნდეს სახელმწიფო კონცერნი „ქართული ფილმი“, რომელიც კოორდინაციას გაუწევს რესპუბლიკაში კინოშემოქმედებას, კინოწარმოებასა და კინოვიდეო მომსახურებას.

2. სახელმწიფო კონცერნ „ქართული ფილმის“ საქმიანობის დაფინანსების წყაროებად გამოყენებულ იქნეს სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები, კანონით ნებადართული სხვა შემოსავლები, აგრეთვე მიზნობრივი საბიუჯეტო ასიგნებანი.

3. სახელმწიფო კონცერნი „ქართული ფილმი“ შეიქმნას ნებაყოფლობით გაერთიანებული კინოორგანიზაციების საფუძველზე თანახმად საქართველოს რესპუბლიკის კანონისა „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“.

სახელმწიფო კონცერნ „ქართული ფილმის“ დამფუძნებელს სახელმწიფოს სახელით წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტი, რომელიც არის ამ კონცერნის სარგებლობაში არსებული სახელმწიფო ქონების მფლობელი. აღნიშნული კონცერნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო კინოკორპორაციის ქონებრივი უფლებებისა და ვალდებულებების უფლებამონაცვლე.

4. სახელმწიფო კონცერნმა „ქართულმა ფილმმა“:

— ერთი თვის ვადაში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტს შესათანხმებლად წარუდგინოს თავისი წესდების პროექტი;

— არსებული წესის მიხედვით მოახდინოს თავისი რეგისტრაცია;

— შეიმუშაოს წინადადებანი იმ კონკრეტულ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქართული კინემატოგრაფიის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას;

— საბაზრო ეკონომიკაზე ეტაპობრივი გადასვლის შესაბამისად განახორციელოს ღონისძიებანი თავისი სისტემის ორგანიზაციების შემოქმედებითი, ორგანიზაციულ-სტრუქტურული, საძეურნეო და საფიხანსო საქმიანობის სრულყოფისათვის; გაითვალისწინოს კინოწარმოებისა და კინოვიდეო ქსელის დაწესებულებათა პრივატიზაციის საკითხების გადაწყვეტა ქართული კინოს მდიდარი ტრადიციების შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 26 აგვისტო, № 870

ეროვნული ბიბლიოთეკა

191 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 17 მარტის № 323 დადგენილების გამოყენების წესის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა აღნიშნავს, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 17 მარტის № 323 დადგენილების თანახმად საწარმოებს მიეცათ სხვადასხვა სახის სახელმწიფო გაერთიანებებიდან (კონცერნი, ასოციაცია, ტრესტი და ა. შ.) თავისუფლად გასვლის უფლება.

მონოპოლიური გაერთიანებებიდან საწარმოთა თავისუფლად გასვლის პროცესის მოწესრიგებისა და გამარტივების, ზემოაღნიშნული დადგენილების სწორად გამოყენების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება „საქართველოს რესპუბლიკაში სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 17 მარტის № 323 დადგენილების გამოყენების წესის შესახებ.

2. ეს დადგენილება და თანდართული დებულება გამოქვეყნდეს პრესაში და გადაიცეს ტელევიზიითა და რადიოთი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 26 აგვისტო, № 871

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 26 აგვისტოს № 871
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

„საქართველოს რესპუბლიკაში სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 17 მარტის № 323 დადგენილების გამოყენების წესის შესახებ

1. სახელმწიფო გაერთიანებიდან ნებისმიერი საწარმოს ან სხვა სტრუქტურული ერთეულის (მათ შორის ვაჭრობის და მომსახურების სფეროთა ობიექტების) გასვლის საფუძველს წარმოადგენს მისი უშუალო ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება, რომელსაც მხარს უჭერს ამ საწარმოს ან სტრუქტურული ერთეულის მუშაკთა უბრალო უმრავლესობა.

2. საწარმოს ან სხვა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება გაერთიანებიდან გასვლის შესახებ განსახილველად უნდა წარედგინოს იმ სამინისტროს (უწყებას) ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოს, რომელსაც იგი ექვემდებარება. სამინისტრო (უწყება) ან ადგილობრივი მმართველობის ორგანო ვალდებულია საწარმოს გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს ხუთი დღის ვადაში განიხილოს აღნიშნული საკითხი და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება მასზე. ამ ვადის დარღვევის და საკითხის გადაწყვეტის უსაფუძვლოდ გაჭიანურების შემთხვევაში დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს მიმართოს სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტს.

3. იურიდიული პირის სტატუსის მქონე საწარმოს სახელმწიფო გაერთიანებიდან გასვლისას, წამოჭრილი ყველა სადავო საკითხი (ფინანსური, ქონებრივი და ა. შ.) გადაწყდება დაინტერესებული მხარეების ურთიერთშეთანხმებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას გადაწყვეტს საარბიტრაჟო სასამართლო.

4. იურიდიული პირის სტატუსის არმქონე სტრუქტურული ერთეულის გაერთიანებიდან გასვლისა და დამოუკიდებელ იურიდიულ პირად ჩამოყალიბებისას სამინისტრო (უწყება) ან ადგილობრივი მმართველობის ორგანო გამოსცემს ბრძანებას სახელმწიფო საწარმოს შექმნის შესახებ, ამტკიცებს საწარმოს წესდებას სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმების საფუძველზე და აღძრავს მარეგისტრირებელი ორგანოს წინაშე შუამდგომლობას ახლად შექმნილი საწარმოს რეგისტრაციის შესახებ. რეგისტრაცია ხდება საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციისათვის მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

დამოუკიდებელ იურიდიულ პირად ჩამოყალიბებულ საწარმოს განკერძოებული ქონების განსაზღვრისას გადაეცემა მის სამეურნეო სარგებლობაში არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებული ძირითადი და საბრუნავი საშუალებები საბალანსო ღირებულებით. სხვა აქტივები და პასივები გაიყოფა მათში საწარმოს რეალური წილის პროპორციულად. თუ დაინტერესებული მხარეები აღნიშნულ საკითხზე ვერ შეთანხმდებიან, დავას გადაწყვეტს საარბიტრაჟო სასამართლო.

5. სახელმწიფო გაერთიანებიდან გასვლაზე სამინისტროს (უწყების) ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოს უარის შემთხვევაში საწარმოს ან სხვა სტრუქტურულ ერთეულს უფლება აქვს მიმართოს სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტს, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

192 საქართველოს ბიოლოგიური კომბინატის შესახებ

აღინიშნოს, რომ საკავშირო დაქვემდებარების საქართველოს ბიოლოგიური კომბინატის რესპუბლიკის იურისდიქციაში გადასვლის შემდეგ შეწყდა კომბინატში ტრადიციული მომწოდებლებისაგან სათანადო ნედლეულისა და მასალების მიწოდება, მკვეთრად შემცირდა წარმოების მოცულობა, რის გამოც შეუძლებელი გახდა რესპუბლიკისათვის აუცილებელი სამკურნალო-პროფილაქტიკური პრეპარატების საჭირო რაოდენობით წარმოება.

რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო ცხოველების სამკურნალო-პროფილაქტიკური პრეპარატებით მომარაგების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ადგენს:

1. საქართველოს ბიოლოგიური კომბინატი, საკავშირო დაქვემდებარებიდან რესპუბლიკურ დაქვემდებარებაში გადასვლასთან დაკავშირებით, დაექვემდებაროს საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ეწოდოს „საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარულ-ბიოლოგიური მრეწველობის კომბინატი“.

2. საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადება ვეტერინარულ-ბიოლოგიური მრეწველობის კომბინატის ტექნიკური გადაიარაღების და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **ბ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 31 აგვისტო, № 873

ეროვნული ბიბლიოთეკა

193 სახელმწიფო სასინჯი ზედამხედველობის შესახებ დებულების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

ნაწილობრივ შეიცვალოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 24 აპრილის № 465 დადგენილებით დამტკიცებული დებულება „სახელმწიფო სასინჯი ზედამხედველობის შესახებ“ და 2.1., 3.1. და 5.9. პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

— „2.1. ძვირფასი ლითონებისა და მათი შენადნობებით დამზადებული, როგორც სამამულო წარმოების, ისე საზღვარგარეთიდან შემოტანილი, საიუველირო და საყოფაცხოვრებო ნაკეთობების, აგრეთვე ნახევარფაბრიკატების, შენადნობებისა და ზოდების გასინჯვა, ანალიზი (ძვირფასი ლითონების შემცველობაზე) და საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი სინჯების დამადასტურებელი სახელმწიფო დაღით მათი დადაღვა“.

— „3.1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული ყველა საიუველირო და სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაკეთობანი, რომლებიც განკუთვნილია გასაყიდად ან შესრულებულია კერძო დაკვეთით, უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს რესპუბლიკაში დადგენილ რომელიმე სინჯს და აუცილებლად უნდა იყოს დადაღული (მარკირებული) სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციაში, აგრეთვე საზღვარგარეთ დამზადებული ძვირფასი ლითონების ანალოგიური ნაკეთობანი, რომლებიც შემოტანილია საქართველოში გასაყიდად, ექვემდებარება სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციაში დადაღვას“.

— „5.9. სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია სარეკვიზიციო ობიექტების ხელმძღვანელებს, აგრეთვე ინდივიდუალურ მეწარმეებს წარუდგენს შესაბამის მოთხოვნებს შემოწმების შედეგად გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და აკონტროლებს მათ შესრულებას“.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 31 აგვისტო, № 375

ეროვნული ბიბლიოთეკა

194 ფასიანი ქაღალდების შესახებ დროებითი დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ფასიანი ქაღალდების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისა და მათი მიმოქცევის დროს წამოჭრილი რიგი საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ადგენს:

დამტკიცდეს თანდართული დროებითი დებულება ფასიანი ქაღალდების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. გერიძე**

თბილისი, 1992 წ. 31 აგვისტო, № 876

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 31 აგვისტოს № 876
დადგენილებით

დროებითი დებულება

ფასიანი ქაღალდების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. ფასიანი ქაღალდი არის ფულადი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მფლობელობის უფლებას ან სასესხო ურთიერთობებს, განსაზღვრავს ურთიერთდამოკიდებულებას ამ დოკუმენტის გამომშვებ პირსა და მის მფლობელს შორის, და როგორც წესი, ითვალისწინებს სხვა პირისათვის შემოსავლის გადახდას ან პროცენტის სახით, აგრეთვე ამ დოკუმენტიდან გამომდინარე ფულადი და სხვა უფლებათა გადაცემის შესაძლებლობას.

2. ფასიანი ქაღალდებია აქციები, ობლიგაციები, სახელმწიფოს სახაზინო ქაღალდებულებანი, შემნახველი სერთიფიკატები და თამასუქები.

II. აქციები

3. აქცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელსაც უშვებენ სააქციო საზოგადოებანი, საწარმოები, ორგანიზაციები, კომერციული ბანკები, კოოპერატივები და სხვა საწარმოები და ორგანიზაციები*) (მათი საკუთრების ფორმისა და უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად), მიმოქცევის დადგენილი ვადის გარეშე, რომელიც ადასტურებს სახსრების შეტანას საწარმოთა განვითარებისათვის, საწესდებო მიზნების განხორციელებისათვის (სააქციო საზოგადოებაში წევრობასა და მის მართვაში მონაწილეობას) და მფლობელს აძლევს დივიდენდის სახით საწარმოს მოგების ნაწილის მიღების უფლებას.

4. გამოიშვება შემდეგი კატეგორიის აქციები:

ა) შრომითი კოლექტივის აქციები.

ასეთი აქციების გამოშვების უფლება აქვთ სახელმწიფო საწარმოებს და გაერთიანებებს, საიჯარო, კოლექტიურ საწარმოებს, კოოპერატივებს, საწარმოებს, რომლებიც მიეკუთვნებიან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ან კოოპერატივებს.

შრომითი კოლექტივის აქციები ვრცელდება მხოლოდ თავისი საწარმოს ბუშაკთა შორის და არ ექვემდებარება იმ მოქალაქეებზე გასხვისებას, რომლებიც არ არიან მოცემული შრომითი კოლექტივის წევრები.

ბ) საწარმოთა აქციები:

ასეთ აქციებს უშვებს ის საწარმოები, რომლებიც ჩამოთვლილია მოცემული პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში, აგრეთვე კოოპერატივის კავშირები, კომერციული ბანკები, სამეურნეო საზოგადოებანი და ამხანაგობანი, სამეურნეო ასოციაციები.

---

*) შემდგომში „საწარმოები“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოთა აქციები ვრცელდება სხვა საწარმოებში, ორგანიზაციებსა და მოსახლეობაში ნებაყოფლობით საფუძველზე.

ბ) სააქციო საზოგადოებათა აქციები:

აღნიშნული აქციები ვრცელდება მასზე ღია ხელმოწერის ან ყველა აქციის დამფუძნებლებს შორის განაწილების გზით.

სააქციო საზოგადოებებს შეუძლიათ გამოუშვან პრივილეგირებული აქციები, რომლებიც აქციონერებს აძლევენ უპირატეს უფლებას მიიღონ დივიდენდი, წინასწარ დადგენილი საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად, აგრეთვე პრიორიტეტს სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში მისი ქონების განაწილებისას.

5. აქციები შეიძლება გამოშვებულ იქნეს როგორც სახელობითი, ისე წარმომდგენზე, ამასთან, შრომითი კოლექტივის აქციები შეიძლება იყოს მხოლოდ სახელობითი. სახელობითი აქციის გაყიდვა, ან სხვა სახით გასხვისება ექვემდებარება აუცილებელ რეგისტრაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. აქცია განუყოფელია. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი და იგივე აქცია (შრომითი კოლექტივის აქციების გარდა) ეკუთვნის რამდენიმე პირს, ყველა ისინი ითვლებიან აქციის ერთხელთმქონედ და შეუძლიათ თავიანთი უფლებები განახორციელონ ერთ-ერთი მათგანის ან საერთო წარმომადგენლის საშუალებით.

7. აქციას საჭიროა ჰქონდეს შემდეგი რეკვიზიტები:

აქციის გამომშვები საწარმოს (ორგანიზაციის) საფირმო დასახელება და ადგილსამყოფელი, ფასიანი ქაღალდის დასახელება „აქცია“, მისი რიგითი ნომერი, სერია, გამოშვების თარიღი, აქციის კატეგორია, მისი ნომინალური ღირებულება, ხელთმქონის სახელი (სახელობითი აქციისათვის), საწესდებო ფონდის ოდენობა და გამოშვებული აქციების რაოდენობა (სააქციო საზოგადოებისათვის — აქციის გამოშვების დღისათვის), დივიდენდის გადახდის ვადა, საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელის (სააქციო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის) ან სხვა უფლებამოსილი პირის ხელმოწერა.

8. სააქციო საზოგადოების აქციების გამოშვება ხორციელდება მისი საწესდებო ფონდის ოდენობის ფარგლებში ან სახელმწიფო საწარმოს მთელი ქონების ღირებულების ფარგლებში (მისი სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის შემთხვევაში). შრომითი კოლექტივისა და საწარმოს აქციების გამოშვება ხორციელდება საწარმოსა და მისი შრომითი კოლექტივის მიერ განსაზღვრული ოდენობით.

სააქციო საზოგადოებათა მიერ აქციების დამატებითი გამოშვება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც ადრე გამოშვებული ყველა აქცია მთლიანად რეალიზებულია არანაკლებ მათი ნომინალური ღირებულებით.

აკრძალულია აქციების გამოშვება საწარმოს სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ზარალის დასაფარავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. მოქალაქეები შრომითი კოლექტივისა და სააქციო საზოგადოებათა აქციებს იძენენ თავიანთი პირადი სახსრების ხარჯზე.

საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები საწარმოებისა და სააქციო საზოგადოებათა აქციებს იძენენ კანონით დაწესებული გადასახადებისა და სხვა გადასახდელების ბიუჯეტში ჩარიცხვის შემდეგ შრომითი კოლექტივის განკარგულებაში შემოსული სახსრების ხარჯზე.

აქცია ანაზღაურდება საქართველოს რესპუბლიკის ფულადი ერთეულით, აგრეთვე უცხოური ვალუტით ან სხვა ქონებით, თუ ამას ითვალისწინებს სააქციო საზოგადოების წესდება. შეტანილი ანაბრის ფორმის მიუხედავად აქციის ღირებულება განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის ფულადი ერთეულით.

აქცია მის მფლობელს შეიძლება გადაეცეს მხოლოდ ღირებულების სრული გადახდის შემდეგ.

10. საწარმოებს, რომლებიც უშვებენ შრომითი კოლექტივის აქციებს, შეუძლიათ გამოისყიდონ ისინი თავიანთი მუშაკებისაგან მოზიდული სახსრების საერთო თანხის შესაბამისად შემცირების გზით.

სამუშაოდან დათხოვნილი მუშაკებისათვის შრომითი კოლექტივის აქციების შენარჩუნების საკითხს წყვეტს შრომითი კოლექტივი.

11. დივიდენდები შრომითი კოლექტივის აქციებზე გაიცემა მოხმარებისათვის განკუთვნილი სახსრების ხარჯზე, ხოლო საწარმოთა აქციებზე — შრომითი კოლექტივის განკარგულებაში შემოსული მოგების ხარჯზე.

სააქციო საზოგადოების აქციებზე დივიდენდები გაიცემა წლიური შედეგების მიხედვით იმ მოგების ხარჯზე, რომელიც რჩება სააქციო საზოგადოების განკარგულებაში, მას შემდეგ, რაც მოგების ნაწილს აუცილებლობის შემთხვევაში წარმართავს საზოგადოების საერთო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდები გაიცემა არანაკლებ მისი ნომინალური ღირებულებისათვის დადგენილი მტკიცე პროცენტისა, შესაბამის წელში სააქციო საზოგადოების მიერ მიღებული მოგების თანხის მიუხედავად, იმ შემთხვევაში, როდესაც მოგება არასაკმარისია, დივიდენდები გაიცემა სარეზერვო ფონდის ხარჯზე.

12. სააქციო საზოგადოების აქციები მათ მფლობელს უფლებას აძლევს მონაწილეობა მიიღოს ამ სააქციო საზოგადოების მართვაში. პრივილეგირებული აქციები არ იძლევა ამის უფლებას, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული წესდებით.

შრომითი კოლექტივისა და საწარმოთა აქციები მათ მფლობელს არ აძლევენ ამ საწარმოთა მართვის უფლებას. შრომითი კოლექტივის აქციები და საწარმოთა აქციები წარმოადგენენ დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზაციის საშუალებას და არ ცვლიან აქციების გამომშვები საწარმოებისა და ორგანიზაციების უფლებრივ მდგომარეობას და საკუთრების ფორმებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. საწარმოებისა და სააქციო საზოგადოებათა მიერ გამოშვებულ აქციები უზრუნველყოფილია მთელი მათი ქონებით.

საწარმოს ან სააქციო საზოგადოების რეორგანიზაციის შემთხვევაში გამოშვებულ აქციებზე მთელი ვალდებულებანი გადადის უფლებამონაცვლეზე.

III. ობლიგაციები

14. ობლიგაცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის მიერ ფულადი სახსრების შეტანას და ემიტენტის ვალდებულებას მის წინაშე ამ ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულების ანაზღაურების შესახებ მასში გათვალისწინებულ დროში, ფიქსირებული პროცენტის გაცემასთან ერთად (თუ სხვა რაიმე არ არის გათვალისწინებული გამოშვების პირობებით). ყველა სახის ობლიგაცია შეიძლება გავრცელდეს საწარმოებსა და მოქალაქეებს შორის მხოლოდ ნებაყოფლობის საფუძველზე.

15. გამოიშვება შემდეგი სახის ობლიგაციები:

ა) საშინაო სახელმწიფო და ადგილობრივი სესხის ობლიგაციები;

ბ) საწარმოების ობლიგაციები.

შეიძლება გამოშვებულ იქნეს როგორც სახელობითი ობლიგაცია, ისე ობლიგაცია წარმომდგენზე, პროცენტიანი და უპროცენტო (მიზნობრივი), თავისუფლად ან შეზღუდულად მიმოქცევადი.

16. ყველა სახის ობლიგაციები, როგორც წესი, ანაზღაურდება მანეთებით და აგრეთვე უცხოური ვალუტით, თუ ეს გათვალისწინებულია გამოშვების განსაკუთრებული პირობებით ან სააქციო საზოგადოების წესდებით. ვალუტის სახეობის დამოუკიდებლად, რომლითაც განხორციელდა ობლიგაციის ანაზღაურება, მისი ღირებულება გამოიხატება მანეთებით.

საწარმოები ყველა სახის ობლიგაციებს იძენენ იმ სახსრებით, რაც რჩება მათი შრომითი კოლექტივის განკარგულებაში, ხოლო მოქალაქენი პირადი სახსრების ხარჯზე.

17. საშინაო სახელმწიფო და ადგილობრივი სესხის ობლიგაციების რეალიზაციიდან მიღებული სახსრები წარიმართება შესაბამისად რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა არასაბიუჯეტო ფონდებში. სახელმწიფო მიზნობრივი სესხის გავრცელებით მიღებული სახსრები გამოიყენება მათი გამოშვებისას განსაზღვრული მიზნებისათვის.

18. საშინაო სახელმწიფო პროცენტიანი და ადგილობრივი სესხის ობლიგაციების შემოსავლის გადახდა წარმოებს კუპონების განაღდებით ან სესხის დაფარვის შემთხვევაში — ყოველწლიური გადახდის გარეშე ნომინალურზე პროცენტის დარიცხვით.

მიზნობრივი სესხის ობლიგაციებზე შემოსავალი არ გადაიხდება. ასეთი ობლიგაციების მფლობელებს უფლება ეძლევათ შეიძინონ ის საქონელი ან ისარგებლონ იმ მომსახურებით, რომლის პირობითაც გამოშვებულია სესხი.

19. ის საშინაო სახელმწიფო და ადგილობრივი სესხის ობლიგაციები, რომლებიც ექვემდებარებიან გამოსყიდვას, განისაზღვრება ყოველწლიური დაფარ-

ვის ტირაჟებით, რომელთაც ატარებს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო, ავტონომიურ რესპუბლიკათა ფინანსთა სამინისტროები, ადგილობრივი საფინანსო ორგანოები.

20. საწარმოთა ობლიგაციებს უშვებენ საწარმოები და გაერთიანებანი მათი საკუთრების ფორმისა და უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად.

საწარმოთა ობლიგაციების გამოშვებისა და გავრცელების პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით და საწარმოთა წესდებებით.

21. სააქციო საზოგადოებებს შეუძლიათ გამოუშვან ობლიგაციები საწესდებო ფონდის ოდენობის არა უმეტეს 25 პროცენტისა და მხოლოდ ყველა გამოშვებული აქციის სრული გადახდის შემდეგ.

ობლიგაციების გამოშვება საწარმოს საწესდებო ფონდის შექმნისა და შევსებისათვის არ დაიშვება.

22. საწარმოთა ობლიგაციებს საჭიროა ჰქონდეს შემდეგი რეკვიზიტები:

ფასიანი ქაღალდის დასახელება — „ობლიგაცია“, საწარმოს (ორგანიზაციის) დასახელება და ადგილსამყოფელი, ობლიგაციის ნომინალური ღირებულება, ხელთმქონის სახელი (სახელობითი ობლიგაციებისათვის), დაფარვის (განაღდების) ვადა, პროცენტის განაკვეთი და გადახდის ვადა (პროცენტიანი ობლიგაციისათვის), საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელის (სააქციო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის) ან სხვა უფლებამოსილი პირის ხელმოწერა.

მიზნობრივი ობლიგაციების აუცილებელი რეკვიზიტია იმ საქონლის (მომსახურების) ჩვენება, რომლის პირობითაც გამოშვებულია ობლიგაციები.

23. საწარმოთა ობლიგაციები არ აძლევს მის მფლობელს უფლებას მონაწილეობა მიიღოს აღნიშნული საწარმოს მართვაში.

საწარმოთა ობლიგაციებზე პროცენტების გაცემა წარმოებს ყოველწლიურად. საწარმოს მიერ პროცენტების გაცემის ან ობლიგაციაში მითითებული თანხის დაფარვის შესახებ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში აღნიშნული თანხის ამოღება ხორციელდება სანოტარო წარწერის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

24. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ხელისუფლების ადგილობრივი მმართველობის ორგანოები განსაზღვრავენ შიდასახელმწიფო და ადგილობრივი, აგრეთვე მიზნობრივი სესხების გამოშვებისა და გავრცელების წესს და განსაკუთრებულ პირობებს.

25. პასუხისმგებლობა სესხის ობლიგაციების დაფარვასა და პროცენტების გაცემაზე ეკისრებათ იმ სახელმწიფო ორგანოებსა და საწარმოებს (ორგანიზაციებს), რომლებმაც გამოუშვეს ობლიგაციები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებანი

26. სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებანი (შემდგომში „სახაზინო ვალდებულებანი") არის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ვრცელდება მოსახლეობას შორის ნებაყოფლობით საფუძველზე, ადასტურებს მათი ხელთმქონის მიერ ბიუჯეტში ფულადი სახსრების შეტანას და იძლევა ფიქსირებული შემოსავლის მიღების უფლებას აღნიშნული ფასიანი ქაღალდების ფლობელობის მთელ პერიოდში.

27. გრძელვადიან სახაზინო ვალდებულებებს სახელმწიფო უშვებს 5-დან 25 წლამდე ვადით წარმომდგენზე.

გრძელვადიანი სახაზინო ვალდებულებათა გასაყიდი ფასი დგინდება საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსა და ავტონომიურ რესპუბლიკათა ფინანსთა სამინისტროების მიერ, მათი შეძენის დროიდან გამომდინარე.

28. სახაზინო ვალდებულებებზე შემოსავლის გაცემა წარმოებს მათი შეძენის მომდევნო წლიდან.

სახაზინო ვალდებულებებზე შემოსავალი გაიცემა ყოველწლიურად კუპონების განაღდებით, ან ვალდებულებათა დაფარვისას ნომინალზე პროცენტების დარიცხვით ყოველწლიური გაცემის გარეშე.

სახაზინო ვალდებულებებს, რომლებიც ექვემდებარებიან გამოსყიდვას მათი გამოშვების პირობების შესაბამისად, განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსა და ავტონომიურ რესპუბლიკათა ფინანსთა სამინისტროების მიერ ჩატარებული ყოველწლიური დაფარვის ტირაჟები.

29. დაფარვის ტირაჟში ამოსულ სახაზინო ვალდებულებებზე ანაზღაურდება მათი ნომინალური ღირებულება და გასული წლების დაუფარავი კუპონები იმ წლის კუპონების ჩათვლით, რომელშიც ვალდებულება გამოსყიდულ უნდა იქნეს. თუ იმ სახაზინო ვალდებულების ხელთმქონემ, რომელიც დაფარვის ტირაჟში ამოვიდა და იგი არ წარმოადგინა გასანაღდებლად, მას რჩება კუპონებით შემოსავლის მიღების უფლება მისი მოქმედების ვადის გასვლამდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ სახაზინო ვალდებულებანი კარგავენ ძალას და არ ექვემდებარებიან ანაზღაურებას.

30. საშუალოვადიან სახაზინო ვალდებულებებს უშვებს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო 1-დან 5 წლამდე ვადით და მათ არ გააჩნიათ კუპონები. საშუალოვადიანი სახაზინო ვალდებულებათა გამოშვება წარმოებს გრძელვადიანი სახაზინო ვალდებულებათა გამოშვების მსგავსად.

31. საშუალოვადიან სახაზინო ვალდებულებათა დაფარვა წარმოებს ყოველწლიურად, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსა და ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროების მიერ ჩატარებული დაფარვის ტირაჟების საფუძველზე.

საშუალოვადიანი სახაზინო ვალდებულებათა ხელთმქონეს შემოსავალი ეძლევა ნომინალზე პროცენტის დარიცხვით მათი გამოსყიდვის დროს ყოველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა
წლიური გადასახადის გარეშე, იმ ვადის გათვალისწინებით, რომელიც გავიდა ვალდებულებათა გამოშვებიდან მათ დაფარვამდე.

32. მოკლევადიან სახაზინო ვალდებულებებს უშვებს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო და ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები 3, 6 და 12 თვის ვადით წარმომდგენზე. ამ ვალდებულებებს არ გააჩნიათ კუპონები და დაიფარება მათი გამოსყიდვით, მათზე დარიცხული პროცენტების ჩათვლით.

V. შემნახველი სერთიფიკატები

33. შემნახველი სერთიფიკატები არის საკრედიტო დაწესებულების წერილობითი მოწმობა ფულადი სახსრების დეპონირების შესახებ, რომელიც ადასტურებს მეანაბრის უფლებას დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მიიღოს დეპოზიტი და მათზე დარიცხული პროცენტები.

34. გაიცემა როგორც სახელობითი შემნახველი სერტიფიკატები, ისე შემნახველი სერტიფიკატები წარმომდგენზე. სახელობითი სერტიფიკატები მიმოქცევას არ ექვემდებარებიან, ხოლო მათი გაყიდვა (სხვა სახით გასხვისება) ბათილად ითვლება.

35. იმ შემთხვევაში თუ ვადიანი სერტიფიკატის ხელთმქონე დადგენილ ვადაზე ადრე ითხოვს დეპონირებული სახსრების დაბრუნებას, მასზე გაიცემა შემცირებული პროცენტი, რომლის დონეც დგინდება ხელშეკრულების საფუძველზე დეპოზიტის შეტანის დროს.

36. ბანკის სერტიფიკატებს საჭიროა ჰქონდეს შემდეგი რეკვიზიტები: ფასიანი ქაღალდის დასახელება — „სერტიფიკატი“, იმ საკრედიტო დაწესებულების დასახელება, რომელმაც გამოუშვა სერტიფიკატი, მისი ადგილსამყოფელი, რიგითი ნომერი, გამოშვების თარიღი, დეპოზიტის თანხა, ანაბრის უკან დაბრუნების ვადა (ვადიანი სერტიფიკატებისათვის), მფლობელის დასახელება (სახელობითი სერტიფიკატებისათვის), რომელმაც შეიტანა დეპოზიტი და წარმოადგენს სერტიფიკატის ხელთმქონეს, ბანკის ხელმძღვანელის ან სხვა უფლებამოსილი პირის ხელმოწერა.

37. ფიზიკური და იურიდიული პირები სერტიფიკატებს შეიძენენ ამ დებულების მე-16 პუნქტში აღნიშნული ობლიგაციების შესაძენად განკუთვნილი სახსრების ხარჯზე.

38. შემნახველი ბანკის სერტიფიკატები გამიზნულია მოსახლეობის ფულადი სახსრების შენახვისათვის, იგი შეიძლება იყოს სახელობითი და წარმომდგენზე თავისუფლად გაიყიდოს და მიღებულ იქნეს გადახდისათვის ამ ბანკის ნებისმიერ დაწესებულებაში.

შემნახველი ბანკის სახელობითი სერტიფიკატი მისი მფლობელის სურვილის შესაბამისად შეიძლება გაიცვალოს წარმომდგენ სერტიფიკატზე.

39. შემნახველი ბანკის სერტიფიკატის ვადაზე ადრე წარდგენის შემთხვევაში მის მფლობელს გაეცემა სერტიფიკატის ნომინალური ღირებულება და შემცირებული განაკვეთით დარიცხული პროცენტები სერტიფიკატის ფლობის სრული წლების ფაქტიური რაოდენობის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI. თამასუქი

40. თამასუქი არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს თამასუქის გამცემის უპირობო ფულად ვალდებულებას ვადის დადგომისას გარკვეული თანხა გადაუხადოს თამასუქის მფლობელს (თამასუქის ხელთმქონეს).

41. გამოიშვება შემდეგი სახის თამასუქები:

ა) მარტივი თამასუქი;

ბ) გადასაპირებელი თამასუქი.

42. მარტივი თამასუქი მოიცავს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა) დასახელება „თამასუქი", რომელიც ჩართულია ტექსტში და გამოხატულია იმ ენაზე, რომელზეც შედგენილია ეს დოკუმენტი;

ბ) უბრალო და არაფრით განპირობებული დაპირება გადაიხადოს გარკვეული თანხა;

გ) გადახდის ვადის ჩვენება;

დ) ადგილის ჩვენება, სადაც უნდა მოხდეს გადახდა;

ე) იმ პირის დასახელება, ვისაც უნდა გადაუხადონ ან ვისი ბრძანებითაც უნდა მოხდეს გადახდა;

ვ) თამასუქის შედგენის ადგილი და თარიღი;

ზ) იმ პირის (თამასუქის გამცემის) ხელის მოწერა, ვინც გასცა თამასუქი.

43. გადაპირებული თამასუქი 41-ე პუნქტის „ა", „გ", „ზ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რეკვიზიტების გარდა საჭიროა შეიცავდეს:

ა) უბრალო და არაფრით განპირობებულ წინადადებას გარკვეული თანხის გადახდის შესახებ;

ბ) გადამხდელის დასახელებას.

44. დოკუმენტს, რომელშიც არ არის ნაჩვენები 42-ე და 43-ე პუნქტებში შესაბამისად მარტივი და გადაპირებული თამასუქებისათვის ჩამოთვლილი რეკვიზიტები, არ გააჩნიათ მარტივი ან გადაპირებული თამასუქების ძალა შემდეგი შემთხვევების გარდა, როდესაც თამასუქი, რომელშიც ნაჩვენები არ არის გადახდის ვადა, განიხილება როგორც თამასუქი, რომელზეც გადახდევინება უნდა მოხდეს წარდგენისას.

45. განსაკუთრებული მითითების არარსებობისას გადამხდელის დასახელებასთან აღნიშნული ადგილი (მარტივი თამასუქისათვის — დოკუმენტის შედგენის ადგილი) ითვლება გადახდის ადგილად და ამასთან ერთად გადამხდელის (მარტივი თამასუქისათვის — თამასუქის გამცემის) საცხოვრებელ ადგილად.

თამასუქი, რომელშიც არ არის ნაჩვენები მისი შედგენის ადგილი, ხელთმოწერილად ითვლება იმ ადგილას, რომელიც აღნიშნულია თამასუქის გამცემის დასახელების გვერდით.

VII. ფასიანი ქაღალდების რეგისტრაცია, მიმოქცევა და კონტროლი

46. ფასიანი ქაღალდების რეგისტრაციას, გამოშვების აღრიცხვასა და კონტროლს მათ მოძრაობაზე ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის ფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანსთა სამინისტრო, ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები, ადგილობრივი საფინანსო ორგანოები.

47. საწარმოების (მათ შორის სააქციო საზოგადოებების) მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების გამოშვების რეგისტრაციას ახორციელებს საფინანსო ორგანოები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აქციებისა და ობლიგაციების გამოშვების რეგისტრაციის წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო.

48. სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებებს, სახელმწიფო მიზნობრივი ობლიგაციების გამოცემას, შიდასახელმწიფო სესხის რეგისტრაციას ახორციელებს შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო და ავტონომიურ რესპუბლიკათა ფინანსთა სამინისტროები, ხოლო ადგილობრივი სესხის ობლიგაციებისას კი — ადგილობრივი საფინანსო ორგანოები.

49. სერტიფიკატების რეგისტრაციასა და მათ გამოშვებაზე კონტროლს ახორციელებს ის საკრედიტო დაწესებულება, რომელმაც გამოუშვა სერტიფიკატები საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.

თამასუქების მიმოქცევა ხორციელდება ეროვნული ბანკის საერთო კონტროლის ქვეშ.

50. ფასიან ქაღალდებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ დებულებით მათი მფლობელები ყიდიან უშუალოდ ან შუამავლის მეშვეობით.

51. საწარმოები, რომლებიც სარგებლობენ ფასიანი ქაღალდების გამოშვების უფლებით, ვალდებული არიან აცნობონ შესაბამის საფინანსო ორგანოებს მონაცემები მათ მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რეგისტრაციისა და მოძრაობის შესახებ.

ადგილობრივი საფინანსო ორგანოები ცენტრალიზებული აღრიცხვისათვის აცნობებენ საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს რეგისტრირებული და გავრცელებული ფასიანი ქაღალდების შესახებ მათი სახეობების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

195 საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქონლის (სამუშაოთა, მომსახურების) ექსპორტისა და იმპორტის კვოტირებისა და ლიცენზირების დროებითი წესების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სუვერენიტეტის საფუძვლების ჩამოყალიბების, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაციის, მისი რეგულირების ერთიანი მექანიზმის შექმნის, საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობისა და სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებების შესრულების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქონლის ექსპორტის და იმპორტის კვოტირებისა და ლიცენზირების ერთიანი წესი.

ამ დადგენილების მოქმედება ვრცელდება საქონლის ექსპორტსა და იმპორტზე საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობაში ნებისმიერ სახელმწიფოსთან, თუ სხვა არ არის გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის სამთავრობათაშორისო შეთანხმებით.

ამ დადგენილებით შემოღებული საქონლის ექსპორტისა და იმპორტის ლიცენზირებისა და კვოტირების წესი ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის სამეურნეო საქმიანობის ყველა სუბიექტზე მათი საკუთრების ფორმისა და რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად, გარდა ერთობლივი საწარმოებისა, თუ ისინი ახორციელებენ საკუთარი წარმოების პროდუქციის ექსპორტს.

2. დამტკიცდეს:

— დებულება საქართველოს რესპუბლიკის საქონლის (სამუშაოთა, მომსახურების) ექსპორტისა და იმპორტის ლიცენზირებისა და კვოტირების წესის შესახებ;

— საქონლის ნუსხა, რომლის ექსპორტი საქართველოს რესპუბლიკიდან დროებით აკრძალულია;

— საქონლის ნუსხა, რომლის ექსპორტი დროებით ხორციელდება დადგენილი კვოტების ფარგლებში;

— საქონლის ნუსხა, რომლის იმპორტი დროებით ხორციელდება ლიცენზიებით;

3. იმ საქონლის ექსპორტისა და იმპორტის შეზღუდვა, რომელიც არ არის შეტანილი მოცემული დადგენილების დანართებში, ხდება მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის დროებითი მთავრობის დადგენილებებით.

4. დაწესდეს, რომ:

— კვოტებს საქართველოს რესპუბლიკიდან უმნიშვნელოვანესი სახის პროდუქციის (სამუშაოთა, მომსახურების) გატანაზე ადგენს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა;

— ლიცენზიებს ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან საქონელგაცვლის უზრუნველსაყოფად დადგენილი კვოტების ფარგლებში, გასცემენ შესაბამისი დარგობრივი სამინისტროები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლიცენზიებს მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში ექსპორტსა და იმპორტზე დადგენილი კვოტების ფარგლებში გასცემს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო კომიტეტი.

5. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს 1992 წლის 5 სექტემბრამდე წარუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის დროებით მთავრობას დებულება „სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტში ლიცენზიების წარდგენისა და მათი შესრულების კონტროლის წესის შესახებ“.

6. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტს აწარმოოს ლიცენზირებული საქონლის ექსპორტისა და იმპორტის მკაცრი აღრიცხვა და სტატისტიკური მასალები კვარტალში ერთხელ წარუდგინოს რესპუბლიკის მთავრობასა და სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტს.

აღნიშნული პუნქტი ძალაში შედის საბაჟოს მზადყოფნისა და სათანადო დოკუმენტის ფორმის შემუშავების შემდეგ, რაც დამატებით გამოცხადდება პრესაში და საინფორმაციო საშუალებებით.

7. „ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების განხორციელებისას გავრცელდეს საბაჟო გაფორმებებისა და დეკლარირების არსებული წესი“. საექსპედიტორო-სატრანსპორტო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და კერძო პირებს — სატრანსპორტო საშუალებების მფლობელებს ეკრძალებათ საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასატანი ტვირთების მიღება საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო ორგანოების ნებართვის გარეშე.

8. საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კანონმდებლობის მოქმედებაში შეყვანამდე მოცემული დადგენილების დებულებების დარღვევაში დამნაშავე პირები პასუხს აგებენ ყოფილი სსრკ-ს საბაჟო კოდექსისა და საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით.

9. იმ სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელები, რომლებიც აწარმოებენ ტვირთების გადაზიდვას დადგენილი წესის დარღვევით, იხდიან ჯარიმას ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასაზიდი საქონლის საკონტრაქტო ღირებულების ოდენობით. ჯარიმის ამოღება დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის ორგანოებს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების დადგენილებების საფუძველზე საბაჟო ორგანოების წარდგენით.

ზემოაღნიშნული ჯარიმა ნაწილდება შემდეგი წესით:

რესპუბლიკურ ბიუჯეტში — 60 პროცენტი

ადგილობრივ ბიუჯეტში — 25 პროცენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო ორგანოებს — 15 პროცენტი.

10. დადგენილება თანდართული დებულებითურთ გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **თ. სიგუა**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი **გ. ბერიძე**

ქ. თბილისი, 1992 წ. 26 აგვისტო, № 867

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 26 აგვისტოს № 867
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკაში საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) ექსპორტისა და იმპორტის კვოტირებისა და ლიცენზირების დროებითი წესების შესახებ

1. მოცემული დებულება განსაზღვრავს საქონლის (სამუშაოთა, მომსახურების) ექსპორტისა და იმპორტის კვოტირებისა და ლიცენზირების წესს საქართველოს რესპუბლიკაში.

2. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს კვოტირებისა და ლიცენზირების ერთიანი წესი, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს მოცემულ დებულებასთან დართული ლიცენზირებადი საქონლის ნუსხა, კვოტების დადგენისა და განაწილების და ლიცენზიების გაცემის საერთო წესი.

3. საქართველოს რესპუბლიკიდან უმნიშვნელოვანესი სახის პროდუქციის (სამუშაოთა, მომსახურების) გატანაზე კვოტებს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო საქართველოს რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროებთან შეთანხმებით. აღნიშნული კვოტები მტკიცდება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ.

კვოტები იყოფა:

— საქონელგაცვლის უზრუნველყოფის კვოტებად ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში გასატან საქონელზე;

— საექსპორტო კვოტებად მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში გასატან საქონელზე.

დადგენილ კვოტებს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო დაუშვებს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო კომიტეტზე და შესაბამის დარგობრივ სამინისტროებზე, რომლებიც აწარმოებენ შესაბამისი ლიცენზიების გაცემას მათ ფარგლებში:

ა) ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში საქონლის გატანასა და შემოტანაზე ლიცენზიები გაიცემა შესაბამისი დარგობრივი სამინისტროების მიერ;

ბ) მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში საქონლის გატანასა და შემოტანაზე ლიცენზიები გაიცემა საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტის მიერ.

4. განმცხადებლებზე შეიძლება გაიცეს გენერალური ან ერთჯერადი ლიცენზიები.

გენერალური ლიცენზიები გაიცემა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ლიცენზიები გაიცემა სამეურნეო საქმიანობის სუბიექტებზე მათი საკუთრების ფორმის მიუხედავად. ლიცენზიების გადაცემა სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე აკრძალულია. ლიცენზიების მიმღები იხდის გადასახადს დადგენილი წესით.

6. განმცხადებელი იხდის:

ა) ერთჯერადი ლიცენზიის მიღებისას — 3000 (სამი ათასი) მანეთი;

ბ) გენერალური ლიცენზიის მიღებისას — 50000 (ორმოცდაათი ათასი) მანეთი.

7. ლიცენზიები გაიცემა განცხადებების საფუძველზე. განცხადებას თან ერთვის:

— რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის ცნობა საწარმოებსა და ორგანიზაციებზე კლასიფიკატორის კოდების მინიჭების შესახებ;

— ხელმოწერილი ან პარაფირებული საექსპორტო, საიმპორტო ან საბარტერო კონტრაქტი (კონტრაქტებს თან ერთვის ფასების დასაბუთება; საბარტერო კონტრაქტში საქონელბრუნვა განისაზღვრება თავისუფლად კონვერტირებულ ვალუტაში);

— დასტური მომსახურე ბანკიდან კონტრაქტის (საექსპორტო, საიმპორტო, საბარტერო) ასლის ჩაბარების შესახებ;

— საბანკო ქვითარი სახელმწიფო ბიუჯეტში სალიცენზიო თანხის ჩარიცხვის შესახებ.

— № 2 და № 3 დანართებში ჩამოთვლილი პროდუქციის ექსპორტის შემთხვევაში — ცნობა სალიცენზიო საქონლის წარმოშობის შესახებ, და რომ აღნიშნული საქონლის რაოდენობა არ შედის სამთავრობო ხელშეკრულებით გათვალისწინებული კვოტების რიცხვში.

ლიცენზიების გაცემა ხორციელდება საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურით (ს.ე.ს. ს. ნ.) საქონლის კოდების შესაბამისად.

განმცხადებლები პასუხს აგებენ განცხადებაში და მის დანართებში მოყვანილი ცნობების სინამდვილეზე.

8. ლიცენზიები გაიცემა საქონლის ერთ სახეობაზე კონტრაქტში მითითებული სასაქონლო პოზიციების რაოდენობის მიუხედავად. ცალკეულ შემთხვევებში საქონლის რამდენიმე სახეობაზე დაიშვება გენერალური ლიცენზიების გაცემა, თუ ისინი ს.ე. ს.ნ.-ს შესაბამისად შედიან საქონლის ერთიან ქვეჯგუფში.

9. გენერალური და ერთჯერადი ლიცენზიები წარმოადგენენ უფლებას საქონლის ექსპორტსა და იმპორტზე მასში დადგენილ ვადებში.

საქართველოს რესპუბლიკის გრძელვადიანი სამთავრობათაშორისო ვალდებულების საფუძველზე განმცხადებელზე გაიცემა გენერალური ლიცენზია საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციების განსახორციელებლად ერთი კალენდარული წლის ვადით.

გენერალური ლიცენზიების მიხედვით საექსპორტო ან საიმპორტო ოპერაციები შეიძლება განხორციელდეს ერთი ან რამდენიმე გარიგებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმცხადებელზე ერთჯერადი ლიცენზია გაიცემა ერთი წლის ვადით, რათა განხორციელდეს საექსპორტო ან საიმპორტო ოპერაცია ერთი გარიგებით.

განმცხადებლის მოტივირებული თხოვნით ლიცენზიის მოქმედების ხანგრძლივობა შეიძლება გაგრძელდეს. ლიცენზიის გაგრძელება მოწმდება წერილობით ფორმაში.

10. ლიცენზიის გაცემის გადაწყვეტილება მიიღება საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკური კავშირების სახელმწიფო კომიტეტსა და შესაბამისი დარგობრივი სამინისტროების მიერ არაუგვიანეს 15 დღისა განცხადების მიღების თარიღიდან.

უარი ლიცენზიის გაცემაზე უნდა იყოს მოტივირებული და ეგზავნება განმცხადებელს წერილობით.

11. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო კომიტეტი და შესაბამისი დარგობრივი სამინისტროები აწარმოებენ გამოყენებული კვოტების და გაცემული ლიცენზიების რეგისტრაციას, რომელიც აისახება შესაბამისი იურიდიული და ფიზიკური პირების რეესტრის წიგნის ცალკე ფურცელზე.

კვოტების გამოყენება და ლიცენზიების გაცემა აგრეთვე აისახება სპეციალური რეესტრის წიგნებში.

ყოველი ჩანაწერი რეესტრში და აგრეთვე მასში შეტანილი ცვლილებანი დასტურდება საგარეო ეკონომიკური კავშირების სახელმწიფო კომიტეტის ან შესაბამისი დარგობრივი სამინისტროს უფლებამოსილი მუშაკების ხელმოწერით და სპეციალური ბეჭდით.

12. რეესტრის წიგნში ყველა გვერდი უნყა იყოს დანომრილი, ზონარგაყრილი, საგარეო ეკონომიკური კავშირების სახელმწიფო კომიტეტის ან შესაბამისი დარგობრივი სამინისტროს ბეჭდით დამოწმებული და პასუხისმგებელი მუშაკების ხელმოწერით დადასტურებული.

რეესტრში ჩანაწერი წარმოებს შემოკლებული ფორმით და უნდა აღინიშნოს, თუ რომელი დოკუმენტის საფუძველზე არის მოხდენილი ეს ჩანაწერი. ჩანაწერში მომხდარი შესწორებები დამოწმებული უნდა იქნეს.

13. რეგისტრაციისათვის წარდგენილი ყველა საბუთი ინახება საგარეო ეკონომიკური კავშირების სახელმწიფო კომიტეტში და შესაბამის დარგობრივ სამინისტროებში, ცალკე საქმეებში.

14. ექსპორტიორები ახორციელებენ საქონლის გადატვირთვას ექსპორტისათვის მხოლოდ ლიცენზიების მიღების შემდეგ.

15. მოცემული დებულების დარღვევის შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკური კავშირების სახელმწიფო კომიტეტს და შესაბამის დარგობრივ სამინისტროებს აქვთ უფლება შეაჩერონ ან გააუქმონ გაცემული ლიცენზიები.

16. სამეურნეო საქმიანობის სუბიექტები მოცემული დებულების დარღვევის შემთხვევაში პასუხს აგებენ საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

17. აღნიშნული დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში და გადაეცეს საინფორმაციო საშუალებებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 26 აგვისტოს № 867
დადგენილებით

რესპუბლიკაში წარმოებული საქონლის ჩამონათვალი, რომელთა რესპუბლიკიდან გატანა დროებით ხორციელდება ლიცენზიებით დადგენილი კვოტების და შესაბამისი სუბკვოტების ფარგლებში

ბუნებრივი წიაღისეული
ნავთობი (გაზის კონდენსატის ჩათვლით)
ნავთობგადამუშავების პროდუქტები
ნავთობის გაზები და ნახშირწყალბადი
ბუნებრივი გაზი
სასუქები და სარეცხი საშუალებები
ყველა სახის მერქანი
ცელულოზა, ქაღალდი და მაკულატურა
შავი ლითონები და მათი ნაწარმი
ფერადი ლითონები და მათი ნაწარმი
ფეროშენადნობები
ყველა სახის მედიკამენტები
ცხოველური და მცენარეული წარმოშობის წამლის ნედლეული;
ალკოჰოლიანი სასმელები
ჩაი
თამბაქოს ნედლეული
კვების პროდუქტები
მეფუტკრეობის პროდუქტები (თაფლი, ფუტკრის შხამი და სხვ.)
ეთერზეთოვანი პროდუქცია
დარიშხანი და მისი პროდუქტები
აბრეშუმის პარკი
მატყლი
გარეული ცხოველები, ველური მცენარეები, გადაშენებული ცხოველების ძვლები, რქები, ჩლიქები და ანალოგიური ნედლეული
— მინერალოგიისა და ბიოლოგიის საკოლექციო მასალები
— ინფორმაცია წიაღისეულზე

აღნიშნულ ნუსხაში მოყვანილი კვოტები და სუბკვოტები არ ეხება ტრანზიტით ან რეექსპორტის სახით გამავალ ტვირთებს, აგრეთვე ერთობლივი საწარმოების, უცხოური კაპიტალის მონაწილეობით შექმნილი სხვა ორგანიზაციების მიერ ექსპორტირებულ საკუთარი წარმოების პროდუქციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 26 აგვისტოს № 867
დადგენილებით

სპეციფიური საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) ჩამონათვალი, რომელთა იმპორტიც 1992 წელს ხორციელდება ლიცენზიებით

სამედიცინო მოწყობილობა
წამლები
მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებები
სამრეწველო ნარჩენები
ნარკოტიკული ნივთიერებანი
იარაღი და ტყვია-წამალი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
1992 წლის 26 აგვისტოს № 357
დადგენილებით

ნუსხა

საქართველოს რესპუბლიკაში წარმოებული პროდუქციისა, რომლის გატანა საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ დროებით იკრძალება:

ძვირფასი, ნახევრადძვირფასი ქვები და ლითონები, მათი ნაწარმი
ანტიკვარიატი, ხელოვნების ნიმუშები
რძე და რძის ნაწარმი
ცოცხალი პირუტყვი და ფრინველი, ხორცი და ხორცის ნაწარმი
მარცვლეული, ბურღული და ბრინჯი
ფქვილი
შაქარი
ყველა სახის აგური
ხე-ტყე (მორები, ხის სხვადასხვა მასალა, დაწნეხილი ფილები, პარკეტი)
შავი და ფერადი ლითონების ჯართი და ნარჩენები, მათ შორის რეექსპორტი
კალცინირებული სოდა
იარაღი და ტყვია-წამალი
ტყავი და ტყავნედლეული

აღნიშნული ნუსხა არ ეხება ტრანზიტით ან რეექსპორტის სახით გამავალ ტვირთებს, რომელთა ექსპორტი ხორციელდება ლიცენზიების საფუძველზე, აგრეთვე ერთობლივი საწარმოების, უცხოური კაპიტალის მონაწილეობით შექმნილი სხვა ორგანიზაციების მიერ ექსპორტირებულ საკუთარი წარმოების პროდუქციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

196 საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტის დროებით შეჩერების შესახებ

მაკონტროლებელი ორგანოების არაეფექტიანი საქმიანობის გამო, რის შედეგადაც ვერ ხერხდება დიდი რაოდენობის შავი და ფერადი ლითონების, მათი ნაწარმის, ჯართისა და ნარჩენების დატაცების, ქურდობისა და კონტრაბანდის ფაქტების აღკვეთა, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. შეჩერდეს დროებით, 1992 წლის 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტი, მათ შორის რეექსპორტის მიზნით შემოტანილისა.

ლიცენზიების გაცემა ზემოაღნიშნული საქონლის ექსპორტსა და რეექსპორტზე შეწყდეს 1992 წლის 18 აგვისტოდან.

2. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში და გადაიცეს ტელევიზიითა და რადიოთი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი თ. სიგუა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი კ. გელაშვილი

ქ. თბილისი, 1992 წ. 7 აგვისტო, № 302

ინდექსი—76187
ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА РЕСПУБЛИКИ ГРУЗИЯ

№ 4, 1992 წელი

გამომცემელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/III-93 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16,
საბეჭდი თაბახი 11.5 სააღრიცხვო თაბახი 11,5.

შეკვეთა № 172 ტირაჟი 100

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო კანცელარიის სტამბა